



**ისლამი** ცერმინოლოგიური  
ლექსიკონი

სალომე ბოჭორიშვილი

სალომე ბოჭორიშვილი

ისლამი: ტერმინოლოგიური  
ლექსიკონი



INSTITUTE OF  
KNOWLEDGE INTEGRATION



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2022

ისლამის ტერმინოლოგიური ლექსიკონი შეიქმნა „ცოდნის ინსტიტუტის ინსტიტუტის“ (IKI) მხარდაჭერით, ამავე ინსტიტუტის მიერ ქართულად თარგმნილი ისლამური აზროვნების ინსტიტუტის (IIIT) წიგნების სერიაში გამოყენებული რელიგიური ტერმინოლოგიის ბაზაზე და მისი ვრცლად განმარტებისათვის. ასევე ლექსიკონში მოცემულია განმარტების პროცესში არსებულ ბაზასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების ახსნაც.

ლექსიკონში გვხვდება ორი აბრევიატურა: (ს.ვ.თ) – *სუბჰანაჰუ ვა თა'ალა* (არაბ. سبحانه وتعالى), რაც ნიშნავს: „მაღალიმც არს იგი და დიდებული“, წარმოითქმის ალაჰის ხსენებისას; (ს.ა.ა.ს) – *კალლან ალლანჰუ 'ალაჰი ვა სალლამ* (არაბ. صلى الله عليه وسلم), რაც ნიშნავს: „ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება“, – წარმოითქმის მოციქულ მუჰამადის ხსენებისას.

Islam: Terminological Dictionary was created with the support of the "Institute of Knowledge Integration" (IKI), based on the religious terminology used in the series of books Institute of Islamic Thought (IIIT) translated into Georgian by the same institute (IKI) and for its extensive explanation. Also in the dictionary, there is an explanation of other terms related to the existing database.

Two abbreviations can be found in the dictionary: (SVT) \_ Subhānahu wa ta'ālā (Arab. سبحانه وتعالى), which means: "May He be praised and may His transcendence be affirmed", pronounced when mentioning Allah; (S.A.A.S.) \_ Ṣallā allāhu 'alayhi wa sallam (Arab. ﷺ), which means: "May the peace and blessing Allah be upon him", \_ is pronounced when mentioning the Prophet Muhammad.

*Paperback* ISBN: 978-9941-33-358-3

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

## შესავალი

ისლამი (არაბ. *إسلام* – ალაჰისადმი მინდობა, მორჩილება) – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია და დაახლ. 1.9 მლრდ მიმდევარი ჰყავს. ისლამი წარმოიშვა მე-7 საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე. მისი ფუძემდებელია მოციქული მუჰამადი (570-632), რომელმაც ჩამოაყალიბა ისლამის მიმდევრების – მუსლიმების (ასევე *მაჰმადიანი*, *მუსლიმანი* ან *მუსულმანი*) პირველი თემი. მუსლიმურ ღვთისმეტყველებაში მუჰამადი გახდა ნიმუში „სრულყოფილი ადამიანისა“ და მაგალითი საყოველთაო მიბაძვისა.

ისლამი მკაცრად იცავს ერთღმერთიანობის პრინციპს (თავჭიდი). დაშვება სხვა ღვთაებისა უდიდესი ცოდვა და მრავალღმერთიანობაა (*შირქ*). 630 წელს, მექელ ურნმუნოებთან მრავალრიცხოვანი ბრძოლების შემდეგ, მუჰამადი მუსლიმებთან ერთად ძღვევამოსილი დაბრუნდა მექაში, არაბეთის ნახევარკუნძულის კერპთაყვანისმცემელთა მთავარი ტაძარი ქააბა მუსლიმთა მთავარ სალოცავად აქცია, საფუძველი ჩაუყარა პირველ ისლამურ სახელმწიფოს და საბოლოოდ დაამკვიდრა მონოთეიზმი. მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ (632წ.) კი ჩამოყალიბდა ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც იდგა ხალიფა, რაც ნიშნავს მოციქულის მოადგილეს. ხალიფა აერთიანებდა სასულიერო და საერო ხელისუფლებას.

ისლამის გავლენა განიცადა შუა საუკუნეების ევრაზიის მრავალმა ხალხმა და კულტურამ. VII-IX საუკუნეებში განხორციელდა ვრცელი ტერიტორიების ისლამიზაცია წინა აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, ირანში, ცენტრალურ აზიაში, ამიერკავკასიაში და ჩრდ.-აღმოს. კავკასიაში. პირინეის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ (VIII ს. I ნახევარი) ჩამოყალიბდა ის-

ლამური ცივილიზაციის ცენტრი ევროპაში – *ალ-ანდალუს*. XI საუკუნიდან ისლამის გავრცელებაში მონაწილეობდნენ არა მარტო არაბები, არამედ ისლამზე ახლად მოქცეული ხალხებიც. არაბმა, სპარსელმა და ინდოელმა ვაჭრებმა კი ისლამი შეიტანეს აღმოსავლეთ აფრიკაში, მაღალიზიასა და ინდონეზიაში.

ისლამში ერთ-ერთი მთავარი დებულებაა მოძღვრება ღვთიური გამოცხადების შესახებ წინასწარმეტყველების (*ნუბუჟა*) საშუალებით. ისლამის წმინდა წიგნი – *ყურანი* გარდმოეწვინა მუჰამადს გამოცხადებების სახით მთავარანგელოზ ჯაბრაილის (იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციის გაბრიელი) საშუალებით. მუჰამადი არის ალაჰის მოციქულიც (*რასულ*) და წინასწარმეტყველიც (*ნაბი*), საუკეთესო მის ქმნილებათაგან, რომელმაც ალაჰისგან მიიღო კურთხევა. მუჰამადი ისმენდა ალაჰის სიტყვებს, იმახსოვრებდა მათ და უმეორებდა ადამიანებს, ქადაგებდა რწმენას იმისა, რასაც ასწავლიდა ღმერთი. *ყურანში* მოხსენიებულია დაახლ. 30 წინასწარმეტყველი, რომელთა შორის პირველი იყო ადამი, ხოლო უკანასკნელი – მუჰამადი, „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“ (*ხათამ ან-ნაბიჰინ*). *ყურანი* დაყოფილია 114 არათანაბარ თავად, რომელსაც ეწოდება *სურა*. ყველა *სურა* იწყება ფორმულით: „სახელითა ალაჰისა, მონყალისა მწყალობელისა“ (*ბასმალა*), რომელიც არაბული წერიტი ეტიკეტის უცვლელი ატრიბუტი გახდა. ისლამის მოძღვრების, სამართლის და რელიგიური ჩვეულებების მეორე წყაროა – *სუნა* (*სუნნა*), რომელიც წარმოადგენს გადმოცემათა (ჰადისების) ერთობლიობას მუჰამადის გამონათქვამებისა და ქმედებების შესახებ. ისლამის მოძღვრების ამ მთავარი წყაროების სწორი განმარტება უზრუნველყოფილია თემის ყველაზე ავტორიტეტული ღვთისმეტყველების (უღემები) შეთანხმებული აზრით (*იჯმა*).

ყურანზე, ჰადისებზე და მუსლიმ თეოლოგთა ავტორიტეტზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ისლამური დოგმატიკა, განისაზღვრა მუსლიმის უფლება-მოვალეობანი და რიტუალის წესი. ისლამის მოძღვრების ხუთ ძირითად პრინციპს შეესაბამება მართლმორწმუნე მუსლიმის ხუთი ძირითადი რელიგიური ვალდებულება. რწმენის აღიარება (შაჰადა – გამოცხადება საკრალური ფორმულით: „ვმონმობ, რომ არ არის ღვთაება გარდა ალაჰისა და მუჰამადია მოციქული ალაჰისა“ – *ლა ილაჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამადუნ რასულუ ლლაჰი*), ლოცვა (ას-სალათ – ადამიანის მთავარი მოვალეობა ღმერთის წინაშე), სავალდებულო მონყალება ღარიბთა სასარგებლოდ (ზაქათი), მარხვა (ას-სავმ) და პილიგრიმოზა (ალ-ჰაჯჯ) – მუსლიმურ ტრადიციაში ცნობილია როგორც რწმენის 5 საფუძველი (*არქან*). ისლამის ძირითადი დოგმატებია: ერთადერთი ღმერთის, მუჰამადის სამოციქულო მისიის, საღვთო წერილის, ანგელოზების და დემონების, განკითხვის დღისა და ბედისწერის რწმენა (ყურანი, 1:3/4; 2:285; 4:135/136).

ადრეულ ისლამში არ იყო მკვეთრი ზღვარი რელიგიასა და სამართალს შორის. ყურანსა და სუნაში შემავალი მთელი რიგი ნორმატიული მითითებები მოგვიანებით დამუშავდა ისლამური სამართლის (ფიკჰი) მიერ, რომელიც არეგულირებს არა მხოლოდ ურთიერთობებს ადამიანებს, ქვეშევრდომებსა და სახელმწიფოს შორის, არამედ მორწმუნის ეთიკურ, რელიგიურ და რიტუალურ ვალდებულებებს ალაჰთან მიმართებაში (*იბადათ*). ისინი ერთად შეადგენენ შარიათს, რომელიც გაგებულია როგორც ცხოვრების ისლამური წესი. დეტალურად დამუშავდა აგრეთვე რიტუალური და სამართლებრივი აკრძალვები (*ჰარამ*). ისლამი კრძალავს ღორისა და დაცემული ცხოველების ხორცის საკვებად გამოყენებას, ალკოჰოლურ სასმელებს და სხვა დამათრობელ საშუალებებს, აზარტულ თამაშებს, მევახშეობას და სხვ. ყურანი ზღუდავს სისხლით შურისძიებას, კრძალავს თვითმკვლელობასა და მკვლელობას

(2:173/178; 4:33/29; 5:37/33 და სხვ.), სჯის ქურდობისათვის (5:42/38) და სხვ.

ყველა მუსლიმისათვის მთავარი და საერთო სინმინდებები თავმოყრილია ქ. მექაში, ისლამის სამშობლოში. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ქააბა საკრძალველი მეჩეთის (*ალ-მასჯიდ ალ-ჰარამი*) ცენტრში, რომელიც არის მუსლიმური სამყაროს რელიგიური და საკულტო ცენტრი. იქ სრულდება პილიგრიმობა და მუსლიმი პირისახით მისკენ არის მიმართული ლოცვის დროს. მეორე წმინდა მეჩეთია *მასჯიდ ან-ნაბი* – მოციქულის მეჩეთის მედინაში) და მესამე – *კუბბათ ას-სახრა* („კლდის გუმბათი“) იერუსალიმში. შიიზმში ჩამოყალიბდა წმინდანთა კულტი და შიიტები მოილოცავენ თავიანთი წამებული იმამების საფლავებს ქალაქებში: ან-ნაჯაფი და ქერბელა (ერაყში), მეშჰედი და ყუმი (ირანში) და სხვ. ფართო მასებისათვის, როგორც სუნიტების, ისე შიიტებისათვის, სინმინდებებად ითვლება უძველესი წინასწარმეტყველების, ცნობილი ღვთისმეტყველების და სუფიების საფლავები, სადაც ასრულებენ პილიგრიმობას (ზიჰარა) და ითხოვენ წყალობას და კურთხევას.

მუსლიმური კალენდარი ეფუძნება მთვარის მოძრაე ფაზებს. ამის გამო ისლამის რელიგიურ სიმბოლოდ ახალი ნამგალა მთვარე იქცა. ეს სიმბოლო ისლამმა ძალზე ადრე შეითვისა. მაგ., ხალიფა ომარ I-მა (634-644) მექაში გაგზავნა და ქააბაზე დააკიდებინა ორი ნახევარმთვარის გამოსახულება, რითაც მთელ მუსლიმურ სამყაროს მაგალითი მისცა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ეს სიმბოლო ისლამური ტრადიციის ქვეყნებში (პირველად ოსმალეთში) პერალდიკის (დროშებისა და გერბების) განუყოფელ ნაწილად იქცა. მუსლიმური წელთაღრიცხვის ათვლა ხდება ჰიჯრადან (მუჰამადის გადასვლა მექიდან მედინაში 622წ.). დღე იწყება მზის ჩასვლიდან და გრძელდება მეორე დღის მზის ჩასვლამდე. ყველაზე კურთხე-

ულ თვედ ითვლება მთვარის კალენდრის მეცხრე თვე – რამადანი. წლის ბოლოს სრულდება დიდი პილიგრიმოზა მექაში, რაც ასახულია მე-12 თვის სახელწოდებაში – ზუ-ლ-ჰიჯჯა (არაბ. – ჰაჯის თვე). ოთხი თვე – მუჰარამი, რაჯაბი, ზუ-ლ-კა’და, ზუ-ლ-ჰიჯჯა – ითვლება წმინდა თვეებად (ალ-აშჰურ ალ-ჰარამი), რომლებშიც იკრძალება ომის წარმოება (ყურანი, 2:214/217). ისლამში მთავარი დღესასწაულებია: მსხვერპლშენივრის დღესასწაული (არაბ. ‘იდ ალ-ადჰა, თურქ. ყურბან ბაირამი) – სამი-ოთხი დღე ზუ-ლ-ჰიჯჯას 10 რიცხვიდან და ხსნილის დღესასწაული (არაბ. ‘იდ ალ-ფიტრ, თურქ. ურაზა ბაირამი) მარხვის დასრულებისას, შავვალის თვის პირველი სამი დღის განმავლობაში.

ისლამის, როგორც რელიგიური და იდეოლოგიური სისტემის განვითარების დამახასიათებელი თავისებურებაა პოლემიკა სხვადასხვა მიმართულებებსა და სკოლებს შორის, რომელიც თანაბრად ეხებოდა დოგმატიკის, სამართლისა და პოლიტიკის საკითხებს. პოლიტიკურმა პრობლემებმა შეიძინა რელიგიური მნიშვნელობა, ხოლო რელიგიური ღვთისმოსაობის საკითხები განიხილებოდა სამართლებრივ კატეგორიებში. თუ ადრეულ ეტაპზე მუსლიმებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ისლამის სამართლებრივი და რიტუალური დადგენილებები, VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე გაჩნდა ინტერესი თეორიულ-საღვთისმეტყველო პრობლემებისადმი, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი ხელისუფლების (ხალიფა, იმამი), სარწმუნოების (იმან), სასიკვდილო ცოდვის (ქაბირ) განმარტებისადმი. ამ ცნებების განხილვამ სათავე დაუდო დისკუსიას ნების თავისუფლებისა და ღვთიური წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ (ალ-კადარ), ღვთაებრივ არსსა და ატრიბუტებს შორის ურთიერთობაზე და ყურანის, როგორც ალაჰის სიტყვის, შექმნილობაზე. აზრთა სხვადასხვაობამ ამ საკითხებზე განაპირობა VIII საუკუნის შუა ხანებისათვის სულ მცირე 5



რელიგიურ-პოლიტიკური დაჯგუფების ჩამოყალიბება: სუნიტები, შიიტები, ხარიჯიტები, მურჯიტები და მუთაზილიტები. იმავდროულად VIII-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა მწვავე დავა ყურანისა და სუნას ტექსტების გამოყენების მეთოდებზე, როცა ისინი არ შეიცავენ პირდაპირ მითითებებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან პრობლემაზე (მუსლიმური თემის ერთსულოვანი აზრი – იჯმა' და მსჯელობა ანალოგიით – კიასი), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ისლამური სამართლის სხვადასხვა სკოლები და მიმდინარეობები. სუნიტურ ისლამში წარმოიშვა რამდენიმე საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა (მაზჰაბი), რომელთაგან დღემდე შემორჩა ოთხი: ჰანაფიტური, შაფიიტური, მალიქიტური და ჰანბალიტური. ყველაზე უფრო მეტად გავრცელდა ჰანაფიტური მაზჰაბი, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში მიიღეს ოსმალებმაც. სუნიტურ საღვთისმეტყველო-სამართლებრივ სკოლებთან ერთად აღიარებულია შიიტი-იმამიტების ჯაფარიტული მაზჰაბი. დოგმატთა დამუშავებული სისტემის შექმნის აუცილებლობამ, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო იდეური იარაღი მუთაზილიტების რაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, განაპირობა თეორიული მუსლიმური ღვთისმეტყველების (*ქალამ*) ჩამოყალიბება, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ღვთაებრივი ატრიბუტებისა და არსის ურთიერთმიმართების, წინასწარგანსაზღვრისა და ნების თავისუფლების საკითხებზე. უკვე VIII ს. დამდეგს ისლამში ჩამოყალიბდა მისტიკური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა – სუფიზმი (*თასავეუფი*), როგორც რეაქცია მუსლიმური თემის დიფერენციაციაზე და პროტესტი ფუფუნებისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. VIII-X საუკუნეებში სუფიზმი გადაიქცა იდეოლოგიურ მიმდინარეობად, რომელიც ქალამის სქოლასტიკას და ფიკჰის კაზუისტიკას უპირისპირებდა ღმერთის შეცნობის ინდივიდუ-

ალურ მისტიკურ გამოცდილებას. XI-XII საუკუნეებში ჩამოყალიბდა სუფიური საძმოები ანუ ტარიკატები.

ისლამის განვითარებაში გარდამტეხი ეტაპი იყო XIX-XXI ს. დასაწყისი, როდესაც დაიწყო მოძრაობა მუსლიმური საზოგადოების „რეფორმისათვის“ (ისლაჰ), რაც იყო პასუხი საზოგადოებრივი მოწყობის მოდერნიზაციაზე, სეკულარიზაციაზე და ევროპის კულტურულ გავლენაზე. თუმცა, ის მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო საკუთრივ საღვთისმეტყველო საკითხებს. იმავდროულად მიმდინარეობდა ისლამური სამართლის ნორმების კოდიფიკაცია და გახშირდა მოწოდებები ისლამის განმენდისაკენ „დაუშვებელი სიახლეებისაგან“ (ბიდ'ა), თავდაპირველი ისლამის აღდგენისაკენ. მუსლიმმა ღვთისმეტყველებმა ახლებურად გაიაზრეს ისლამის მრავალი ტრადიციული ნორმა, მიმდინარეობდა მუსლიმთა გაერთიანება ისლამის ფასეულობათა საფუძველზე. მუსლიმური ქვეყნების გათავისუფლებამ კოლონიური დამოკიდებულებისაგან, „ცივმა ომმა“, სოციალისტური ბლოკის ჩამოყალიბებამ და რღვევამ წარმოაჩინა პრინციპულად ახალი პრობლემები მუსლიმი სასულიერო ნოდების წარმომადგენელთა წინაშე. გაჩნდა „ისლამური სახელმწიფოს“, „ისლამური მმართველობის“, „ისლამური ეკონომიკის“, „ისლამური სოციალიზმის“ და სხვა პროექტები, რომლებიც გულისხმობდა თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ორგანიზაციის ტრადიციული ისლამური მოდელის დაწერგვას, ეკონომიკის რეგულირებას შარიათის მეშვეობით, შემოსავლების სამართლიან განაწილებას და სხვ. ჩამოყალიბდა რელიგიური პარტიები და მოძრაობები („მუსლიმი ძმები“, „ხსნის ისლამური ფრონტი“ და სხვ.). 26 ქვეყანაში ისლამი აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად. ზოგიერთი ქვეყნის სახელწოდებაში ჩართულია სიტყვა „ისლამური“ (ირანის ისლამური რესპუბლიკა, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა, მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა). მრავალ მუსლიმურ ქვეყანაში მოქმედებს გავლენიანი ისლამური პარტიები.

თანამედროვე პერიოდში ისტორიული გარემოებების გავლენით მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ისლამისადმი არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრეს შორის. ისლამი სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი განვითარების პროცესებზე და საერთაშორისო პოლიტიკაზე. სწორედ ამის გამო ისლამის ისტორიის, მისი იდეოლოგიის, ისლამური სამართლის და თანამედროვე ტენდენციების შესწავლა საკმაოდ აქტუალურია. საქართველოში ისლამის შესწავლას ტრადიციულად ჰქონდა არა მხოლოდ აკადემიური, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც განპირობებული იყო მუსლიმურ ქვეყნებთან უშუალო მეზობლობით, მუსლიმური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნილით და ისტორიული კავშირებით მუსლიმურ ისტორიულ-კულტურულ არეალთან. საქართველოს მასშტაბით ცხოვრობს 433.784 მუსლიმი (მათ შორის აზერბაიჯანელები, ჩეჩენი ქისტები, მესხი თურქები, აჭარლები და აფხაზები), ძირითადად აჭარაში, ქვემო ქართლში, კახეთში, გურიაში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლში. საქართველოში წარმოდგენილია ისლამის ორივე ძირითადი მიმართულება – სუნიზმი და შიიზმი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აგრეთვე ისლამის გავრცელების რეგიონებში მიმდინარე იდეურ-პოლიტიკური პროცესების ადეკვატური აღქმა.

1999 წელს, პირველად ქართულ ენაზე, გამოიცა *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, რომელიც შეიცავს ანბანურ რიგზე დალაგებულ 450 სტატიას ისლამის ისტორიის, ისლამის ძირითადი წესებისა და მოვალეობების, დოგმატიკის, მიმდინარეობებისა და სექტების, ძირითადი სამართლებრივი და ეთიკური ნორმების, სამოხელეო ინსტიტუტების, ცნობილ მუსლიმ მოღვაწეთა და სხვ. შესახებ. ისლამური ცნებებისა და ტერმინების განხილვის დროს, შეძლებისდაგვარად არის

წარმოდგენილი ქართული მასალა. ასევე 2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომი – ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), რომელშიც დეტალურადაა განხილული ისლამის წარმოშობა, ისტორია, იდეოლოგია, ძირითადი მიმართულებები და მუსლიმური სექტები, საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლები და სხვ. თემატურად არაბული ტერმინები და საკუთარი სახელები წარმოდგენილია სრული სამეცნიერო ტრანსლიტერაციით – გრძელი ხმოვნების, ყრუ ხშული გლოტალის ჰამზასა და ‘ანის და ემფატიკური თანხმოვნების დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენებით. თუმცა, ზემოაღნიშნული ნაშრომები აკადემიური ხასიათისაა და კვლავ აქტუალურია ისლამის მოკლე ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა თუ ენციკლოპედიური ცნობარების შედგენა, რომლებიც ინფორმაციულ დონეზე ხელს შეუწყობს ისლამის რელიგიური მოძღვრების, იდეოლოგიის, ძირითადი მიმართულებებისა თუ სამართლის შესახებ ცნობიერების ზრდას.

წარმოდგენილი ისლამის ტერმინოლოგიური ლექსიკონი (არაბულ-ქართული) მოიცავს ანბანურ რიგზე დალაგებულ არაბულ ტერმინებს, რომლებიც დაკავშირებულია ისლამთან და სპეციფიკურ ფრაზებს, რომლებიც გამოიყენება მუსლიმურ თეოლოგიასა და მუსლიმთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შერჩეული სალექსიკონო ერთეულები (500) კარგად წარმოაჩენს ისლამის დოგმატიკას, ისლამის იდეოლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რელიგიურ ეთიკას და რიტუალს, ისლამური სამართლის წყაროებს და ნორმებს და სხვ. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა ტერმინები დაჯგუფებულიყო თემატური პრინციპით, რაც გაადვილებდა ლექსიკონით სარგებლობას.

ლექსიკონში მოცემულია არაბული ტერმინის (სიტყვის, ან წინადადების სახით) 1. პრაქტიკული ტრანსკრიფცია, ქართული ორთოგრაფიის საშუალებით; 2. ფრჩხილებში – სრული

სამეცნიერო ტრანსლიტერაცია და არაბული შესატყვისი; 3. ტერმინის განმარტება; 4. ქართული თარგმანი (სიტყვასიტყვით); 5. მოცემულია მცირე ლინგვისტური ანალიზი; სიტყვის სანყისი ძირი; 6. ყურანისეული ანალიზი (რამდენჯერ გვხვდება კონკრეტული ძირი ყურანში, და გვხვდება თუ არა ამ კონკრეტული ფორმით). ამ სტრუქტურის ისლამის განმარტებითი ლექსიკონი პირველად ქვეყნდება და შესაბამისად, ვერ იქნება სრულყოფილი და დაზღვეული ხარვეზებისაგან.

ისლამის ტერმინოლოგიური ლექსიკონი შედგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროგრამის (ქვედარგი – მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია) დოქტორანტის სალომე ბოჭორიშვილის მიერ. მიგვაჩნია, რომ მის მიერ დასახული მიზანი მიღწეულია, რადგანაც ლექსიკონი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამხმარე მასალას ისლამის მრავალი საკითხის შეცნობისა და ისლამური რელიგიური ლიტერატურის კითხვისას.

**ნანი გელოვანი,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის,  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის,  
აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი

ტრანსლიტერაცია<sup>1</sup>

ხმოვნები		თანხმოვნები	
ა	ა		ا
ბ	ბ	ბ	ب
გ	გ	გ	ت
დ	დ	ს	ث
ე	ე	ჟ	ج
ვ	ვ	ჩ	چ
ზ	ზ	ხ	خ
თ	თ	ძ	ذ
ი	ი	რ	ر
კ	კ	ს	س
ლ	ლ	შ	ش
მ	მ	ც	ص
ნ	ნ	ფ	ض
ო	ო	ყ	ط
პ	პ	ჯ	ظ
რ	რ	ღ	ع
ს	ს	ვ	غ
შ	შ	ფ	ف
ჩ	ჩ	კ	ق
ც	ც	ქ	ك
ძ	ძ	ლ	ل
წ	წ	მ	م
ჭ	ჭ	ნ	ن
ხ	ხ	ჰ	ه
ცხ	ცხ	ვ	و
ჩხ	ჩხ	ყ	ي
წხ	წხ	ღ	

<sup>1</sup> იხ.: ა) ლეკიაშვილი ალ., არაბული ენა, გვ. 30; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977. ბ) ანდრონიკაშვილი მ., ანთიძე-კახიანი ნ., გარდავაძე დ., თანამედროვე არაბული ენის სახელმძღვანელო, გვ.16; ქართული აკადემიური წიგნი, 2014

<sup>2</sup> ანბანის პირველი ასო ფაქტიურად ყრუ ხშული გლოტალი ჰამზა (ء) უნდა იყოს, რომელიც ტრანსკრიფციამიალინიშნება, როგორც: ('). ტრადიციულად პირველ ადგილზე დგას ასო ალიფ- ჰამზის „საყრდენი“.



- ❖ **ადა [‘ნდა არაბ. *ءاڊا*]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ჩვეულებითი სამართლის კონცეფციას. კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა და დროში არსებული ადათი შეიძლება გამოყენებულიყო იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომლის შესახებ პირდაპირი მითითება არ არსებობდა ისლამური სამართლის ძირითად წყაროებში – ყურანსა და ჰადისებში. ეს ადგილობრივი ტრადიცია, რომელსაც სამართალმცოდნეთა მიერ მინიჭებული ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება სამართლებრივი საკითხის გადასაწყვეტად, არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობაში შარიათის პრინციპებთან. ადათი დაუნერვლი ნორმაა, რომელმაც სავალდებულო ძალა მოიპოვა ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოყენების შედეგად. სიტყვასიტყვით ნიშნავს ადათს, წესს, ჩვეულებას. არსებითი სახელი. ძირი [‘დ/ვ] ყურანში გვხვდება 106-ჯერ.
- ❖ **ავაბი [ავვანბ არაბ. *اڤاڤ*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანს, ვინც ყოველთვის ინანიებს და ყოველთვის ბრუნდება ალაჰთან (ს.ვ.თ). მომდინარეობს ზმნიდან თავაბა [اڤا] მონანიება.

ასევე აღნიშნავს მუსლიმს, რომელიც ალაჰის წინაშე ინანიებს ნებისმიერ ცუდ საქციელს. ძირი [თ/ვ/ბ] ყურანში გვხვდება 87-ჯერ.

- ❖ **აზანი [აზან არაბ. *أنا*] – ხმამალალი მონოდება** ლოცვისაკენ (*სალათ*). აზანს ასრულებს სპეციალურად შერჩეული პირი, მუეძინი მეჩეთის მინარეთიდან, სახით მექისკენ დგას და ცერით და საჩვენებელი თითებით ყურის ბიბილოები უჭირავს. აზანი წარმოითქმის არაბულ ენაზე. ეს წესი დამკვიდრდა მოციქულ მუჰამადის პერიოდში 622 წელს, რადგანაც მუსლიმები სხვადასხვა დროს იკრიბებოდნენ მეჩეთში. სუნიტური აზანი შედგება 7, ხოლო შიიტური – 8 ფორმულისგან. თითოეული ფორმულა მეორდება 2-4-ჯერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ლოცვისაკენ მონოდება. არსებითი სახელი. ძირი [’/ზ/ნ] ყურანში გვხვდება 102-ჯერ, აზან ერთხელ.

- ❖ **ათ-თაფაკუჰ ფი-დ-დინ [ათ-თაფაკუჰ ჭი-დ-დინ არაბ. *الدين في الحق*] – მუსლიმურ თეოლოგიაში** ნიშნავს რელიგიის გაგებას, ანუ მისი პრინციპების შესწავლას და გათვითცნობიერებას. ჰადისებში ის გვხვდება კონკრეტული მნიშვნელობით: „ღრმა ცოდნა ისლამის საკითხებში“. **თაფაკუჰ** ნიშნავს სრულად გაგებას/გამჭრიახობას/ ინტუი-



ციას. სიტყვასიტყვით კი ნიშნავს რელიგიის სრულად გაგებას.

- ❖ **ათ-თავაბი [ათ-თავეზბ არაბ. *التواب*] –** ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთია და ნიშნავს მას, ვინც ყოველთვის იღებს მონანიებას თავისი ქმნილებისგან. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) თაბა. ძირი [თ/ვ/ბ] ყურანში გვხვდება 87 -ჯერ, აქედან თავეზბ 12-ჯერ.
- ❖ **ათ-თაკვიმ ალ-ჰიჯრი [ათ-თაკვიმ ალ-ჰიჯრი არაბ. *التقويم الهجري*] –** ჰიჯრის კალენდარი. წელთაღრიცხვის დასაწყისად გამოცხადდა 622 წლის 16 ივლისი, ე.ი. მოციქულ მუჰამადის იასრიბში (მედინაში) გადასახლების (ჰიჯრის) შემდეგ პირველი მუჰარამი (*მუჰარამ*). ჰიჯრის კალენდარი შემოიღო მეორე მარლთმორწმუნე ხალიფა ‘უმარმა (634-644) 638 წელს. ჰიჯრის კალენდარი მთვარის-მიერია, ეფუძნება მთვარის მოძრავე ფაზებს და შედგება 12 თვისგან. სიტყვასიტყვით ჰიჯრის კალენდარი. ძირი [ჰ/ჯ/რ] ყურანში გვხვდება 31-ჯერ.
- ❖ **აია [ნაა არაბ. *آية*] –** ყურანის ტექსტის შემადგენელ სურებში (თავებში) არსებული დანაყოფი, ყურანის ლექსი. ყურანის ტექსტში ეს სიტყვა გამოიყენება ბუნებაში ღმერთის არსებობის, წინასწარ-

მეტყველურ გამოცხადებათა ჭეშმარიტების სასწაულებრივ მტკიცებულებად. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ნიშანი, სასწაული. ძირი [ა/ღ/ღ] ყურანში გვხვდება 382-ჯერ, არსებითი სახელის ფორმით აია, შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ნიშანი; 2. ყურანის ერთეული – აია; 3. სასწაული; 4. ღვთაებრივი მადლის ნიშანი.

❖ **აიათ მუთაშაბიჰათი [აღათ მუთაშაბიჰათ არაბ. – آيات المتشابهات]** – ყურანოლოგიაში აღნიშნავს აიათა იმ კატეგორიას, რომელიც ექვემდებარება არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას და გამოყენებას. აიების ეს კატეგორია საჭიროებს დამატებით მტკიცებულებებს, რადგან მათი მნიშვნელობა ორაზროვანია. ყურანის აიები მნიშვნელობათა მიხედვით ორ კატეგორიად იყოფა: ზუსტი და ალევორიული აიები. სიტყვასიტყვით ალევორიული აიები.

❖ **აიათ აღ-მუჰჰამათი [აღათ აღ-მუჰჰამათ არაბ. آيات محكمات]** – ყურანოლოგიაში ტერმინი აღნიშნავს აიათა იმ კატეგორიას, რომელთა მითითებებიც არის ზუსტი, დეტალური და მკაფიოდ განსაზღვრული. ყურანის აიები მნიშვნელობათა მიხედვით ორ კატეგორიად იყოფა: ზუსტი და ალევორიული აიები. სიტყვასიტყვით სწორი, მართალი, ჭეშმარიტი აიები.

- ❖ **აკიდა** [**აკიდა არაბ. عقيدة**] – რწმენა, კრედო, დოგმა. მუსლიმური საღვთისმეტყველო ლიტერატურის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც აღწერს ისლამური რწმენის დოგმებს. ის მოიცავს რწმენის 6 ბურჯს: ღმერთის რწმენა; ანგელოზების რწმენა; წმინდა წიგნის რწმენა; მოციქულთა რწმენა; განკითხვის დღის რწმენა; ზედისწერის რწმენა. გარდა ამისა ‘აკიდა აღნიშნავს იმ სარწმუნოებრივ საკითხებს, რომლებზედაც მუსლიმებს შორის თანხმობაა. არსებითი სახელი. ძირი [‘/კ/დ] ყურანში გვხვდება 7-ჯერ.
- ❖ **აკლი** [**აკლ არაბ. عقل**] – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ცოდნას, რომელიც ადამიანს მიეცა ალაჰისაგან ცუდის და კარგის გარჩევისათვის. უნარი, რომელიც ეხმარება მორწმუნეს წმინდა წიგნის აღქმაში. ასევე აღნიშნავს ზოგადად ცოდნას, ისლამურ ფილოსოფიაში – ინტელექტს, ხოლო სამართლისმცოდნეობაში – მიზეზს, როგორც შარიათის წყაროს. სიტყვასიტყვით გონება, აზროვნება; ინტელექტი; ის რითიც მიიღწევა ცოდნა. მასდარი ზმნის (I თემა) ‘აკალა. ძირი [‘/კ/ლ] ყურანში გვხვდება 49-ჯერ.
- ❖ **ალ-ადლ ვა-თ-თარჯიჰი** [**ალ-ადლ ვა-თ-თარჯიჰი არაბ. العدل و الترحيح**] – ჰადისის შემსწავლელი მეცნიერება შეისწავლის, ადგენს ჰადისის

გადმომცემთა სანდოობას, რის საფუძველზეც შემდგომ განისაზღვრება ჰადისის ავთენტურობა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ეჭვის შეტანა და დადასტურება, გამოკვლევა, შესწავლა.

- ❖ **ალ-ავალი** [ალ-ავვალ არაბ. *الاول*] - ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთი, ნიშნავს პირველს. ძირი [’/ვ/ლ] ყურანში გვხვდება 170-ჯერ, ხოლო ავევალ 82-ჯერ.
- ❖ **ალ-აზიზი** [ალ-’აზიზ არაბ. *العزيز*] – დიდებული, ყოვლისშემძლე, ისლამში ალაჰის (ს.ვ.თ) 99 სახელი-ეპითეტიდან ერთ-ერთი. ჰადისთმცოდნეობაში არის **Ḥāḍid**-ის ქვეკატეგორია და აღნიშნავს ჰადისს, რომელიც გადმოცემულია მხოლოდ ორი გადმომცემის მიერ. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნა (I თემა) ა’აზზა – გაკეთილშობილება, კეთილშობილურ თვისებათა შექმნა, ზნეობრივად გაფაქიზება; დაწინაურება და ამაღლება საზოგადოებაში. ძირი [’/ზ/ზ] გვხვდება ყურანში 119-ჯერ, აქედან ‘აზიზ 101-ჯერ.
- ❖ **ალ-ამრ ბი-ლ-მარუფ ვა-ნ-ნაჰი ან ალ-მანქურ** [ალ-’ამრ ბი-ლ-მა’რუფ ვა-ნ-ნაჰი ‘ან ალ-მანქურ არაბ. *الأمر بالمعروف والنهي عن المنكر*] –

ისლამურ სამართალში არსებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ყველა ქმედება უნდა იქნას მიმართული სიკეთის ხელშეწყობისკენ და ბოროტების აღსაკვეთად. სიტყვასიტყვით ნიშნავს სათნოების ხელშეწყობას და მანკიერების აღკვეთას.

❖ **ალ-არდა ალ-ახირა [ალ-‘არდ ალ-ახირა**

**არაბ. العزيمة الخيرة]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ბოლო გარდმოვლენას ყურანისა, როდესაც მთავარ ანგელოზმა ჯაბრაილმა წარუდგინა ის მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს). გადმოცემების მიხედვით, პირველი გარდმოვლენის შემდეგ მოციქულს ყურანი ყოველ რამადანის თვეს გარდმოველინებოდა, ხოლო გარდაცვალების წელს რამადანის თვეში მას ყურანი ორჯერ გარდმოველინა. სიტყვასიტყვით ბოლო ჩვენება, წარდგენა.

❖ **ალ-ასმა ალ-ჰუსნა [ალ-‘ასმა’ ალ-ჰუსნა**

**არაბ. الأسماء الحسنى]** – ყურანში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) 99 სახელ-ეპითეტს, რომლითაც მოიხსენიებენ მას. ყურანის თანახმად, „გინდ ალაჰი უწოდეთ, გინდ მონყალე. მას აქვს უმშვენიერესი სახელები და რომელი სახელითაც უნდა მიმართოთ, ყველა კარგია“. ტერმინი „ალ-‘ასმა’ ალ-ჰუსნა“ ყურანში მოხსენიებულია სამჯერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს-უმშვენიერესი სახელები.

- ❖ **ალაჰი [ალლანჰ არაბ. الله]** – ერთადერთი ღმერთი ისლამში. მომდინარეობს არაბული სიტყვიდან **ალ-ილლანჰ**, რაც ნიშნავს ზოგადად ღმერთს, ღვთაებას. **ილ**, **ელ** ან **ელოაჰ** სემიტურში გვხვდება როგორც ღმერთის აღმნიშვნელი. თეოლოგიური თვალსაზრისით, წმინდა ყურანში, რომელიც ღმერთის სიტყვაა და გადმოცემულია არაბულად, თვითონ ღმერთმა განსაზღვრა თავისი სახელი როგორც **ალლანჰ** (ს.ვ.თ). **ალაჰის** (ს.ვ.თ) ერთადერთობა, მონოთეიზმი (**თავჰიდ**) უმნიშვნელოვანესი პრინციპია ისლამში. ძირი [’/ლ/ჰ] ყურანში გვხვდება 2851-ჯერ, აქედან **ალლანჰ** 2699-ჯერ.
- ❖ **ალაჰუმეა [ალლანჰუმეა არაბ. اللهم]** – ო, ალლანჰ, ალაჰისადმი (ს.ვ.თ) მიმართვის ერთ-ერთი ძველი არაბული ფორმა. გამოიყენება ლოცვისა და ღვთისმსახურების სხვა ქმედებების დროს.
- ❖ **ალ-აჰქემ ალ-ხამსა [ალ-აჰქემ ალ-ხამსა არაბ. الأحمس الخمسة]** – ისლამურ სამართალში ტერმინი აღნიშნავს ხუთ ღირებულებას, სამართლებრივ და მორალურ რეგულაციას, რომლის მიხედვითაც კლასიფიცირდება ადამიანთა ქმედებები და ურთიერთობები. ეს არის ალაჰის (ს.ვ.თ) ბრძანება, მოთხოვნა ადამიანთა ქმედებების მიმართ, რომლის მიხედვითაც ქცევათა წარმართვა აუცილებელია მორწმუნისათვის. **ალ-აჰქემ** ალ-

ხამსა მოიცავს ხუთ კატეგორიას: 1.სავალდებულო შეუსრულებლობისათვის – სასჯელი; 2. რეკომენდებული შესრულებისათვის – ჯილდო, შეუსრულებლობისათვის – სასჯელი არაა დაწესებული; 3. საძრახისი, გასაკიცხი არ ითვლება შარიათის ნორმების დარღვევად, მაგრამ მორალური თვალსაზრისით უღირსი საქციელია; 4.ნებადართული, ქმედება, რომელიც რელიგიური სამართლისა და მორალის პრინციპებიდან არც ქების და არც გაკიცხვის ღირსია, ანუ ჩვეულებრივი ყოფითი ცხოვრების შემადგენელი უმნიშვნელო ქმედებები; 5.აკრძალული ქმედება, რომლის ჩამდენსაც ეკუთვნის სასჯელი ისლამური სამართლის მიხედვით. სიტყვასიტყვით ნიშნავს ხუთ წესს, კანონს, გადანყვეტილებას, ვერდიქტს.

❖ **ალ-ბადი** [**ალ-ბანი**’ არაბ. **أبى**] – ალაჰის (ს.ვ.თ) 99 უპითეტიდან ერთ-ერთი, ნიშნავს ყველაფრის სანყისს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ბად’ა. ძირი [ბ/დ/’] ყურანში გხვდება 15-ჯერ.

❖ **ალ-ბალადი** [**ალ-ბალანდ** არაბ. **أبى**] – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ნმინდა ყურანს, შეტყობინებას, რომელმაც ალაჰისგან (ს.ვ.თ) მოაღწია კაცობრიობამდე. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შეტყობინება, განცხადება. მასდარი ზმნის (I თე-

მა) ბალაღა. ძირი [ბ/ლ/ლ] ყურანში გვხვდება 77-ჯერ, ხოლო აქედან ბალღ 15-ჯერ.

- ❖ **ალ-ბარი [ალ-ბარი' არაბ. *ءالرب*] -** ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთი, ნიშნავს ყველაფრის შემქმნელს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარის) ზმნის (I თემა) ბარაა. ძირი [ბ/რ/] ყურანში გვხვდება 31-ჯერ, აქედან ბარი' 3-ჯერ.
- ❖ **ალ-ბასირი [ალ-ბასირ არაბ. *البصير*] -** ყურანში ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთი, ნიშნავს ყოვლისმხედველს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარის) ზმნის (I თემა) ბასარა. ძირი [ბ/ს/რ] ყურანში გვხვდება 148-ჯერ, ხოლო აქედან ბასირ 51-ჯერ.
- ❖ **ალ-ბატინი [ალ-ბატინ არაბ. *الباطن*] -** ყურანში ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთი, რაც ნიშნავს დაფარულს. ღმერთი უხილავია, არსად ჩანს, მაგრამ ის არის ყველაფრის, ყველა მოვლენის უკან/მიღმა. მიმღეობა (მოქმედებითი გვარის) ზმნის (I თემა) ბატანა. სიტყვასიტყვით დამალული უხილავი. ძირი [ბ/ტ/ნ] ყურანში გვხვდება 25-ჯერ. აქედან ბატინ 3-ჯერ.



- ❖ **ალ-იმან ათ-თაფსილი [ალ-იმან ათ-თაფსილი]**  
**არაბ. *الايان التفصيلي*** – რწმენა, რომელიც ემყარება დეტალურ ანალიზს. მუსლიმურ თეოლოგიაში რწმენის (*იმან*) ორი კატეგორიიდან ერთ-ერთია, რომელიც ნიშნავს რწმენასა და აღიარებას ყველაფრის, რაც მოციქულმა მუჰამადმა (ს.ა.ა.ს) გადასცა კაცობრიობას. ხოლო თავის მხრივ ალაჰისგან (ს.ვ.თ) გარდმოვლენილი, რომელიც მოიცავს აღიარებას, ცოდნას. სიტყვასიტყვით დეტალური რწმენა.
- ❖ **ალ-იმან ალ-იჯმალი [ალ-იმან ალ-იჯმლი]**  
**არაბ. *الايان الاجمالي*** – რწმენის (*იმან*) ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც ყოვლისმომცველ რწმენას აღნიშნავს. ეს არის მიდგომა, რომ ირწმუნო მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მიერ გადმოცემული ალაჰის (ს.ვ.თ) გზავნილი, ყოვლისმომცველად, დეტალებზე ფიქრის გარეშე. სიტყვასიტყვით ყოვლისმომცველი რწმენა.
- ❖ **ალ-ისრა ვა ლ-მირაჯ [ალ-ისრა' ვა ლ-მი'რჯ]**  
**არაბ. *الإسراء والمعراج*** – მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ღამით მოგზაურობა მექიდან იერუსალიმში, რომელიც დასრულდა ზეცად ამაღლებით. თარიღად მიიჩნევა 621 წლის 27 რაჯაბი (რაჯაბ), ან 17 რამადანი (რამადან). გადმოცემების მიხედვით,

ჯაბრაილმა, ალაჰის ნებით, შესვა მუჰამადი (ს.ვ.თ) ფრთოსან ცხოველზე – **ალ-ბურჯ** და წაიყვანა იერუსალიმში, სადაც ის ზეცად ამაღლდა მეშვიდე ცამდე. ამ მოგზაურობის შემდეგ განისაზღვრა დღეში 5-ჯერ ლოცვის წესი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ღამით მოგზაურობა და ამაღლება.

- ❖ **ალ-მაქი ვა ლ-მადანი [ალ-მაქქი ვა ლ-მადანი არაბ. *المكي والمدني*]** – ყურანის მექური და მედინური სურები. მუსლიმური ტრადიციით, ყურანის სურები იყოფა 90 მექურ და 24 მედინურ სურად. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მექური და მედინური.
- ❖ **ალ-მუჯიბი [ალ-მუჯიბ არაბ. *المجيب*]** – ისლამში ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთი და ნიშნავს მოპასუხეს, ლოცვებზე და თხოვნაზე პასუხის გაცემას. მოქმედებითი გვარის მიმღეობა ზმნის (IV თემა) აჯაბა. ძირი [ჯ/ვ/ბ] ყურანში გვხვდება 43-ჯერ, ხოლო აქედან მუჯიბი 4-ჯერ.
- ❖ **ალ-ქითაბ [ალ-ქითაბ არაბ. *الكتاب*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში **ალ-ქითაბ** გვხვდება შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ყურანი, 2. ყურანსა და მუჰამადამდე (ს.ა.ა.ს) არსებულ მოციქულთათვის გარდმოვლენილი გამოცხადებები, 3. წიგნი, სადაც

ინერება ადამიანთა ქმედებები. სიტყვასიტყვით წიგნი. მასდარი ზმნის (I თემა) ქათაბა. ძირი [ქ/თ/ბ] ყურანში გვხვდება 319-ჯერ, აქედან ქითაბ 260-ჯერ.

- ❖ **ალ-ქითაბ ალ-მანზურ ვა ლ-ქითაბ ალ-მაკრუ [ალ-ქითაბ ალ-მანზურ ვა ლ-ქითაბ ალ-მაკრუ] არაბ. *الكتاب المنظور والكتاب المقروء***- წიგნი ნანახი და წიგნი ნაკითხული. მუსლიმურ თეოლოგიაში „ალ-ქითაბ ალ-მანზურში“ იგულისხმება სამყარო, ხოლო „ქითაბ ალ-მაკრუ“ში“ კი ზეგარდმოვლენილი წიგნები, როგორც არის თორა, ბიბლია და ყურანი.
- ❖ **ალ-ქუთუბ ას-სითთა [ალ-ქუთუბ ას-სითთა არაბ. *الكتب الستة*]**- მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ქმედებებისა და გამონათქვამების შესახებ გადმოცემათა, ჰადისთა ექვსი კრებული, რომლებიც ყველაზე უფრო ავტორიტეტულად ითვლება სუნიტებისათვის. ეს ექვსი კრებული ასევე იწოდება როგორც *ას-საჰიჰ ას-სითთა* – ავთენტური, სწორი ექვსი. კრებულთა შედგენა დაიწყო მოციქულის (ს.ა.ა.ს) გარდაცვალების შემდგომ, IX საუკუნეში 6 სუნიტი მეცნიერის: *ალ-ბუხარის, მუსლიმ ან-ნისაბურის, ათ-თირმიზის, აბუ დჟადის, ან-ნასა'ინს,*

იბნ მჯას მიერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს ექვს ნიგნს. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.

- ❖ **ალ-ჰადი [ალ-ჰადი არაბ. *أحاديث*]**– ისლამში ალა-ჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთია და ნიშნავს ხელმძღვანელს, მმართველს, გზის მაჩვენებელს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) *ჰუდა* – ხელმძღვანელობა. ძირი [ჰ/დ/დ] ყურანში გვხდება 316-ჯერ, აქედან ფორმით *ჰადი* 2-ჯერ.
- ❖ **ალ-ჰადის ალ-მავდუ [ალ-ჰადის ალ-მავდუ არაბ. *الحديث الموضوع*]**– ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს გამოგონილ ჰადისებს. ჰადისი, რომელსაც გადმომცემი თვითონ იგონებს და უკავშირებს მოციქულს (ს.ა.ა.ს). სიტყვასიტყვით საეჭვო ავთენტურობის მქონე ჰადისი. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.
- ❖ **ალ-ჰადის ალ-მავკუფი [ალ-ჰადის ალ-მავკუფ არაბ. *الحديث الموقوف*]**– ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისთა იმ კატეგორიას, რომელიც მიენერება მოციქულის (ს.ა.ა.ს) მიმდევრებს (ას-ჰაბ). სიტყვასიტყვით ნიშნავს შეჩერებულ ჰადისს. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.

- ❖ **ალ-ჰადის ალ-მარფუ [ალ-ჰადის ალ-მარფუ‘ არაბ. الحديث المرفوع ]** – ჰადისთმცოდნეობაში ენოდება ჰადისების იმ კატეგორიას, რომელიც მიენერება მუჰამად მოციქულს (ს.ა.ა.ს), მაგრამ გადმომცემთა ჯაჭვის უწყვეტობით ეს არ არის დადასტურებული. სიტყვასიტყვით ნიშნავს ამაღლებულ ჰადისს. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.
- ❖ **ალ-ჰადის ალ-მაშჰური [ალ-ჰადის ალ-მაშჰურ არაბ. الحديث المشهور ]**– ჰადისთმცოდნეობაში ენოდება ჰადისთა იმ კატეგორიას, რომლის გადმომცემთა თითოეულ დონეზე სულ მცირე სამი გადმომცემი მაინც არის წარმოდგენილი. სიტყვასიტყვით ნიშნავს ცნობილ ჰადისს. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.
- ❖ **ალ-ჰადის ალ-მუნკატი [ალ-ჰადის ალ-მუნკატი‘ არაბ. الحديث المنقطع ]**– ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისთა იმ კატეგორიას, რომლის გადმომცემთა ჯაჭვი არასრულია, აკლია ერთი ან რამდენიმე გადმომცემის სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განყვეტილი ჰადისი. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.

- ❖ **ალ-ჰადის ალ-ჰასანი [ალ-ჰადის ალ-ჰასან არაბ. الحديث الحسن]** – ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისთა იმ კატეგორიას, რომლის გადმომცემთა ჯაჭვი შეფასებულია როგორც კარგი. ეს არის ჰადისთა ის ჯგუფი, რომლის ავთენტურობა არ არის ბოლომდე დამტკიცებული, მაგრამ შესაძლებელია მათი გამოყენება, როგორც დამატებითი მტკიცებულება. სიტყვასიტყვით ნიშნავს კარგ ჰადისს. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.
- ❖ **ალ-ჰადის ას-საჰიჰი [ალ-ჰადის ას-საჰიჰი არაბ. الحديث الصحيح]** – ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს იმ ჰადისებს, რომელთა გადმომცემთა ჯაჭვი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას: 1. არის უწყვეტი; 2. გადმომცემები არიან კარგად ცნობილი ადამიანები, მორალური ღირებულებებისა და კარგი მეხსიერების მქონენი. სიტყვასიტყვით ნიშნავს სწორი ჰადისს. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.
- ❖ **ალ-ჰამდუ ლი-ლაჰი ალლაჰი ატამნა ვა საქანა ვა ჯაალნა მუსლიმინი [ალ-ჰამდუ ლი-ლაჰი ალ-ლაჰი ატ'ამნა ვა საქანა ვა ჯა'ალნა მუსლიმინ არაბ. الحمد لله الذي اطمننا و جعلنا مسلمين]** – დიდება ალაჰს (ს.ვ.თ),

რომელმაც მოგვცა საჭმელი, სასმელი და გვაქცია მუსლიმებად. ამ ფრაზას მუსლიმები წარმოთქვამენ საჭმლის მიღების შემდგომ.

- ❖ **ალ-ჰამიდი [ალ-ჰამიდ არაბ. *الحميد*] –** ალაჰის (ს.ვ.თ) 99 სახელიდან ერთ-ერთია, ნიშნავს საქებადს, ქების ღირსს. ალაჰი ყოველგვარი ქების ღირსია მისი სრულყოფილების გამო; მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ჰამადა. ძირი [ჰ/მ/დ] ყურანში გვხვდება 63-ჯერ, ხოლო აქედან ჰამიდ 17-ჯერ.
- ❖ **ალ-ჰარამინი [ალ-ჰარამინ არაბ. *الحرامين*] –** ისლამში ეწოდება წმინდა ქალაქებს – მექას და მედინას. წმინდა ქალაქის სტატუსიდან გამომდინარე, მექისა და მედინის ტერიტორიაზე: აკრძალულია ადამიანის მოკვლა, ნადირობა, ხის გადაარგვა, მოსავლის აღება, იარაღით გადაადგილება, არამუსლიმის შესვლა სიტყვასიტყვით ორი აკრძალული რამ, ორობითი რიცხვი არსებითი სახელისა – ჰარამ.
- ❖ **ალ-ჰაფიზი [ალ-ჰაფიზ არაბ. *الحفيظ*] –** ისლამში ალაჰის (ს.ვ.თ) 99 ეპითეტიდან ერთ-ერთი. ნიშნავს, რომ ღმერთი ჭეშმარიტი მფარველია მთელი სამყაროსი და მისი მფარველობა უსასრულოა. სიტყვასიტყვით ნიშნავს მფარველს, დამცველს.

მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ჰაფაზა. ძირი [ჰ/ფ/ზ] ყურაშნი გვხვდება 44-ჯერ, აქედან 12-ჯერ ჰაჰიზ.

- ❖ **აღ-ჰაჯარ აღ-ასვად [აღ-ჰაჯარ აღ-ასვად არაბ. *الحجر الأسود*]** – „შავი ქვა“, რომელიც, მუსლიმური თვალსაზრისით, გადმოვარდა ზეციდან და მოციქულმა იბრაჰიმმა განათავსა ის მექაში, ქააბას აღმოსავლეთ კუთხეში. ჰადისების მიხედვით, მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მაგალითით, პილიგრიმები ჰაჯის შესრულებისას ცდილობენ შეეხონ, ეამბორონ შავ ქვას. სიტყვასიტყვით: შავი ქვა.
- ❖ **ამანა [’ამნა არაბ. *أمانة*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანის ვალდებულებას უზენაესის წინაშე. გადმოცემის თანახმად, მოციქულმა მუჰამადმა (ს.ა.ა.ს) თქვა: „არ აქვს რწმენა (იმნ) იმას, ვინც არ იცავს ამანა-ს და არ აქვს რელიგია იმას, ვინც არ იცავს შეთანხმებას“. ღმერთმა ადამიანს მისცა ყველაფერი, მათ შორის თავისუფალი ნება, რომ თვითონ გააკეთოს არჩევანი ცუდსა და კარგს შორის. ამანა სიტყვასიტყვით ნიშნავს ნდობას, სათნოებას, პატიოსნებას, ერთგულებას. მასდარი ზმნის (I თემა). ძირი [’/მ/ნ] ყურანში გვხვდება 879-ჯერ, აქედან ამინა 20 -ჯერ, ’ამანა 4-ჯერ.



- ❖ **ანსარები/ანსარი [ანსარ არაბ. انصار]** – ისლამში აღნიშნავს დამხმარეებს, ხალხს, რომლებმაც იასრიბში (მედინა) დახმარება აღმოუჩინეს მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს) და მის თანმხლებ პირებს, 622 წელს მექის დატოვების შემდეგ. მათ ასევე მიიღეს ისლამი. ამ სახელწოდებით მოიხსენიება ბანუ ხაზრაფის და აუსის არაბული ტომები. **ანსარ** არის მრავლობითის ფორმა სიტყვისა **ნასირ** – დამხმარე, მხარდამჭერი. მოქმედებითი გვარის მიმღეობა. ძირი [ნ/ს/რ] ყურანში გვხვდება 158-ჯერ, ხოლო **ნასირ** 35-ჯერ.
- ❖ **არ-რიდა [არ-რიდა არაბ. ردا]** – მუსლიმურ ისტორიოგრაფიაში მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) გარდაცვალების შემდგომ, ხალიფა აბუ ბაქრის (643-634) არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამისაგან განმდგარი (არ-რიდა) არაბული ტომების აჯანყება, რომელთაც უარი თქვეს ზაქათის გადახდაზე. ხალიფამ, ცნობილი მხედართმთავრის ხალიდ იბნ ვალიდის დახმარებით, შეძლო აჯანყებულთა დამორჩილება და ისლამის განმტკიცება არაბეთის ნახევარკუნძულზე.
- ❖ **არქან ალ-ისლამ [არქან ალ-ისლამ არაბ. انكسار]** - ისლამის ხუთი ბურჯი, რწმენის აღიარების ქვაკუთხედი, რაც გულისხმობს ალაჰის (ს.ვ.თ) ერთადერთობისა და მუჰამადის (ს.ა.ა.ს)

სამოციქულო მისიის აღიარებას (*აშ-შაჰადა*), ყოველდღიური ხუთჯერადი კანონიკური ლოცვის, ზაქათის, მარხვისა და ჰაჯის მოვალეობათა შესრულებას. სიტყვასიტყვით ისლამის ბურჯები, საყრდენები, ქვაკუთხედები.

- ❖ **ასარია** [*ასარია არაბ. اثرية*] – მუსლიმურ თეოლოგიაში სუნიტური სკოლა, რომელიც ხასიათდება მკაცრი ტრადიციონალიზმით, ყურანის და ჰადისების განმარტებისას ზედმინევით ტექსტზე დაყრდნობით. უარყოფს რაციონალურ მსჯელობას. თეოლოგიურ-სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ეყრდნობა მხოლოდ ყურანსა და ჰადისებს. იღებენ წმინდა ტექსტს კითხვა „როგორ“-ის გარეშე. ჩამოყალიბდა VIII საუკუნეში. სიტყვასიტყვით ნიშნავს ტექსტუალიზმს. ძირი [ʔ/ს/რ] ყურანში გვხვდება 21-ჯერ.

- ❖ **ასბაბ ან-ნუზულ** [*ასბაბ ან-ნუზულ არაბ. أسباب النزول*] – ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში ეს არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ყურანის გამოცხადებათა გარდმოვლენის გარემოებებს. ის არის თაფსირის (ყურანის განმარტებების) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მეცნიერთა მოსაზრებით, ყურანის აიები იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი გარდმოველინა განსაკუთრებული მოვლენების, შემთხვევების ან მოციქულ მუჰამადის

კითხვებზე პასუხად; ხოლო მეორე ნაწილს არ ჰქონდა გარდმოვლენის კონკრეტული მიზეზი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გარდმოვლენის მიზეზები.

- ❖ **ასმა ვა სიფათ [ასმ' ვა სიფათ არაბ. و أسماء صفات]** – ისლამში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) სახელებსა და თვისებებს, რომელიც მხოლოდ მას ახასიათებს. ხოლო თავჰიდ ალ-ასმ' ვა სიფათ ეს არის რწმენა და მიღება ალაჰის სახელებისა და თვისებების, რომლითაც თვითონ ალაჰი აღწერს საკუთარ თავს. ისლამის მიხედვით არავის არ აქვს უფლება შეცვალოს ალაჰის მახასიათებლები რომლებიც განსაზღვრული იყო მისი ან მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მიერ. სიტყვასიტყვით სახელები და თვისებები.
- ❖ **ასჰაბები / ალ-ასჰაბი [ალ-ასჰაბ არაბ. اصحاب]** – მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მიმდევრები: 1. მუსლიმები ანუ ის ადამიანები, რომელთაც ისლამი მიიღეს მის სიცოცხლეში და მასთან ერთად მონაწილეობდნენ მუსლიმურ-არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში; 2 ისინი, ვინც ერთხელ მაინც იხილა თავის სიცოცხლეში მოციქული მუჰამადი (ს.ა.ა.ს). ასჰაბების როლი უმნიშვნელოვანესია სუნას ჩამოყალიბებაში. ასჰაბ ან საჰაბა მრავლობითი რიცხვი სიტყვისა საჰიბ – მეგობარი,

კომპანიონი, თანამგზავრი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) **საჭაბა**. ძირი [ს/ჭ/ბ] ყურანში გვხვდება 97-ჯერ, **საჭიბ** 10-ჯერ, ხოლო **ასჭანბ** 78-ჯერ.

❖ **აუზუ ბილაჰი მინ აშ-შაიტან არ-რაჯიმი**  
**[ა'უზუ ბილლაჰი მინ აშ-შაიტან არ-რაჯიმი**

**არაბ. أعوذ بالله من الشيطان الرجيم]** – თავს ვაფარებ ალაჰს (ს.ვ.თ) დაწყველილი ეშმაკისგან. მორწმუნე წარმოთქვამს, როდესაც საფრთხეს გრძნობს, ან საფრთხეშია. გვხვდება ყურანის სურაში „ან-ნაჰლ“ [16:98] „როდესაც კითხულობ ყურანს, ეძიე თავშესაფარი ალაჰთან ქვებით ჩაქოლილი შაითანისაგან“.

❖ **აშარიტები / აშარია [აშ'არიჰა არაბ. أشعريّة]**

– აშარია, იგივე აშარიტები, მუსლიმური თეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მიმდევრები, მუთაქალიმები, რომლებიც ეყრდნობიან ქალამს (ისლამური სპეკულაციური თეოლოგია) და ლოგიკურ აზროვნებას. დაარსდა X საუკუნეში, აბუ ალ-ჰასან ალ-აშ'არის მიერ და სახელწოდებაც აქედან მოდის. მათი იდეოლოგია რაციონალური არგუმენტებით ღმერთის არსებობის, ხოლო ყურანის, როგორც ღვთიური, წმინდა, შეუქმნელი სიტყვის დამტკიცებას ემსახურებოდა. მკაცრად იცავდნენ დოგმატებს.

- ❖ **აჯალი [აჯალ არაბ. *أجل*] –** ყურანისეული ტერმინი, ნიშნავს ალაჰის მიერ განსაზღვრულ დროს, მათ შორის ადამიანის გარდაცვალების დროს, რომელიც უცვლელია. ზოგადი გამოყენებისას აღნიშნავს ასევე დაბადების თარიღს, განკითხვის დღეს. სიტყვასიტყვით ნიშნავს განსაზღვრულ დროს, ბედს, ბედისწერას. ძირი [ʔჯ/ლ] ყურანში გვხვდება 56-ჯერ, ხოლო აჯალ 52-ჯერ.
- ❖ **აჯრუქუმ ალა ლაჰი [აჯრუქუმ ‘აღნ ლლაჰ არაბ. *أجر على الله*] –** ალაჰმა (ს.ვ.თ) აგინაზლაუროს დანაკარგი (კომპენსაცია). ამ ფრაზას ამბობენ იმ ადამიანთან მიმართებით, რომელმაც რაიმე დაკარგა, მაგრამ კომპენსირებას იმსახურებს.
- ❖ **აჰადი [აჰანდ არაბ. *أحد*] –** ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს: 1.ჰადისთა იმ კატეგორიას, რომელიც გადმოცემულია მხოლოდ ერთი გადმომცემის მიერ; 2.გადმომცემას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სანდო ჰადისთა კატეგორიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (*მუთავათირ –* ჰადისთა ის კატეგორია, რომლის ჭეშმარიტება განმტკიცებულია გადმომცემთა უწყვეტი, გრძელი ჯაჭვით) გადმომცემთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე. სიტყვასიტყვით ნიშნავს ერთს. ძირი [ვ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 68-ჯერ.

- ❖ **აჰლი** [‘აჰლ არაბ. *أهل*] – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანთა აღთქმას ალაჰის მიმართ. სიტყვასიტყვით ხელშეკრულება, აღთქმა. მასდარი ზმნის (I თემა) ზმნის ‘აჰიდა. ძირი [‘/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 46-ჯერ, აქედან 29 ჯერ აჰლ.
- ❖ **აჰლ ალ-ბაითი** [აჰლ ალ-ბაით არაბ. *أهل البيت*] – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ოჯახი. ყურანში კი იბრაჰიმის სახლის და ასევე მუჰამადის (ს.ა.ა.ს) „სახლის ოჯახის“ მნიშვნელობით არის მოცემული. სუნიტი მუსლიმები აჰლ ალ-ბაითს მიაკუთვნებენ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ოჯახს, ტალიბიანებს, აბასიანებს (მოციქულის ბიძების აბუ ტალიბისა და აბასის შთამომავლებს) ან მთლიანად ჰაშიმიანებს. შიიტები კი ალისა და ფატიმას შთამომავლებს მიაკუთვნებენ მოციქულის ოჯახს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სახლის ხალხი.
- ❖ **აჰლ ათ-თასლისი** [აჰლ ათ-თასლის არაბ. *أهل التثليث*] – მუსლიმურ თეოლოგიაში ეწოდება ხალხს, რომელიც აღიარებს წმინდა სამებას. ისლამის მიხედვით ღმერთს არ ჰყავს მოზიარე, ის ერთადერთია. ამიტომ სამების (თასლის) მიმდევ-

რობა მონოთეიზმის იდეის უარყოფა და მრავალ-  
ღმერთიანობაა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სამების  
ხალხი.

❖ **აჰლ ალ-ფათრა [აჰლ ალ-ჰათრა არაბ. *أهل***

***الفترة*]**-მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ხალხს,  
რომელიც ცხოვრობდა იესოდან მუჰამადამდე  
(ს.ა.ა.ს) პერიოდში, არ მისდევდა არცერთ რელი-  
გიას. ასევე აღმნიშვნელია მათი, ვისაც არ მიუღი-  
ათ ისლამისკენ მოწოდება, ცხოვრობდნენ ისლამური  
სწავლების იგნორირებით. სიტყვასიტყვით  
დროის, პერიოდის ხალხი.

❖ **აჰლ ალ-ქითაბი [აჰლ ალ-ქითაბ არაბ. *أهل***

***الكتاب*]**- წმინდა წიგნის მქონე ხალხი. ისლამში ამ  
ტერმინით აღინიშნება ქრისტიანები, ებრაელები,  
და საბაელები, ისინი ვისაც ყურანის თანახმად,  
ალაჰმა გარდმოუვლინა წიგნები, ანუ საღვთო წე-  
რილები (ათ-თავრა – თორა, ზაბურ – ფსალმუნე-  
ბი, ინჯილ – სახარება). წიგნის ხალხი, მოციქულ  
მუჰამადის (ს.ა.ა.ს) პერიოდიდან, სარგებლობდა  
პრივილეგიებით, აღმსარებლობის თავისუფლებით  
ჯიზიას (სულადობრივი გადასახადის) გადახდის  
სანაცვლოდ. ასევე მუსლიმ მამაკაცს რელიგია არ  
უკრძალავს აჰლ ალ-ქითაბის წარმომადგენელ  
ქალზე ქორწინებას. სიტყვასიტყვით წიგნის ხალ-  
ხი.

- ❖ **აჰლ ალ-ჰადისი [აჰლ ალ-ჰადინს არაბ. *أهل الحديث*] –** აჰლ ალ-ჰადის, ან ასჰაბ ალ-ჰადის (ჰადისის მიმდევრები) მუსლიმური სამართლისმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების წარმომადგენლები, რომელთაც ყურანთან ერთად მოციქულის (ს.ა.ა.ს) ავთენტური ჰადისები მიაჩნდათ ერთადერთ წყაროდ სამართლისა და რწმენის საკითხებში. სიტყვასიტყვით ჰადისის მიმდევრები.
- ❖ **აჰლ არ-რაი [აჰლ არ-რა'ი არაბ. *أهل الرأي*] –** რაციონალური მსჯელობის მომხრეები, მუსლიმური სამართლისმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების წარმომადგენლები, რომლებიც ეყრდნობიან ლოგიკურ მსჯელობას, პირად აზრს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისას. სიტყვასიტყვით ნიშნავს პირადი მოსაზრების, ლოგიკური აზროვნების, ხედვის ხალხს. სინონიმი ასჰაბ არ-რა'ი.
- ❖ **აჰლ ას-სუნა ვა-ლ-ჯამა [აჰლ ას-სუნნა ვა-ლ-ჯამან' არაბ. *أهل السنة والجماعة*] –** სუნასა და თემის თანხმობის ხალხი, სუნიტური, ორთოდოქსული ისლამის მიმდევრები. სუნიტებისათვის განმსაზღვრელია მოციქულის (ს.ა.ა.ს) სუნას აღიარება, საიდანაც მომდინარეობს ტერმინის პირველი



ნაწილი. ასევე ეს თემი მიიჩნევა განსაკუთრებული როლის მქონედ ისლამში. სუნიზმის აღიარება ნიშნავს: ოთხი „მართლმორწმუნე“ ხალიფას კანონიერების აღიარებას; ჰადისთა ექვსი კრებულის სანდოობის აღიარებას, ოთხი რელიგიურ-იურიდიული სკოლიდან ერთ-ერთისადმი კუთვნილებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სუნასა და თემის თანხმობის ხალხი.

- ❖ **აჰრუფ საბა [აჰრუფ საბ‘ა არაბ. *أحرف سبأ*] –** ისლამურ თეოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავს ყურანის და მისი თითოეული ასოს კითხვის, წარმოთქმის შვიდ ხერხს. მუსლიმური ტრადიციით ყურანი გარდმოვლენილ იქნა შვიდი აჰრუფით (აჰრუფ – გამოცემა, სტილი, გზა, ფორმა). სიტყავისიტყვით ნიშნავს: შვიდი ასო.



- ❖ **ბაია** [ბაი'ა არაბ. *باية*] – ერთგულების ფიცი. ის პრაქტიკაში იყო მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) დროს. მაგალითად, ჰუდაიბიას ხელშეკრულების დადებამდე(628წ.), მუჰამადმა თანმხლებთ „ალაჰისათვის სასურველი ფიცის“ (ბაი'ა არ-რიდვან) დადება მოსთხოვა. ბაი'ა მოგვიანებით გამოიყენებოდა აგრეთვე ნერილობით ხელშეკრულებასთან მიმართებაში. სიტყვასიტყვით ნიშნავს: პატივისცემა, ერთგულება. ძირი [ბ/ა/'] ყურანში გვხვდება 15-ჯერ.
- ❖ **ბაიანა** [ბაიიანა არაბ. *باينة*] – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანის აიას (აიებს – ბაიიანთ [باينات]), როგორც ჭეშმარიტ მტკიცებულებას, რომელიც ადგენს სიმართლეს, ააშკარავებს სიცრუეს. სიტყვასიტყვით ნიშნავს ცხადი ნიშანი, ცხადი მტკიცებულება. არსებითი სახელი. ძირი [ბ/ა/ნ] ყურანში გვხვდება 523-ჯერ, ხოლო ბაიიანა 71-ჯერ.

- ❖ **ბაიანი [ბაჰან არაბ. *بائى*] –** ისლამურ თეოლოგიაში აღნიშნავს: 1. „აღ“ არტიკლით აღ-ბაჰან, ყურანს, როგორც ბოლო გამოცხადებას. 2. *‘ილმ აღ-ბაჰან* ანუ მჭევრმეტყველების მეცნიერება/ხელოვნება. 3. განმარტება; ისლამისთვის ყურანის განმარტება უმნიშვნელოვანესია, რათა თავიდან იქნას აცილებული უთანხმოება, რომელიც გამოწვეულია აიების განსხვავებული გაგებით. ყურანის პირველ განმამარტებელად თვითონ მოციქული მუჰამადია (ს.ა.ა.ს) მიჩნეული. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სიცხადე, გამჭვირვალობა, მანიფესტაცია. მასდარი ზმნის (I თემა) ბნნა. ძირი [ბ/ღ/ნ] ყურანში გვხვდება 523-ჯერ, აქედან ბაჰან 3-ჯერ.
- ❖ **ბაითი [ბაჰთ არაბ. *بئى*] –** ისლამში *აღ-ბაჰთ* (არტიკლიანი ფორმით) ეწოდება ქააბას, პირველ სახლს, რომელიც აშენებულ იქნა იბრაჰიმისა და მისი ვაჟის ისმაილის მიერ ალაჰის (ს.ვ.თ) ერთგულებით. ქააბა ასევე იწოდება როგორც *ბაჰთ აღ-ლაჰ* (არაბ. *بيت الله*) რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) სახლს. ძირი [ბ/ღ/თ] ყურანში გვხვდება 73-ჯერ, აქედან ბაჰთ 65-ჯერ.
- ❖ **ბალაღა [ბალღა არაბ. *بلاغ*] –** მჭევრმეტყველება, რიტორიკა. ცოდნა ფრაზათა შესაბამისი შეერთების ან განცალკევებისა, რომელიც ანიჭებს სიცხადეს ნათქვამს, რათა გაძლიერდეს ნათქვა-

მის დიდაქტიკური და ესთეტიკური მნიშვნელობა. მასდარი ზმნის (I თემა) ბალულა. ყურანში ძირი [ბ/ლ/ლ] გვხვდება 77-ჯერ.

❖ **ბარაქა ლაჰ ფიქი/ფიქუმ [ბნრაქა ლლაჰ**

**ჰიქ/ჰიქუმ არაბ. كرسى الله في** – ალაჰმა (ს.ვ.თ)

დაგლოცოს/დაგლოცოთ. ფრაზა წარმოადგენს შექებას, კომპლიმენტს, რომელიც ითქმის ნებისმიერ ვითარებაში.

❖ **ბარზახი [ბარზახ არაბ. جزاء]** – საზღვარი, მიჯ-

ნა. ყურანის მიხედვით არის ადგილი, სადაც სული სხეულს ეყრება და განკითხვისათვის წარსადგენად მიემართება. ანუ ეს არის გარდამავალი მდგომარეობა, რომელშიც ადამიანის სული იმყოფება გარდაცვალებასა და განკითხვის დღეს შორის პერიოდში. სიტყვასიტყვით ნიშნავს განცალკევებას, დაბრკოლებას, გამიჯვნას, ბარიერს. არაბულში შემოსულია სპარსულიდან. ყურანში ნახსენებია ორჯერ.

❖ **ბასი [ბა‘ს არაბ. بعث]** – მუსლიმურ თეოლოგიაში

აღნიშნავს განკითხვის დღეს, როდესაც ალაჰის (ს.ვ.თ) წინაშე წარსადგენად მკვდრეთით აღდგება და ერთ ადგილას შეიკრიბება, ყველა ვინც დედამინაზე ოდესმე ცხოვრობდა. ყურანში განკითხვის დღესთან, მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგო-

მასთან დაკავშირებით მოგვითხრობს 1200-მდე აია. მასდარი ზმნის (I თემა) ბა'ასა. ძირი [ბ/‘/ს] ყურანში გვხვდება 67-ჯერ, ხოლო ბა'ს 4-ჯერ.

❖ **ბასმალა/ბისმი ლაჰი [ბისმი ლლაჰი არაბ.**

**الله اسم]** – ალაჰის (ს.ვ.თ) სახელით. ეს არის შემოკლებული ფორმა გამოთქმისა „ბისმი ლლაჰი რ-რაჰმანი რ-რაჰიმი“ – სახელითა ალაჰისა, მონყალი-სა, მწყალობლისა. ამ სიტყვებით იწყება ყურანი. თვითონ ბასმალა წარმოითქმება როგორც ღმერთისადმი დახმარების თხოვნის კონტექსტში. მუსლიმი ნებისმიერი მოქმედების წინ ამ ფორმულის წარმოთქმით ხაზს უსვამს ღმერთის ნებას შემდგომ ქმედების განხორციელებაში, რადგან მისი ნებისა და სურვილის გარეშე არაფერი ხდება ამ ქვეყნად.

❖ **ბატინი [ბტინ არაბ. باطن]**– მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანისა და სუნას ალეგორიულ განმარტებას. მიზნად ისახავს ყურანის საიდუმლო, ფარული, ჭეშმარიტი მნიშვნელობების წარმოჩენას. ეს მიდგომა გამოიყენება შიიტ-ისმაილიტებთან და სუფიზმში. სიტყვასიტყვით შინაგანი, შიდა, საიდუმლო, ფარული. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ბატანა. ძირი [ბ/ტ/ნ] ყურანში გვხვდება 25-ჯერ, ხოლო ბტინ 3-ჯერ.

- ❖ **ბაშირი [ბაშირ არაბ. *باشير*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში გვხვდება, როგორც მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) წოდება და ნიშნავს კარგი ამბების მომტანს, მახარობელს, მაცნეს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) *ბაშშარა*. ძირი [ბ/შ/რ] ყურანში გვხვდება 123-ჯერ.
- ❖ **ბიდა [ბიდ'ა არაბ. *بدا*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს სიახლეს. ბიდ'ა-დ იწოდება ყველაფერი ის, რაც არის ახალი და არ აქვს არანაირი კავშირი მუსლიმურ საზოგადოებაში არსებულ ტრადიციულ პრაქტიკასთან (სუნასთან). სუნიტი მუსლიმები **ბიდ'ა-ს** მიმართ პოზიციით ორ ნაწილად იყოფიან: ჰანბალიტური მაზჰაბი, ვაჰაბიტები მას ყოვლად მიუღებლად მიიჩნევენ, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ განვითარება განაპირობებს გარკვეული სახის სიახლეების აუცილებლობას. ბიდ'ა იყოფა ორ კატეგორიად: 1. კარგი, საქებარი; 2. ცუდი; გასაკიცხი, დასასჯელი. არსებითი სახელი. ძირი [ბ/დ/'] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.
- ❖ **ბიზნილაჰი [ბი'ზნილლაჰ არაბ. *الله* *إله*]** – ალაჰის (ს.ვ.თ) ნებით. მუსლიმები გამოიყენებენ საუბრისას, განსხვავებით *ინშალასგან* ეს გამოთქმა მიემართება ყველა დროის მონაკვეთს. ხაზს

უსვამს, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ღმერთის ნებით და სურვილით ხდება. ყურანში არის მოხსენიებული ერთხელ (3:145).

- ❖ **ბილა ქაიფი [ბილჲ ქაიფ არაბ. *بلا كیف*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში არსებული პრინციპი, რომელიც აღნიშნავს მიიღო მოცემული რამ კითხვის გარეშე „როგორ“. გამოიყენება ღმერთის შესახებ ანთროპომორფული კითხვების დროს, რადგან ღმერთის არსებობის ფორმა აღემატება ადამიანთა გაგებას, ცოდნას. ასევე გამოიყენება ყურანის აიებთან მიმართებით, რაც ნიშნავს მიღო ყოველგვარი კითხვის გარეშე. სიტყვასიტყვით ნიშნავს *როგორის გარეშე* ანუ *გარეშე* კითხვისა როგორ.
- ❖ **ბირი [ბირრ არაბ. *بِر*]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ დასაშვებ ქმედებებს, ყველაფერს რაც მისაღებია ალაჰისთვის, რაც გამართლებულია ალაჰის მიერ და თანხვედრაშია კაცობრიობის უფლებებთან, როგორც ხილული ქმედება ისე შინაგანი განზრახვა. ყურანში გვხვდება, როგორც ღვთისმოსაობის აღმნიშვნელი. მასდარი ზმნის (I თემა) ბარრა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სიკეთე, სიყვარული, წესიერება, ღვთისმოშიშობა, ქველმოქმედება. ძირი [ბ/რ/რ] ყურანში გვხვდება 32-ჯერ, ხოლო ბირრ 8-ჯერ.



- ❖ **დავა [და'ვა არაბ. *دعوة*] –** ისლამის ქადაგება; ისლამისკენ მოწოდება, რომელიც მიმართულია: 1. მუსლიმებისაკენ, მიზნად ისახავს მათთვის რელიგიის სწორი პრინციპების სწავლებას და მუსლიმური საზოგადოების გამოცოცხლებას, აღორძინებას. 2. არამუსლიმებისაკენ, მიზნად ისახავს მათ ისლამზე მოქცევას. ისლამური თვალსაზრისით რელიგიის პირველი მქადაგებლები თვითონ ალაჰი და მისი მოციქულები არიან. მასდარი ზმნის (I თემა) და'წ. სიტყვასიტყვით ნიშნავს მოწოდება, მოწვევა, მოხმობა, აგიტაცია, პროპაგანდა. ძირი [დ/'ვ] ყურანში გვხვდება 212-ჯერ, აქედან და'ვა 6-ჯერ.
- ❖ **დავა [და'ვწ არაბ. *دعوى*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს სარჩელს. მასდარი ზმნის (I თემა) და'წ. ძირი [დ/'ვ] ყურანში გვხვდება 212-ჯერ.
- ❖ **დაი [და'ი არაბ. *دعا*] –** მქადაგებელი, ის ვინც ქადაგებს ისლამს ან მოუწოდებს ისლამისკენ. მქა-



დაგებელი ქადაგებს ძირითადად არამუსლიმებთან, მაგრამ შეიძლება ქადაგებდეს მუსლიმებთანაც. სიტყვასიტყვით ნიშნავს მქადაგებელს, მომწოდებელს, აგიტატორს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) და 'წ. ძირი [დ/’/ვ] ყურანში გვხვდება 212-ჯერ, აქედან 4-ჯერ და 'წ ფორმა.

❖ **დაიფი [და'იფ არაბ. ضيف]-**ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისებს, რომელთა ავთენტურობის ხარისხი არის სუსტი. ზედსართავი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს სუსტს. ძირი [დ/’/ფ] ყურანში გვხვდება 52-ჯერ, აქედან და'იფ 8-ჯერ.

❖ **დალუნი [დალლუნი არაბ. دل] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანს შეცდომაში შეყვანილს, სწორ გზას აცდენილს. ხოლო ყურანში ზოგიერთი ყურანის კომენტატორის მოსაზრებით აღნიშნავს ქრისტიანებს, მათ ვინც დაკარგეს სწორი გზა. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) დალლა. ძირი [დ/ლ/ლ] ყურანში გვხვდება 191-ჯერ, აქედან 15-ჯერ დალლუნი.

❖ **დარ ალ-ახირა [დარ ალ-'ახირა არაბ. دار/الأخرة]**

– მუსლიმურ თეოლოგიაში ეწოდება სიკვდილის შემდგომ საცხოვრისს, სამოთხეს. სიტყვასიტყვით საბოლოო სახლი, საცხოვრებელი, იმქვეყნიური სამყოფელი, იმქვენიური ცხოვრება. იზაფეთი.

- ❖ **დარ ალ-ბიკა [დარ ალ-ბიკა' არაბ. *دار البقا*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს იმ ქვეყნიურ, სამუდამო სამყოფელს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სამუდამო სამყოფელი, იმ ქვეყნიური ცხოვრება, სამოთხე. იზაფეთი.
- ❖ **დარ ალ-ისლამი [დარ ალ-ისლამ არაბ. *دار الاسلام*] –** ისლამის სახლი. აერთიანებს იმ გეოგრაფიულ არეალს, ქვეყნებს, სადაც ისლამი არის ძირითადი რელიგია. აბუ ჰანიფას განმარტების მიხედვით დარ ალ-ისლამის შემადგენელი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 1. მუსლიმებს უნდა შეეძლოთ მშვიდად ცხოვრება; 2. უნდა მართავდეს მუსლიმი. 3. ჰქონდეს საზღვრები სხვა მუსლიმურ ქვეყნებთან.
- ❖ **დარ ალ-ჰიჯრა [დარ ალ-ჰიჯრა არაბ. *دار الهجرة*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მედინას, სადაც გადავიდა მოციქული მუჰამადი (ს.ა.ა.ს) მექიდან თავის მიმდევრებთან ერთად, 622 წელს. სიტყვასიტყვით ემიგრაციის სახლი.
- ❖ **დარურათი [დარურათ არაბ. *دارورات*] –** ისლამურ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში აღნიშნავს გარემოებებს რომლის აუცილებლობა აკრძალულს

დასაშვებად აქცევს. არსებობს ისეთი აუცილებლობით განპირობებული საჭიროებები, როგორც არის, მაგალითად, სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც აკრძალულის დასაშვებობას განაპირობებს. სიტყვასიტყვით საჭიროებები. მრავლობითი სიტყვისა *ღარურა*. ძირი [დ/რ/რ] ყურანში გვხვდება 74-ჯერ.

- ❖ **დაჯალი [დაჯჯალ არაბ. *حاجا*] –** ცრუ მესია, ანტიქრისტე. ისლამში აღნიშნავს ეშმაკისეულ ფიგურას. ყურანისა და ჰადისების მიხედვით მის ამქვეყნად მოვლენას წინ უნდა უსწრებდეს მთელ სამყაროში არსებული ამორალურობა. მას შეებრძოლება ქრისტე ('ისსა) და მაჰდი (საუკეთესო მუსლიმი). სიტყვასიტყვით ნიშნავს: მატყუარა, მაცდური. არსებითი სახელი. ძირი [დ/ჯ/ლ].
- ❖ **დაჰრი [დაჰრიჰი არაბ. *يهرى*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ათეისტს, მას ვინც არ აღიარებს ღმერთის არსებობას. ნისბა, ძირიდან დაჰარა. ძირი [დ/ჰ/რ] ყურანში გვხვდება 2-ჯერ.
- ❖ **დაჰრია [დაჰრიჰია არაბ. *يهريه*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ათეიზმს, იდეოლოგია, რომელიც არ აღიარებს ღმერთის არსებობას. ძირი [დ/ჰ/რ] ყურანში გვხვდება 2-ჯერ.

- ❖ **ღია [ღიმა არაბ. *أيا*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს სისხლის ფასს-გამოსასყიდს. განზრახ მკვლელობის დროს, მოკლულის სამართალმემკვიდრეებს უფლება აქვთ *კისასის* (შურისძიება) ნაცვლად, აპატიონ მკვლელს და მიიღონ გამოსასყიდი. პატიება შესაძლებელია გამოსასყიდის გარეშეც. მასდარი ზმნის (I თემა) ვადან. ძირი [ვ/დ/ღ] ყურანში გვხვდება 12-ჯერ, აქედან ღიმა 2-ჯერ.
- ❖ **ღინი [ღინ არაბ. *أين*] –** რელიგია. ისლამური თვალსაზრისით რელიგია (ისლამი) ეს არის ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ დადგენილი სრულყოფილი, ნორმატიული სარწმუნოება, კაცობრიობისათვის, რომელიც აერთიანებს რწმენას, ერთგულებას, კანონს, სამართალს, ეთიკას. ღმერთის მორჩილების გზა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს განკითხვის დღემდე. სიტყვასიტყვით ნიშნავს განსჯა, სასჯელი, ანგარიშსწორება, ვალი, ადათი, ტრადიცია. მასდარი ზმნის (I თემა) დანა. ძირი [დ/ღ/ნ] ყურანში გვხვდება 101-ჯერ, აქედან ღინ 92-ჯერ.
- ❖ **ღირაიათ ალ-ჰადის [ღირაიათ ალ-ჰადინს არაბ. *أية الحديث*] –** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოციქულ მუჰამადთან (ს.ა.ა.ს) დაკავშირებულ გადმოცემებსა და გადმოცემის პროცე-

სის ავთენტურობას. სიტყვასიტყვით ნიშნავს ჰადისის ცოდნას, შესწავლას. იზაფეთი.

- ❖ **დუა [დუ'წ' არაბ. ءءء]** – ღმერთისადმი ვედრება. პერსონალური ლოცვა, რომელსაც ალაჰისადმი (ს.ვ.თ) ვედრების, თხოვნის ფორმა აქვს. ამ დროს არ სრულდება რაქათები და არც ვუდუ'. მიეკუთვნება არასავალდებულო ლოცვის კატეგორიას, რომლის დროსაც მორწმუნე წარმოთქვამს ალაჰისა (ს.ვ.თ) და მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) სადიდებლებს. მასდარი ზმნის (I თემა) და'წ. ძირი [დ/'ვ] ყურანში გვხვდება 212-ჯერ, ხოლო აქედან ფორმით დუ'წ' 22-ჯერ.
- ❖ **დუნია (დუნია არაბ. ءءء)** – სამყარო, სააქაო, ამქვეყნიური სამყარო. ყურანისეული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ამქვეყნიურ სამყაროს და არის საპირისპირო საიქიოსი (ახირა). სიტყვასიტყვით ის რაც არის „უფრო ახლო“, უახლოესი. ძირი [დ/'ვ] ყურანში გვხვდება 133-ჯერ, აქედან დუნია 115-ჯერ.

## 3

- ❖ **ვა ახირუ დავანა ანა ალ-ჰამდა ლილაჰი რაბ ალ-ალამინი [ვა ახირუ და 'ვან ანნა ლ-ჰამდა ლილაჰი რაბ ალ-'ნლამინი არაბ. *وآخر دعوانا إن الحمد لله رب العالمين*** – ჩვენი საბოლოო განაცხადია, რომ დიდება და მადლობა ალაჰს (ს.ვ.თ), სამყაროთა მეუფეს. წარმოთქვამენ საუბრის, შეხვედრის, რაიმე აქტივობის დასასრულს.
- ❖ **ვადი [ვა'დ არაბ. *وعد*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღვთიურ პირობას, რომ ადამიანის კარგი ქცევებისთვის იქნება დაჯილდოებული. სიტყვასიტყვით ნიშნავს პირობას. მასდარი ზმნის (I თემა) ვა'და. ძირი [ვ/'/დ] ყურანში გვხვდება 151-ჯერ, ხოლო ვა'დ არსებითის ფორმით 49-ჯერ.
- ❖ **ვაიდი [ვა'იდ არაბ. *وعد*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღვთიურ პირობას, მუქარას, რომ ადამიანი მიიღებს სასჯელს ცუდი ქმედებისათვის. სიტყვასიტყვით ნიშნავს პირობას, მუქარას. მას-

დარი ზმნის (I თემა) ვა'ადა. ძირი [ვ/'/დ] ყურანში გვხვდება 151-ჯერ, ხოლო ვა'ნდ 6-ჯერ.

- ❖ **ვაკფა [ვაკფა არაბ. *أوقف*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანის რეჩიტაციის დროს შესვენებას, პაუზას. სიტყვასიტყვით ნიშნავს პაუზას. მასდარი ზმნის (I თემა) ვაკაფა. ძირი [ვ/კ/ფ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.
- ❖ **ვაკფი [ვაკფ არაბ. *وقف*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს საქველმოქმედო ფონდს, „ორგანიზაციას“, რომლის ქონება საერთო სარგებლობისთვის არის განკუთვნილი. ვაკფი აერთიანებს შეძლებული ადამიანების შემოწირულობებს ფულის, მიწის, უძრავი ქონების სახით. სიტყვასიტყვით შეჩერება, ფულადი შეწირულობა. მასდარი ზმნის (I თემა) ვაკაფა. ძირი [ვ/კ/ფ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.
- ❖ **ვალი [ვალლიმ არაბ. *علي*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანს, რომელიც არის პატიოსანი და თავს უძღვნის ალაჰის (ს.ვ.თ) მსახურებას. ყურანში წმინდანის მნიშვნელობით გვხვდება მრავლობითის ფორმით ავლიმ'. არსებითი სახელი. ძირი [ვ/ლ/მ] ყურანში გვხვდება 232-ჯერ, აქედან ვალლიმ 86-ჯერ.

- ❖ **ვასანია [ვასანიძა არაბ. *وَأْنِي*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს კერპთაყვანისმცემლობას. არსებითი სახელი. ძირი [ვ/ს/ნ] ყურანში გვხვდება სამჯერ მრავლობითის ფორმით *ავსან* – კერპები.
- ❖ **ვასილა [ვასილა არაბ. *وَأْسِيْلَا*] –** ყურანისეული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ღმერთთან მიახლოებას. ყველა ქმედება თუ საშუალება, რომელიც ადამიანს აახლოებს ალაჰთან. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით საშუალება, გზა, მედიუმი. ძირი [ვ/ს/ლ] გვხვდება ყურანში 2-ჯერ ფორმით *ვასილა*.
- ❖ **ვასნი [ვასნ არაბ. *وَأْنِي*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს კერპს, რომელიც არის პოლითეისტთა თაყვანისცემის ობიექტი. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით კერპი. ძირი [ვ/ს/ნ] ყურანში გვხვდება სამჯერ მრავლობითის ფორმით *ავსან* – კერპები.
- ❖ **ვაჯიბი [ვაჯიბ არაბ. *وَأَجْب*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს იმ ქმედებას, რომლის შესრულება არის სავალდებულო. სავალდებულო ქმედებების კატეგორია თავის მხრივ იყოფა ორ ქვეკატეგორიად: 1. სავალდებულო შესასრულებლად



ყველასთვის (მაგ: მარხვის დაცვა); 2 სავალდებულო მათთვის, ვისაც შეუძლია მისი შესრულება. მიმღეობა (მოქმედებით გვარი) ზმნის (I თემა) ვაჯაბა. ძირი [ვ/ჯ/ბ] ყურანში გვხვდება ერთხელ.

- ❖ **ვაჯჰ ალაჰი [ვაჯჰ ალლაჰ არაბ. *الله اعوج*]** – ისლამურ ლიტერატურაში ეს ფრაზა აღნიშნავს: 1. ალაჰის გულისთვის; 2. ალაჰის (ს.ვ.თ) კმაყოფილებისათვის; 3. აღმნიშვნელი მიმართულებისა, გზის, რომელიც ალაჰმა (ს.ვ.თ) განსაზღვრა თითოეული ადამიანისთვის. სიტყვასიტყვით ნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) სახეს.
- ❖ **ვაჰდათ ალ-ვუჯუდ [ვაჰდათ ალ-ვუჯუდ არაბ. *وحدة الوجود*]** – ყოფიერების ერთიანობა, ეს არის იბნ ალ-არაბის სკოლის პოსტულატი, რომლის მიხედვითაც ღმერთი და მისი ქმნილება არის ერთი, რადგან ყველა ქმნილება არსებობდა ღმერთის გონებაში მის შექმნამდე და უბრუნდება მას. ეს მოსაზრება მიუღებელია ვაჰაბიტებისთვის, რომელთა მოსაზრებით ღმერთთან ადამიანის ასოცირება, შედარება ან გაერთიანება ისლამის მთავარი პრინციპის ერთღმერთიანობის (თავჰიდი-ის) უარყოფაა.

- ❖ **ვაჰი [ვაჰი არაბ. *وحي*] –** გამოცხადება, მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი ვაჰი აღნიშნავს გამოცხადებას, რომელიც ზეგარდმოველინა ადამიანებს ღმერთისგან, საუბრის გარეშე. ყურანის მიხედვით, ეს არის კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა, როდესაც ღმერთის სურვილი გადაეცემა ადამიანს ლინგვისტური ფორმულირების გარეშე. სიტყვასიტყვით ნიშნავს გამოცხადება; ღვთაებრივი შთაგონება, ზეშთაგონება. მასდარი ზმნის (I თემა) ვაჰან. ძირი [ვ/ჰ/ღ].
- ❖ **ვუდუ [ვუდუ' არაბ. *ءوضو*] –** მცირე განბანვის რიტუალი, რომელსაც მუსლიმი ასრულებს, რიტუალური სინმინდის მისაღწევად ღვთისმსახურების დროს (ყოველი კანონიკური ლოცვის შესრულებამდე). სრულდება წყლით. გამოიყენება რიტუალური სინმინდის მცირე დოზით დარღვევის დროს. მუსლიმი თავდაპირველად იბანს სახეს, მკლავებს, ისველებს თავს, ბოლოს კი ასრულებს ფეხების დაბანით. მასდარი ზმნის (I თემა) ვადა'ბ. ძირი [ვ/ღ/'].
- ❖ **ვუკუფი [ვუკუფ არაბ. *ءوقوف*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს სავალდებულო ლოცვის დროს შესასრულებელ მოძრაობათა ერთ ასპექტს – ფეხზე დგომას. სიტყვასიტყვით ნიშნავს დგომას, შეჩერებას. მასდარი ზმნის (I თემა) ვაკაფა. ძირი [ვ/კ/ფ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.

- ❖ **ვუჯუბი [ვუჯუბ არაბ. *وجوب*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს რელიგიურ ვალდებულებას, მოთხოვნას, რომლის უარყოფაც მუსლიმის მიერ ითვლება ცოდვად. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ვალდებულება. მასდარი ზმნის (I თემა) ვაჯაბა. ძირი [ვ/ჯ/ბ] ყურანში გვხვდება ერთხელ.



- ❖ **ზაჰირი [ზჰჰირ არაბ. *حظ*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანისა და სუნას მნიშვნელობის სიცხადის მხარდამჭერებს, რომ ყველაფერი არის ცხადი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ზაჰარა. სიტყვასიტყვით ნიშნავს ამკარა, ცხადი. ძირი [ზ/ჰ/რ] ყურანში გვხვდება 50-ჯერ.
- ❖ **ზუჰდი [ზუჰდ არაბ. *أدب*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ასკეტიზმს, რომელიც ჩამოყალიბდა ჰიჯრის პირველ საუკუნეებში. ზუჰდი ეს არის თავშეკავება და ამქვეყნიური სიამოვნებაზე უარის თქმა. სუფიზმში კი ალაჰთან (ბ.ვ.თ) მიახლოების ერთ-ერთი საფეხური. სიტყვასიტყვით თავშეკავება, უარის თქმა. მასდარი ზმნის (I თემა) ძირი [ზ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება ერთხელ.

## თ

- ❖ **თაბათალა [თაბათთალა არაბ. *التبث*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი ნიშნავს: საკუთარი თავი ღმერთისადმი მიძღვნა; სიცოცხლის ღვთის მსახურებისთვის მიძღვნა; მთელი ცხოვრების სრულ სინმინდესა და ალაჰისადმი (ს.ვ.თ) ერთგულებით გატარებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს მიუძღვნა თავი, იცხოვრო ზნეობრივად, წმინდად. ზმნა (V თემა). ძირი [ბ/თ/ლ] ყურანში გვხვდება ორჯერ, აქედან თაბათთალა ერთხელ.
- ❖ **თაბიუნი [თაბი'უნ არაბ. *تَابُون*] –** მიმდევრები, მემკვიდრეები. ისლამურ ლიტერატურაში ეწოდება მუჰამადის (ს.ა.ა.ს) თანმხლებთა/ასჰაბთა შემდგომ თაობას, რომლებიც იყვნენ მათი პირდაპირი შთამომავლები, ან იცნობდნენ მათ. არის მრავლობითის ფორმა სიტყვისა თაბი'. მემკვიდრეების როლი დიდია ყურანის კომენტირების საწყის ეტაპზე, მოციქულის ბიოგრაფიის, ჰადისების, ფიკჰის განვითარებაში. სიტყვასიტყვით ნიშნავს მიმდევარს. მიმღეობა (მოქმედებით გვარი) ზმნის

(I თემა) თაბა'ა. ძირი [თ/ბ/'] ყურანში გვხვდება 172-ჯერ.

- ❖ **თაბლილი [თაბლᲗლ არაბ. *تابليل*] –** გამოცხადება, დეკლარირება, ქადაგება. თაბლილი ისლამში მიიჩნევა მოციქულის (ჰ.ა.ა.ს) და არა მხოლოდ, მოვალეობად, რომ იქადაგოს ისლამის შესახებ. მასდარი ზმნის (II თემა) ბალლაღა. ძირი [ბ/ლ/ლ] ყურანში გვხვდება 77-ჯერ.
- ❖ **თადაბური [თადაბბურ არაბ. *تادابور*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს კონცენტრირებულ და მიზანზე ორიენტირებულ ფიქრის პროცესს, რომელიც მიმართულია რაიმე გამონვევის დაძლევის, ან რთული პრობლემის გადაჭრის გზის ძიებისკენ. თადაბბური არის პროცესი ყურანის აიების შესწავლის, განჭვრეტის, დაკვირვების, რომლის საბოლოო მიზანი ღმერთის სიტყვის სრული გაგებაა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: რაიმეზე ღრმად დაფიქრება, შესწავლა, დაკვირვება. მასდარი ზმნის (V თემა) თადაბბარ. ძირი [დ/ბ/რ] 44-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან 4-ჯერ ზმნა იათადაბბარუ ფორმით.
- ❖ **თავათურ ლაფზი [თავათურ ლაფზᲗ არაბ. *اتوافظي*] –** ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისთა იმ კატეგორიას, რომლის სანდოობა გამყა-

რებულია გადმომცემთა ჯაჭვის უწყვეტობით, სადაც ყველა გადმომცემი (მუჰადისი) იყენებს ერთნაირ ლექსიკას და არ არის შეუსაბამობა. სიტყვასიტყვით ნიშნავს სიტყვიერ თანმიმდევრობას.

❖ **თავათურ მანავი [თავთურ მა'ნავი არაბ.**

**اتواتر معنوي]** – ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისთა იმ კატეგორიას, რომლის სანდოობა გამყარებულია გადმომცემთა ვრცელი, უწყვეტი ჯაჭვით და სადაც ყველა გადმომცემის მიერ შენარჩუნებულია ჰადისის შინაარსი უცვლელად. სიტყვასიტყვით ნიშნავს შინაარსობრივ განმეორობითობას და უწყვეტობას.

❖ **თავაქული [თავაქულ არაბ. توكل]** – ისლამში

აღნიშნავს ღმერთისადმი მინდობას. სუფიზმში ეს არის ადამიანის აბსოლუტური მინდობა ღმერთისადმი, რომელიც არის ყველაფრის მამოძრავებელი და ყოველივეს მიზეზი, რაც არის ან იქნება. სიტყვასიტყვით ნიშნავს ენდო ვინმეს, გქონდეს ვინმეს ნდობა. მასდარი ზმნის (V თემა) თავაქულა. ძირი [ვ/ქ/ლ] ყურანში გვხვდება 70-ჯერ.

❖ **თავილი [თა'ვილ არაბ. اويل]** – ინტერპრეტაცია

ან ალეგორიული ინტერპრეტაცია. ყურანის ინტერპრეტაციის დასაშვებობის შესახებ განსხვავებული პოზიციები არსებობს. მუსლიმ სწავლულთა ნაწილი ყურანის ინტერპრეტაციას დაუშვებლად

მიიჩნევს, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ აუცილებელია. ყურანის ალეგორიულ ინტერპრეტაციას აქტიურად მიმართავდნენ მუთაზილიტები და სუფიები. მასდარი ზმნის (II თემა) ავეალა, რაც ნიშნავს ახსნას, განმარტებას, ინტერპრეტაციას, უცნობის (ეზოტერიკული ტექსტების, სიზმარი) ახსნას. ძირი [’/ვ/ლ] ყურანში გვხვდება 170-ჯერ, აქედან 17-ჯერ თა’ვილ.

- ❖ **თავშიდ ალ-აფალი [თავშიდ ალ-აჟ’ლ არაბ. *توحيد الافعال*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) ქმედების ერთიანობას. სიტყვასიტყვით ქმედების ერთიანობა.
- ❖ **თავშიდ აზ-ზათი [თავშიდ აზ-ზათ არაბ. *توحيد الأسماء*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) არსების ერთიანობას. სიტყვასიტყვით არსების ერთიანობა.
- ❖ **თავშიდ ალ-ასმა ვა-ლ-სიფათ [თავშიდ ალ-ასმ’ ვა-ლ-სიჰთ არაბ. *توحيد الأسماء والصفات*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღმერთის ერთადერთობის, მონოთეიზმის (თავშიდ) ქვეკატეგორიას, რომლის მიხედვითაც ალაჰის სახელები და თვისებები, მხოლოდ მას ახასიათებს. ეს არის რწმენა და მიღება ალაჰის სახელებისა და თვისე-



ბებისა, რომლითაც თვითონ ალაჰი აღწერს საკუთარ თავს, გადასცა წმინდა წერილის სახით მოციქულს (ს.ა.ა.ს) და რომელიც უცვლელია ფორმით, შინაარსით. ისლამის მიხედვით არავის არ აქვს უფლება ალაჰის (ს.ვ.თ) მახასიათებლების შეცვლის, რომელიც განსაზღვრული იყო მის ან მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მიერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ალაჰის სახელების და თვისებების ერთადერთობა.

- ❖ **თავჰიდ ალ-ულუჰია ვა-ლ-იბადა [თავჰიდ ალ-ულუჰიშიდა ვა-ლ-‘იბნდა არაბ. توحيد الأوهية والعباداة]** – ისლამურ რელიგიურ ლიტერატურაში ფრაზა აღნიშნავს ღვთიურობისა და თაყვანისცემის უნიფიკაციას. ხაზს უსვამს, რომ ალაჰს (ს.ვ.თ) არ ჰყავს მოზიარე მის ღვთაებრიობაში და თაყვანისცემაში.
- ❖ **თავჰიდ არ-რუბუბია [თავჰიდ არ-რუბუბიშიდა არაბ. توحيد الربوبية]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მონოთეიზმის (თავჰიდ) ქვეკატეგორიას, რომლის მიხედვითაც ალაჰი (ს.ვ.თ) არის უცილობელი, არ ჰყავს მოზიარე/მონაწილე თავის ძალაუფლებასა და ქმედებაში. სიტყვასიტყვით ღმერთის ერთადერთობა.

- ❖ **თავჭიდი [თავჭინდ არაბ. توحيد]** – მონოთეიზმი, ერთლმერთიანობა. ისლამის მიხედვით არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა (ს.ვ.თ). ის ერთადერთი და განუმეორებელია. მუსლიმ ღვთისმეტყველთა აზრით, ერთლმერთიანობის იდეა ჭეშმარიტი ფორმით მხოლოდ ისლამშია წარმოდგენილი, რადგან არ არსებობს მაგ. წმინდა სამება. ამავე მიზნით უარყოფილია ხატები, ქანდაკებები (ცოცხალ არსებათა გამოსახვა), ყველაფერი რაც შეიძლება გახდეს თაყვანისცემის ობიექტი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ერთობა, გაერთიანება. მასდარი ზმნისა (II თემა) ვაჰჰადა. ძირი [ვ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 68-ჯერ.
- ❖ **თაზირი [თა‘ზირ არაბ. تعزير]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს დისკრეციულ სასჯელს, რომელსაც განსაზღვრავს ყადი. ეს არის დანაშაულთა ის კატეგორია, რომელის დარღვევისათვის სასჯელი არ არის განსაზღვრული ყურანსა და სუნაში. თა‘ზირი როგორც სასჯელი მიზნად ისახავს ადამიანის გამოსწორებას. მოიცავს სასჯელის სხვადასხვა ფორმას, როგორცაა გაშოლტვა, განკეპვლა, მცირე დროით პატიმრობა, გადასახლება, საყვედური. სიტყვასიტყვით ნიშნავს გაკიცხვა, დაგმობა, დაძრახვა, დასჯა გამოსწორების მიზნით. მასდარი ზმნის (II თემა) ‘აზ ზარა. ძირი [‘/ზ/რ] ყურანში 3-ჯერ გვხვდება.

- ❖ **თაზქია [თაზქიდა არაბ. *تازية*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს თვითგანწმენდას, სულიერ ზრდას. ეს არის ადამიანის მიერ ემპაკისეული ცდუნებებისგან თავის დაღწევის და უკეთეს პიროვნებად გახდომის მცდელობა. თვითგანწმენდით ცდილობს მუსლიმი დაძლიოს ყველა წინაღობა და რაც შეიძლება მიუახლოვდეს ღმერთს. ეს არის საკუთარი თავის განწმენდა; განწმენდა სულის, რომელიც აერთიანებს ხორციელ მესა და სურვილებს, სხვადასხვა სულიერი ეტაპების გავლის გზით, გარდაქმნის წმინდად და ალაჰის (ს.ვ.თ) ნების მორჩილად. გარდაქმნა ხდება შარიათის წესების, ავთენტური სუნას მორჩილებით და ღმერთის ნებისა და ძალის რწმენა-გახსენებით. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განწმენდა, გასუფთავება, დახვეწა, გაუმჯობესება. მასდარი ზმნის (I თემა) ზაქქა. ძირი [ზ/ქ/ვ] ყურანში გამოყენებულია 59-ჯერ.
- ❖ **თაიამუმი [თაიამუმ არაბ. *طاييم*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი აღნიშნავს განბანვის რიტუალს, რომელიც სრულდება ქვიშით, მიწით ან სპეციალური ქვით, განსაკუთრებულ ვითარებაში, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი წყალი. თაიამუმის დასაშვებობა დგინდება ყურანის 4:43-46 და 5:7-9 აიებით. სიტყვასიტყვით ნიშნავს დაისახო მიზანი, დაგეგმო რამე. მასდარი ზმნის (V თემა)

თაღამამა. ძირი [მ/მ/მ] ყურანში 11-ჯერ, 3-ჯერ ზმნური ფორმით თაღამამა.

- ❖ **თაკდირი [თაკდირ არაბ. *تقدير*]** – ისლამში აღნიშნავს პრინციპს ღვთიური ბედისწერის შესახებ, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ღმერთის ნებაა. მუსლიმის ვალდებულებაა ირწმუნოს ბედისწერის. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განსაზღვრა; შეფასება; რწმუნება, მიღება, ვინმეს რამის არსებობისა. მასდარი ზმნის (II თემა) კადდარა. ძირი [კ/დ/რ] ყურანში გვხვდება 132-ჯერ, ხოლო თაკდირ 5-ჯერ.
- ❖ **თაკვა [თაკვან არაბ. *تقوى*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი ნიშნავს ღვთისმოსაობასს, ღვთისმომშიშობას, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია რწმენის აღირების. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ღვთისმომშიშობა, ღვთისმოსაობა, რელიგიურობა. მასდარი ზმნის (I თემა). ძირი [ვ/კ/მ] 250-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან 17-ჯერ თაკვან.
- ❖ **თაკიდა [არაბ. *تقيد*]** – რელიგიური კუთვნილების დაფარვა ისლამში, როდესაც მორწმუნე სიკვდილის თუ სხვა დაზიანების საფრთხის გამო მალავს საკუთარ რწმენას და არ ასრულებს რელიგიურ მოვალეობებს. მიუხედავად ყურანის 28;16;106 სურაში არსებული მითითებისა, რომლის მიხედ-

ვით ალაჰი მორწმუნის სიცოცხლის გადასარჩენად და მისთვის საფრთხის ასაცილებლად, რელიგიური კუთვნილების დაფარვას დასაშვებად მიიჩნევს, ის მხოლოდ შიიზმშია მიღებული. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მალვა, დაფარვა, სიფრთხილე, წინდახედულობა. მასდარი ზმნის (I თემა) თაკვ. ძირი [ვ/ვ/ღ] ყურანში გვხვდება 258-ჯერ.

❖ **თაკლიდი [თაკლიდ არაბ. *تقليد*]** – ავტორიტეტული სპეციალისტის (მუჯთაჰიდი, მუფთი) მიბაძვა ფიკჰის საკითხებში პირის მიერ, რომელიც არ არის კომპეტენტური ამ სფეროში. ისლამურ სამართალში აღნიშნავს სამართლებრივი პრეცედენტების, ტრადიციული ქცევების და დოქტრინების მორჩილება<sup>1</sup> აღიარებას ყოველგვარი კითხვის გარეშე. ეს არის საპირისპირო იჯთიჰადის (დამოუკიდებელი მსჯელობა, რომელიც ემყარება ყურანს). თაკლიდი ნიშნავს შეკითხვის გარეშე მიიღო სამართლებრივი გადანყვეტილება, როდესაც არ იცი რის საფუძველზე იქნა მიღებული. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მიბაძვა. მასდარი ზმნის (II თემა) კალლადა. ძირი [კ/ლ/ღ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.

❖ **თანზილი [თანზილ არაბ. *تنزيل*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში არტიკლიანი ფორმით ათ-თანზილ აღნიშნავს გზავნილს, რომელიც მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს) გადაეცა ღმერთისაგან, ანუ ნმინდა

ყურანს. ხოლო არტიკლის გარეშე *თანზილ* ნიშნავს ნებისმიერ გზავნილს, რომელიც კაცობრიობას ალაჰმა (ს.ვ.თ) მოციქულების მეშვეობით გაუგზავნა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გამოცხადება, გამოაშკარავება. მასდარი ზმნის (II თემა) ნაზზა-ლა. ძირი [ნ/ზ/ლ] 293-ჯერ გვხდება ყურანში, აქედან 15-ჯერ *თანზილ*.

- ❖ **თანზიჰი [თანზიჰ არაბ. *هزى*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ტრანსცედენტულობის იდეას, რომლის მიხედვითაც ალაჰი (ს.ვ.თ) და მისი თვისებები აბსოლუტურად უნიკალური და განსხვავებულია მისი ქმნილებებისგან. ღმერთი და მისი თვისებები შექმნის მიღმაა ანუ შეუქმნელია. ისლამური თეოლოგიური თვალსაზრისით ღმერთის ტრანსცედენტულობა ყველაზე უკეთ ისლამშია დაცული ვიდრე სხვა მონოთეისტურ რელიგიებში. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განდიდება, ამაღლება, ეგზალტირება. მასდარი ზმნის (II თემა) ნაზზაჰა. ძირი [ნ/ზ/ჰ].

- ❖ **თართილი [თართილ არაბ. *ترتيل*] –** ყურანის კითხვის ხელოვნება. რეჩიტაცივის ამ ფორმით შესრულებისას, მკითხველი კითხულობს ნელა და გამოთქმით. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ინტონაცია, მღერით ლაპარაკი, კითხვა, წამღერებით წარმოთქმა. მასდარი ზმნის (II თემა) რათთალა. ძირი

[რ/თ/ლ] 4-ჯერ გვხვდება ყურანში აქედან თართილ 2-ჯერ.

- ❖ **თასავუფი [თასავუფ არაბ. تصوف]** – სუფიურ ლიტერატურაში აღნიშნავს შინაგან განწმენდას; სულიერი ტანჯვისაგან გულის განკურნებას და ალაჰის (ს.ვ.თ) სიყვარულისა და სიახლოვის მიღწევას; ეთიკური და სულიერი იდეალების რეალიზაციის პროცესს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გახდეს სუფი, ის ვინც ატარებს შალის (სუფ) უხემ სამოსს, რომელიც მიჩნეულია ასკეტიზმისა და მისტიციზმის მიმდევარ ადამიანთა შესამოსლად. მასდარი ზმნის (V თემა) თასავვაფ. ძირი [თ/ს/ფ].
- ❖ **თასბითი [თასბით არაბ. تشبیت]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღმერთის ატრიბუტების აღიარებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: დამტკიცება, დაარსება, გაძლიერება. მასდარი ზმნის (II თემა) საბათა. ძირი [ს/ბ/თ] ყურანში გვხვდება 18-ჯერ, აქედან თასბით ორჯერ.
- ❖ **თასბიჰი [თასბიჰ არაბ. تسبیح]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის განდიდების ფორმულას – „სუბჰანა ლლაჰ“- ალაჰი დიდებულია. თასბიჰი არის ზიქრის შემადგენელი ნაწილი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განდიდება, ქების/ხოტბის შეს-

ხმა. მასდარი ზმნის (II თემა) საბზაჟა. ძირი [ს/ზ/ჰ] ყურანში გვხვდება 92-ჯერ, აქედან თასბრჰ 2-ჯერ.

- ❖ **თასლია [თასლიაჲ არაბ. *أصلية*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მორწმუნის მიმართვა-თხოვნას ალაჰისადმი (ს.ვ.თ), დალოცოს წინასწარმეტყველი მუჰამადი (ს.ა.ა.ს). შემადგენელი ნაწილია თაშაჰჰედის, რომელიც წარმოითქმება ლოცვის დროს. „*სალთ ‘ალა ნ-ნაბრ – ლოცვა/დალოცვა წინასწარმეტყველს*“. მასდარი ზმნის (I თემა) *სალა*. სიტყვასიტყვით ნიშნავს შეასრულო ლოცვა. ძირი [ს/ლ/ღ] ყურანში გვხვდება 25-ჯერ.
- ❖ **თასმიათი [თასმიათჲ არაბ. *أسماء*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის მოხსენიებას შემდეგი ფრაზებით: *ბისმ-ი ლლაჰი რ-რაჰმანი რ-რაჰიმი* (სახელითა ალაჰისა მონყალისა მწყალობლისა); შემოკლებული ფორმა ბასმალასი (ალაჰის სახელით). სიტყვასიტყვით ნიშნავს: წარმოთქვა (ღვთიური) სახელი, დასახელება. მასდარი ზმნის (II თემა) *სამმ*. ძირი [ს/მ/ვ] ყურანში გვხვდება 381-ჯერ, აქედან თასმიათჲ ერთხელ.
- ❖ **თატილი [თა‘ტილჲ არაბ. *أعطيل*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღმერთისთვის ყველა მისი დამახასიათებელი ნიშნის ჩამორთმევას, როგო-



რიცაა მისი ეპითეტები (99 სახელი) და თვისებები. რელიგიური თვალსაზრისით ეს არის ცოდვა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: უარყოფა, უგულებელყოფა. მასდარი ზმნის (II თემა) 'ატტალა. ძირი [‘/ტ/ლ] ყურანში გვხვდება 2-ჯერ.

- ❖ **თაფაკუჰ ფი-დ-დინ [თაჟაკუჰ ჭი-დ-დინ არაბ. *تفقه في الدين*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ნიშნავს რელიგიის პრინციპების შესწავლას, გაგებას, გათვითცნობიერებას და რაციონალური მიდგომით ისლამის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ეს არის მორწმუნის მიერ რელიგიის გაგების, ცოდნის მეთოდი, რომელიც წარმოშობს სრულყოფილ გაგებას, გათვითცნობიერებას, ნაცვლად დოგმატური მიდგომებისა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: რელიგიის გაგება.
- ❖ **თაფაქური [თაჟაქურ არაბ. *تفكر*] –** ფიქრი, სიღრმისეული ფიქრი, განჭვრეტა. ყურანის კომენტატორების მიხედვით, ფიქრი ეს არის დაფიქრების (სიღრმისეული ფიქრის), რეფლექსიის მენტალური პროცესი-აქტივობა და არა შედეგი. თაფაქური ეს არის ღმერთის თაყვანისცემის/ღვთისმსახურების ერთ-ერთი ფორმა, თუ ის მიმდინარეობს გულწრფელად და კარგი განზრახვით. თაფაქურია ასევე წმინდა ყურანის ტექსტის სრულყოფილი გააზრების პროცესი. მასდა-

რი ზმნის (V თემა) ფაქქარა. ძირი [ფ/ქ/რ] ყურან-ში გვხვდება 18-ჯერ.

- ❖ **თაფსირ ალ-კურან ბი-ლ-კურან [თაფსირ ალ-კურ' 56 ბი-ლ-კურ' 56 არაბ. تفسیر القرآن بالقرآن]** – ყურანის ახსნა, განმარტება და კომენტირება ყურანითვე. ეს არის ერთ-ერთი მეთოდი თაფსირისა (ყურანის კომენტარების).
- ❖ **თაფსირ ალ-ბიდა [თაფსირ ალ-ბიდ'ა არაბ. تفسیر البدعة]** – ერეტიკული ეგზეგეტიკა, ყურანის არაორთოდოქსული ინტერპრეტაცია. ასეთად მიიჩნევა მუთაზილიტების თაფსირი, რადგან სუნიტებს მიაჩნიათ, რომ მათ დაამახინჯეს ყურანის სიტყვები, იმისთვის რომ მოერგოთ ან მხარი დაეჭირათ საკუთარი შეხედულებებისათვის.
- ❖ **თაფსირ ბი-ლ-მასურ [თაფსირ ბი-ლ-მა'სურ არაბ. تفسیر بالمأثور]** – ყურანის განმარტება ტრადიციებზე, გადმოცემებზე (სუნა) დაყრდნობით. ეს არის ერთ-ერთი მეთოდი ყურანის ეგზეგეტიკის, როდესაც ყურანის განმარტებისთვის ეყრდნობიან მოციქულ მუჰამადის გამონათქვამს ან ასჰაბების გადმოცემებს.

- ❖ **თაფსირ ბი-ლ-რაი [თაფსირ ბი-ლ-რა'ე არაბ. *تفسير بالرأي*]** – ყურანის განმარტება პირადი მოსაზრების საფუძველზე. ეს არის თაფსირის ის მეთოდი, როდესაც ყურანის განმმარტებელი ეყრდნობა პირად, რაციონალური აზრს.
- ❖ **თაფსირ ბი-რაი ალ-მაზმუმა [თაფსირ ბი-რა'ე ალ-მაზმუმ არაბ. *تفسير بالرأي المأموم*]** – ყურანის განმარტება რაციონალური, პირადი აზრის საფუძველზე, რომელიც მიჩნეულია როგორც გასაკიცხი.
- ❖ **თაფსირ ბი-რაი ალ-მაჰუმდი [თაფსირ ბი-რა'ე ალ-მაჰუმდ არაბ. *تفسير بالرأي المأمود*]** – ყურანის განმარტება რაციონალური, პირადი აზრის საფუძველზე, რომელიც მიჩნეულია როგორც ქების ღირსი.
- ❖ **თაფსირი [თაფსირ არაბ. *تفسير*]** – ინტერპრეტაცია, ყურანის ეგზეგეტიკა, ძირითადად გამოიყენება ყურანთან მიმართებით. ეს არის ყურანის ინტერპრეტაცია, ახსნა-განმარტება და კომენტარები, რაც მიზნად ისახავს, რომ ის გასაგები გახდეს ადამიანებისათვის. მასდარი ზმნისა (II თემა) *ფასსარა*. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განმარტება, ახსნა, გამჟღავნება, ცხადყოფა, მზის სინათლეზე

გამოტანა. ძირი [ფ/ს/რ] ყურანში გვხვდება ერთხელ.

- ❖ **თაქბირი [თაქბირ არაბ. *تكتير*]** – ტერმინი აღნიშნავს ფრაზას „*ალლაჰუ აქბარ*“ – ალაჰი უდიდესია ან დიდია. მუსლიმები ამ ფრაზას იყენებენ ყოველდღიურ ყოფაში, ლოცვის, აზანის და სხვა რიტუალების შესრულების დროს. მასდარი ზმნის (II თემა) *ქაბბარა*. ძირი [ქ/ბ/რ] ყურანში გვხვდება 161-ჯერ, აქედან *თაქბირ* ერთხელ.
- ❖ **თაქლიფი [თაქლიფ არაბ. *فيلق*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღმერთის მიერ თავისი ქმნილებისთვის დაკისრებულ ვალდებულებას. მაგალითად, ლოცვა არის თაქლიფი, რომელიც სავალდებულოა ყველა მუსლიმისთვის, მაგრამ არსებობს გამონაკლისები მაგალითად, ასაკი, ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ამ ვალდებულებისგან ათავისუფლებს ადამიანს. თეოლოგიურთან ერთად, ის სამართლებრივი ტერმინიცაა, *თაქლიფ/თაქლიფ* არის სამართლებრივი ბრალდება ან ვალდებულება, ვინმეს დაავალოს ან დაეკისროს რაიმეს შესრულება. სიტყვასიტყვით ვალდებულება, ბრძანება, მოვალეობა. მასდარი ზმნის (II თემა) *ქალლაფა*. ძირი [ქ/ლ/ფ] ყურანში გვხვდება 8-ჯერ.

- ❖ **თაქფირი [თაქფირ არაბ. *تكفير*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ვინმეს ურწმუნოდ გამოცხადებას. შარიათის მიხედვით ერთი ადამიანის მიერ მეორის/ან ადამიანთა ჯგუფის ურწმუნოდ უსაფუძვლოდ გამოცხადება, ერთ-ერთი დიდი ცოდვა და დანაშაულია. სამართლისმცოდნეთა ნაწილის, მათ შორის **ალ-ლაზალის** მოსაზრებით თვითონ ურწმუნოება განდგომილების ტოლფასია. მასდარი ზმნის (II თემა) *ქაჰჰარა* – ვინმეს გამოცხადება ურწმუნოდ. ძირი [ქ/ჰ/რ] ყურანში გვხვდება 525-ჯერ.
  
- ❖ **თაშაჰუდი [თაშაჰჰუდ არაბ. *أشياء*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს შაჰადას (ისლამის აღიარების ფიცის) ფორმულის რეჩიტაცივს, დეკლამაციას, ლოცვის დროს წარმოთქმას. მასდარი ზმნისა (V თემა) *თაშაჰჰადა*. ძირი [შ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 160-ჯერ.
  
- ❖ **თაშბიჰი [თაშბიჰ არაბ. *أشياء*] –** ანთროპრომორფიზმი. მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღმერთის არალვთაებრივ ქმნილებებთან შედარებას, ალაჰის (ს.ვ.თ) უნიკალურობას; არაფერთან მსგავსების იდეის სანინაალმდეგოდ მისთვის ადამიანური მახასიათებლების მიკუთვნებას. ისლამის ძირითადი მიმართულებები თაშბიჰს, წარმართობის, კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებად და

ცოდვად მიიჩნევს. სიტყვასიტყვით ნიშნავს დამსგავსება, ასიმილირება. მასდარი ზმნის (II თემა) შაბბაჰა. ძირი [შ/ბ/ჰ] 12-ჯერ გვხვდება ყურანში.

- ❖ **თაჯდიდი [თაჯდინდ არაბ. *تاجدي*] –** განახლება, ძირითადად არტიკლიანი ფორმით ათ-თაჯდიდი, აღნიშნავს ისლამის რელიგიაში მიმდინარე განახლების პროცესს, რომლის მიზანი ისლამური საზოგადოების განვითარება და წინსვლაა. ასევე თაჯდინდ თანამედროვე პერიოდში (XVIII-XIX სს) მუსლიმურ სამყაროში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად შექმნილი მოძრაობების აღმნიშვნელადაც იქცა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განახლება. მასდარი ზმნის (II თემა) ჯადდადა. ძირი [ჯ/დ/დ] ყურანში გვხვდება 10-ჯერ.
- ❖ **თაჯვიდი [თაჯვინდ არაბ. *تاجويد*] –** ყურანის კითხვის ხელოვნება. ყურანოლოგიაში ყურანის კითხვის ორფოეპიური წესები, რომლითაც მიიღწევა ყურანის სწორი კითხვა, რაც გამორიცხავს აზრის დამახინჯებას. მასდარი ზმნის (II თემა) ჯავვადა. ძირი [ჯ/ვ/დ].
- ❖ **თაჰლილი [თაჰლილ არაბ. *تهليل*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ზიქრის (ღმერთის მოხსენიების ლოცვა), შაჰადის (ისლამის აღიარების ფიცი) ფორმულის შემადგენელ ერთ ნაწილს, ფრა-

ზას „ლწ ილწჳა ილლწ ლლწჳ“ - არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა (ს.ვ.თ). თაჰლილი წარმოითქმის ხმამაღლა და გამოითქმით. წარმომთქმელი ამ ფორმულით ადასტურებს ალაჰის ერთადერთობას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შექება, განდიდება, აღიარება. მასდარი ზმნის (II თემა) ჰალალა. ძირი [ჰ/ლ/ლ].

- ❖ **თაჰმიდი [თაჰმიდ არაბ. *أحمد*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) განდიდებას ფორმულას „აღ-ჰამიდეჲ ლი-ლლწ ჰი“- დიდება ალაჰს, მადლობა ალაჰს. წარმოითქმის ყველა ვითარებაში. სიტყვასიტყვით დიდება, დიდებით შემოსვა, შექება. მასდარი ზმნის (II თემა) ჰამმადა. ძირი [ჰ/მ/დ] გვხვდება ყურანში 63-ჯერ.
- ❖ **თაჰრიმი [თაჰრიმ არაბ. *أحريم*]** – ისლამურ სამართალში ტერმინი თაჰრიმი აღნიშნავს ყველა იმ ქმედებას, რომელიც აკრძალულია რელიგიური თვალსაზრისით. სინონიმია ჰარამის. ასევე არის ყურანის 66-ე სურის სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს აკრძალულს. მასდარი ზმნის (II თემა) ჰარრამა. ძირი [ჰ/რ/მ] ყურანში გვხვდება 83-ჯერ.
- ❖ **თაჰრიფი [თაჰრიფ არაბ. *أحريف*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს იუდეველთა და ქრისტიანთა მიერ ღმერთის სიტყვის ანუ წმინდა წიგნე-

ბის (თორა, ფსალმუნები, სახარება) და აბრაამის რელიგიის, მონოთეისტური რწმენის, ქრემარიტი მნიშვნელობის შეცვლას. პირველად ტერმინი გამოჩნდა X საუკუნეში იბნ ჰაზმის ნაშრომებში. სიტყვასიტყვით ნიშნავს: დამახინჯება, მნიშვნელობის შეცვლა. მასდარი ზმნის (II თემა) ჰარრაჟა. ძირი [ჰ/რ/ჟ].

- ❖ **თილვა [თილვა არაბ. *تولوا*]** – ყურანისეული ტერმინი, რომელიც აღწერს კითხვის პროცესს. ყურანის კითხვა (რეჩიტატივი) მისი მეორეული მნიშვნელობაა. ძირითადად ნიშნავს, რაიმეს მიყოლას. ძირითად მნიშვნელობაზე დაყრდნობით მუსლიმურ თეოლოგიაში თილვას, კითხვის პროცესს, განმარტავენ როგორც გარდმოვლენილი გზავნილის მიყოლას, არამხოლოდ ნაკითხვით, არამედ სიღრმისეული გაგება-გაცნობიერებით, რაც თავისთავად გულისხმობს რელიგიის გზით ცხოვრებას რეალობაში. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ხმამალლა კითხვა. მასდარი ზმნისა (I თემა) თალწ. ძირი [თ/ლ/ვ] გვხდება ყურანში 69-ჯერ.





- ❖ **იავმ ალ-კიამა [დავმ ალ-კიამა არაბ. *يوم القيامة*]** – მკვდრეთით აღდგომის დღე, როდესაც ყველა გარდაცვლილი მკვდრეთით აღსდგება და განიკითხება. ეს დღე სამყაროს აღსასრულის შემდეგ დადგება და მისი დადგომის შესახებ მხოლოდ ალაჰმა (ს.ვ.თ) იცის. სიტყვასიტყვით განიკითხვის დღე.
  
- ❖ **იბადა [‘იბნდა არაბ. *آباء*]** – ღვთისმსახურება. ისლამში ღვთისმსახურება მოიცავს შემდეგ სავალდებულო ქმედებებს, ისლამის ხუთ ბურჯს: *აშ-შაჰადა* (რწმენის აღიარების ფიცი), *აჰ-სალათ* (ხუთჯერადი კანონიკური ლოცვა), *ზაქათ* (აუცილებელი მონყალება), *აჰ-საემ* (მარხვა) და *ჰაჯჯ* (პილიგრიმოზა მექაში) და ასევე ღმერთისაკენ და სინმინდის მდგომარეობის მიღწევისკენ სწრაფვას. ასევე მიიჩნევა, რომ მუსლიმის ყველა კეთილი განზრახვის მქონე ქცევა, საჯაროდ თუ არა, არის ღმერთის მსახურება. სიტყვასიტყვით ნიშნავს: თაყვანისცემა, ღვთისმოსაობა, მსახურება. მასდა-

რი ზმნის (I თემა) 'აბადა. ძირი [‘/ბ/დ] 275-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან 'იბნდა 9-ჯერ.

- ❖ **იბადიტები/იბადია [იბნ'დიჰა არაბ. *أباديت*] –** ზომიერი ხარიჯიტული თემი, რომელიც ჩამოყალიბდა VII საუკუნეში, 684-685 წლებში. სახელწოდება მომდინარეობს დამაარსებლიდან – 'აბდ ალლჰ ბ. იბნდის მიმდევრები. დაარსდა ერაყში, ბასრაში. თუმცა, იბადიტთა თემის დამაარსებლად და მოძღვრების შემქმნელად ითვლება ჯაბირ ბ. ზადდი (გარდ. 717წ.), რომელიც ომანიდან იყო. თემის ლიდერი არის იმამი, შეიხთა მიერ არჩეული, რომელსაც ევალება სუნას, ყურანის, იბადიტ იმამთა მაგალითის მიყოლა და არ არის სავალდებულო იყოს კურაიშის ტომიდან. გავლენა იქონია მუ'თაზილიტურმა და სუნიტუმმა იდეოლოგიებმა. დღეს ომანის მოსახლეობის უმეტესობა იბადიტია, ასევე გავრცელებულია ჩრდილოეთ აფრიკაში.
- ❖ **იბლისი [იბლῖნს არაბ. *إبليس*] –** ემმაკი, სატანა. ყურანის მიხედვით, იბლისმა უარი განაცხადა ალაჰის უმაღლესი ქმნილების ადამიანისთვის (ადამისათვის) თაყვანისცემაზე, რის გამოც ალაჰმა ის სამოთხიდან გამოაძევა. შემდგომ კი ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვა მიესაჯა. მანვე აცდუნა ადამი და ჰავა (ევა), რომ მიახლოებოდნენ აკრძალულ ხეს და ევას გაესინჯა მისი ნაყოფი. ისლამის მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა

იბლისი მიეკუთვნება ანგელოზებს (შექმნილთ სინათლისგან) თუ ჯინებს (შექმნილთ ცეცხლისგან). ყურანში გვხვდება 11-ჯერ.

- ❖ **იდი ['იდ არაბ. *أيد*] –** დღესასწაული, ისლამში არსებობს ორი კანონიკური დღესასწაული: 'იდ ალ-ფიტრი, რომელიც აღინიშნება რამადანის მარხვის დასრულების შემდგომ და 'იდ ალ-ადჰა აღინიშნება პილიგრიმოზის დასრულების შემდგომ. არსებითი სახელი. ძირი ['/ვ/დ] ყურანში გვხვდება 63-ჯერ, აქედან ერთხელ როგორც 'იდ.
- ❖ **იდ ალ-ადჰა ['იდ ალ-'ადჰა არაბ. *أضحى* / *أضحى*] –** მსხვერპლშენიშნის დღესასწაული, რომელიც ჰაჯის (პილიგრიმოზა) კულმინაციურ მომენტს მინას რიტუალს უკავშირდება. დღესასწაული აღინიშნება ზუ ლ-ჰიჯჯას (ისლამური კალენდრის ბოლო თვე) 10 რიცხვიდან, იწყება საერთო ლოცვით, გრძელდება სამი დღე და აღინიშნება მთელ მუსლიმურ სამყაროში. ასევე ეწოდება როგორც 'იდ ალ-ქაბირ, დიდი დღესასწაული, ერთ-ერთია ორ ისლამურ კანონიკურ დღესასწაულს შორის. თურქულად ეწოდება ყურბან ბაირამი. ამ დღესასწაულის დროს მუსლიმი რიტუალურად შესაბამის (უზადო) ცხოველს (ცხვარი, აქლემი, ძროხა) მსხვერპლად სწირავს.

❖ **იდ აღ-ფიტრი** [*იდ აღ-ფიტრ არაბ. عيد الفطر*]

– გახსნილების დღესასწაული, რომელიც ერთ-ერთია ისლამში არსებულ ორ კანონიკური დღესასწაულს შორის. დღესასწაული ეძღვნება რამადანის მარხვის დასრულებას და აღინიშნება შავალის (ჰიჯრის კალენდრის მე-10 თვე) თვის პირველ რიცხვში, იწყება საერთო ლოცვით და გრძელდება სამი დღე. ასევე უწოდებენ *იდ ას-კალბრ* (პატარა დღესასწაული), თურქულად რამაზან ბაირამი (რამადანის დღესასწაული). სიტყვასიტყვით ნიშნავს: გახსნილების დღესასწაული.

❖ **იდა** [*იდდა არაბ. ايدا*] – ისლამში აღნიშნავს

თავშეკავების ვადას, რომელსაც იცავს განქორწინებული ან დაქვრივებული ქალი შესაძლო ფეხმძიმობის დადგენისათვის. განქორწინების შემდეგ ქალი თავშეკავების ვადას 3 თვეს, ხოლო დაქვრივების შემდეგ 4-10 თვეს იცავს. *იდდას* დროს ქმარმა უნდა უზრუნველყოს ცოლი მატერიალურად. ფეხმძიმობის დადასტურების შემდეგ *იდდა* გრძელდება ბავშვის დაბადებამდე. თავშეკავების პერიოდში შესაძლებელია ქორწინების განახლება. ხოლო მისი დასრულების შემდგომ წყვილს შეუძლია სურვილისამებრ ქორწინება კვლავ ყველა წესის სრულად დაცვით. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: იზოლირება, გამოყოფა, რამდენიმე, შესაბამისი, შესატყვისი. ძირი [‘/დ/დ] ყურანში გვხვდება 57-ჯერ, აქედან *იდდა* 11-ჯერ.

- ❖ **იდათ ას-სალათი [იდა'ათ ას-სალათ არაბ. *إدائة الصلاة*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს სავალდებულო ლოცვის შესრულების უარყოფას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ლოცვის დაკარგვა.
- ❖ **იდრაქი [იდრანქ არაბ. *كراخ*] –** ისლამურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ნიშნავს იდეის გაცნობიერებას, მიღწევას, რაიმეს გაგებას ადამიანის გონების მიერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გაგება, გაცნობიერება. მასდარი ზმნის (IV თემა) ადრაქა. ეს ძირი [დ/რ/ქ] 12-ჯერ გვხვდება ყურანში.
- ❖ **იზა ['იზზა არაბ. *ةزة*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს უმაღლეს პოზიციას, რომელიც უკავიათ ალაჰს (ს.ვ.თ), მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს) და მუსლიმებს თავიანთ შესაფერის სფეროებში. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შეძლება, პატივი, პატივისცემა, ღირსება. მასდარი ზმნის (I თემა) 'აზზა. ძირი ['/ზ/ზ] ყურანში 119-ჯერ გვხვდება ხოლო აქედან 'იზზა 11-ჯერ.
- ❖ **იზრაილი ['იზრან'ილ არაბ. *عزرائيل*] –** სიკვდილის ანგელოზი, რომელსაც ევალება ადამიანის სული განაშოროს სხეულს. როდესაც ღმერთის ზეციური ტახტის გვერდით მდგომი ხიდან ჩამოვარდება

ფოთოლი, რომელზეც ადამიანის სახელი წერია, 'იზრწ'ილი ამოიკითხავს მის სახელს. ის გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში ცდილობს ადამიანის სული განაშოროს სხეულს. ყურანში მოხსენიებულია როგორც სიკვდილის ანგელოზი. არსებობს იუდაიზმშიც.

❖ **ითიბა [ითიბწ'ა არაბ. *إتبات*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მითითებას, რომლის მიხედვითაც მუსლიმის მოვალეობაა მიჰყვეს მოციქულის (ს.ა.ა.ს) მაგალითს, მის ბრძანებებს, მის სუნას. ასევე მოციქულის ერთ-ერთი მოვალეობაა „ასწავლოს რომ მიჰყვნენ“. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ვინმეს მიდევნება ან ვინმეს „ნაბიჯების“ გამეორება. მასდარი ზმნის (VIII თემა) ითაბა'ა. ძირი [თ/ბ/'] ყურანში გვხვდება 172-ჯერ, აქედან ითიბწ'ა ორჯერ.

❖ **ითიქაფი [ი'თიქწჟ არაბ. *إتق*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღვთისმსახურების ფორმას, როდესაც მუსლიმი საკუთარი სურვილით, აღთქმის საფუძველზე, განმარტოვდება მეჩეთში. ის საკუთარი სურვილითვე დათქმული რაოდენობის დღეებს მთლიანად ატარებს მეჩეთში, ლოცვაში, მარხვასა და ყურანის კითხვაში. ეს არის ღვთისმსახურების ნებაყოფლობითი, შესაქები, მოსაწონი ფორმა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გან-

მარტოება, იზოლირება. მასდარი ზმნის (VIII თემა) ი'თიქაფა. ძირი [/'ქ/ქ] .

- ❖ **იკაბი [‘იკაბ არაბ. *عقاب*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს სასჯელს, როგორც დისკრეციულს ასევე ყურანით განსაზღვრულს (ჰადდ). სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სასჯელს. ხშირად გამოიყენება მრავლობითის ფორმით ‘უკუბათ. მასდარი ზმნის (III თემა) ‘ნკაბა. ძირი [/'კ/ბ] ყურანში გვხვდება 80-ჯერ, აქედან ‘იკაბ 20-ჯერ.
- ❖ **იკამა [იკამა არაბ. *إقامة*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს, ლოცვის დაწყებისაკენ, აზანის შემდგომ, განმეორებით (მეორე მოწოდებას), რომელიც აზანისგან განსხვავებით მიმართულია უკვე მეჩეთში მყოფი მუსლიმებისკენ, რომელთაც ჯერ ლოცვა არ დაუნწყიათ. ეს არის მოწოდება უკვე სალოცავად შეკრებილთათვის, ლოცვის დაწყების შეტყობინების მიზნით. აზანისგან განსხვავებით, წარმოითქმება უფრო ჩქარა და მონოტონურად. ფორმულების წარმოთქმის რაოდენობაც განსხვავებულია (2-ჯერ ან ერთხელ). სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: დაარსებაჲ, დაპროექტება, დაფუძნება და ა.შ. მასდარი ზმნის (IV ფორმა) აკამა. ძირი [კ/ვ/მ] გვხვდება ყურანში 66-ჯერ.

- ❖ **იკრარი [იკრარ არაბ. اقرار]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ნიშნავს ისლამის ჭეშმარიტი რწმენის სიტყვიერ აღიარებას, როგორც შაჰადას ნაწილს. ხოლო ისლამურ სამართალში აღნიშნავს დანამაულის აღიარებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: აღიარება, ნების დართვა, დადგენა, დამყარება, დამტკიცება. მასდარი ზმნის (IV თემა) აკრარა. ძირი [კ/რ/რ] ყურანში გვხვდება 39-ჯერ.
- ❖ **ილა [ილ' არაბ. ائلا]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი აღნიშნავს თავშეკავების ფიცს. ისლამულ'რი სამართლის მიხედვით, მუსლიმ მამაკაცს შეუძლია დადოს ფიცი ცოლთან სექსუალური ურთიერთობისგან თავშეკავების შესახებ, მაგრამ თუ ფიცი გაგრძელდა 4 თვეზე მეტხანს, ცოლს ასევე შეუძლია მოითხოვოს განქორწინება. სიტყვასიტყვით ნიშნავს ფიცს, პირობას რაიმეს გაკეთების ან არ გაკეთების შესახებ. მასდარი ზმნის (IV თემა) 5ლწ. ძირი [ლ/ვ]
- ❖ **ილალ აღ-ჰადისი [ილალ აღ-ჰადის არაბ. ائلال ائلائ]** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის იმ ფარულ მიზეზებს, რომლებმაც შეიძლება გააბათილოს ჰადისი, ეჭვქვეშ დააყენოს მისი ავთენტურობა. სიტყვასიტყვით ჰადისის ახსნა, განმარტება.



❖ **ილმ ათ-თაფსირი [‘ილმ ათ-თაფსირ არაბ. علم**

**التفسير]** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ყურანის აიების განმარტებების, კომენტარების (თაფსირის) მეთოდოლოგიას. ეს არის ფუნდამენტური ცოდნა, ყურანის წმინდა წიგნის გაგებისათვის. თავდაპირველად ეგზეგეტიკის მნიშვნელობით გამოიყენებოდა *მა’ანი* (მნიშვნელობები), რომელიც ჰიჯრის მესამე საუკუნეში ჩანაცვლდა *თა’ვილ-ით* (დაბრუნება სანყისთან) ხოლო შემდგომ საუკუნეში გამოჩნდა ტერმინი *თაფსირ* (განმარტება), რომელიც ყურანში გვხვდება მხოლოდ ერთხელ. ‘ილმ ათ-თაფსირ სამი ტიპისაა: *თაფსირ ბი-ლ-მა’სურ*; *თაფსირ ბი-ლ-მა’კულ*; *თაფსირ ალ-ისდარ*.

❖ **ილმ ათ-თაჯვიდი [‘ილმ ათ-თაჯვიდ არაბ. علم**

**التجويد]** – მეცნიერება ყურანის რეჩიტაცივის შესახებ, რომელიც შეისწავლის წესებს ყურანის სწორი კითხვისათვის, როგორცაა ბგერათა წარმოთქმის, ხმოვანთა ხანგრძლივობის, ასიმილაციის წესები. სიტყვასიტყვით მეცნიერება ყურანის რეჩიტაცივისა.

❖ **ილმ ალ-ბალაღა [‘ილმ ალ-ბალაღა არაბ. علم**

**البلاغه]** – მეცნიერება რიტორიკის შესახებ. ისლამურ სამყაროში რიტორიკა აღინიშნება ორი ტერმინით: 1. ხატაბა, რომელიც მიიჩნევა ბერძნული

რიტორიკის გავლენის მატარებლად. 2. ბალალა, რომელიც მიიჩნევა ისლამურად, თვითნაბადად, ყველანაირი გარე გავლენებისგან თავისუფლად. ის კავშირშია რელიგიასთან. 'ილმ ალ-ბალალა იყოფა სამ მიმართულებად: 1. 'ილმ ალ-მა'ან – მეცნიერება მნიშვნელობების შესახებ; 2. 'ილმ ალ-ბადან – მეცნიერება (ენის) სიცხადის შესახებ; 3. 'ილმ ალ-ბადრ' – მეცნიერება ორნამენტაციის შესახებ.

- ❖ **ილმ ალ-ქალამი** [**'ილმ ალ-ქალამ არაბ. علم الكلام**] – რელიგიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ისლამის ფუნდამენტურ ასპექტებს, სუნიტური რელიგიური-სამართლებრივი სკოლების (მაზჰაბები) საღვთისმეტყველო დოგმებსა და სწავლებებს. ისლამურ სამყაროში ქალამის მეცნიერები – *მუთაქალლიმუნ* მიიჩნევიან დოგმატურ თეოლოგებად. სიტყვასიტყვით თეოლოგია.
- ❖ **ილმ ალ-ჰადის დირაია** [**'ილმ ალ-ჰადის დირაია არაბ. علم الحديث**] – ჰადისის შემსწავლელი ერთ-ერთი მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავს ისნადის (ჰადისის გადმომცემთა ჯაქვი) შესწავლას, კრიტიკული ანალიზის მეთოდით, რათა დაადგინოს მათი შესაბამისობა, მისაღებობა და განასხვავოს იმისგან, რაც უნდა იქნეს უარყოფილი. განსაზღვროს ჰადისის ავთენტურობა გად-

მომცემთა ჯაჭვის ანალიზის საფუძველზე. სიტყვასიტყვით მეცნიერება ჰადისის ცოდნის შესახებ.

- ❖ **ილმ ალ-ჰადის რივაია [‘ილმ ალ-ჰადის რივად არაბ. *علم الحديث رواية*] –** ჰადისის შემსწავლელი ერთ-ერთი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჰადისის მათნის, ანუ ტექსტის სანდობას, რათა განსაზღვროს ჰადისის ავთენტურობა შინაარსის მიხედვით. სიტყვასიტყვით ჰადისის მთხრობელთა მეცნიერება.
- ❖ **ილმ ალ-ჰადისი [‘ილმ ალ-ჰადის არაბ. *علم الحديث*] –** ჰადისების შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც ჩამოყალიბდა ჰიჯრის III საუკუნეში და მიზნად ისახავდა მოციქულ მუჰამადთან (ს.ა.ა.ს) დაკავშირებული გადმოცემების, ჰადისების სისწორისა და სანდობის დადგენას.
- ❖ **ილმ არ-რიჯალი [‘ილმ არ-რიჯალ არაბ. *علم الرجال*] –** ჰადისის გადმომცემთა (მუჰადისთა) შემსწავლელი მეცნიერება. შეისწავლის ჰადისის გადმომცემებს, მიზნად ისახავს მუჰადისთა შეფასებას სანდობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. რათა დადგინდეს ავთენტური და არაავთენტური ჰადისები. სიტყვასიტყვით ნიშნავს კაცთა შემსწავლელ მეცნიერებას.

- ❖ **ილმ ას-სირა** [‘**ილმ ას-სირა არაბ. علم السيرة**] – მეცნიერება, მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ცხოვრების-ბიოგრაფიის შესახებ. შეისწავლის ყველა დეტალს, ამბავს მოციქულის ცხოვრების შესახებ, როგორც მისი სამოციქულო მისიის დაწყებამდე ისე შემდგომ პერიოდში. სიტყვასიტყვით ბიოგრაფიის შემსწავლელი მეცნიერება.
- ❖ **ილმ მუხთალაფ ალ-ჰადისი** [‘**ილმ მუხთალაფ ალ-ჰადის არაბ. علم مختلف الحديث**] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჰადისებს მათში არსებული ცხადი განსხვავებების გამო. შეისწავლის ჰადისთა შორის არსებულ განსხვავებებს, ურთიერთშეჯერების თვალსაზრისით. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ჰადისის წინააღმდეგობრიობის შესწავლა.
- ❖ **ილმ უსულ ად-დინი** [‘**ილმ უსულ ად-დინ არაბ. علم اصول الدين**] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ისლამის, რელიგიის საფუძვლებს და მოიცავს ისლამურ სამართალს, ფილოსოფიას, დოქტრინას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მეცნიერება ისლამის საფუძვლების შესახებ.
- ❖ **ილმ უსულ ალ-ფიკჰი** [‘**ილმ უსულ ალ-ფიკჰ არაბ. علم اصول الفقه**] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ისლამური სამართლის საფუძვლებსა

და მეთოდოლოგიას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მეცნიერება სამართლის საფუძვლების შესახებ; ფიკჰის მეცნიერება.

- ❖ **ილჰამი [ილჰამ არაბ. *إلهام*] –** ისლამში აღნიშნავს ღვთიურ შთაგონებას, რომელშიც იგულისხმება ყურანი. ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ არჩეული პიროვნებისათვის იდეის, ინფორმაციის ღვთიურ ზემოთაგონებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ინსპირაცია, შთაგონება, გამოაშკარავება. მასდარი ზმნის (IV თემა) *ალჰამა*. ძირი [ლ/ჰ/მ].
- ❖ **იმამა [‘იმამა არაბ. *إمام*] –** მუსლიმი მამაკაცის თავსაბურავი, ჩაღმა, შედგება ქუდისა და მასზე მოხვეული ქსოვილისგან. ფიკჰით (ისლამური სამართალი) განსაზღვრულია როგორი, როგორ, ვინ და რა დროს უნდა ატაროს.
- ❖ **იმამათი [იმამთ არაბ. *إمامة*] –** შიიზმში ეს არის უნივერსალური მმართველობა რელიგიურ და სეკულარულ სფეროში, რომელიც ეკუთვნის მოციქულის შთამომავლებს. იმამათი, შიიტური თვალსაზრისით, სათავეს იღებს მეოთხე ხალიფა ‘ალი იბნ აბი ტალიბისგან (656-661). ისლამურ სამყაროში იმამი ეს არის ლოცვის ხელმძღვანელი. ასევე გვხვდება როგორც მუსლიმური თემის (უმმას) უზენაესი რელიგიური მმართველობის ინსტიტუტი. *იმამთ* ნიშნავს წინამძღოლებს, ხოლო

იმამ წინამძღოლს. *იმამა* არის მასდარი ზმნის (I თემა). ძირი [’/მ/მ] ყურანში გვხვდება 119-ჯერ. ხოლო აქედან 12-ჯერ *იმამ* არსებობის ფორმით.

- ❖ ***იმამი [რამამ არაბ. *إمام*] –*** ლოცვის ხელმძღვანელი მეჩეთში. ასევე ეწოდება უმმას (მუსლიმირი თემი) ხელმძღვანელსაც. ყურანში ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება და გამოიყენება თემის ლიდერებისა და აბრაამის მიმართ. მასდარი ზმნის (I თემა) *ამმა*. სიტყვასიტყვით ნიშნავს: წინ მდგომი, ლიდერი. ძირი [’/მ/მ] ყურანში გვხვდება 119-ჯერ, აქედან *რამამ* 12-ჯერ.
- ❖ ***იმან ბი-ლ-იავმ ალ-ახირი [რამან ბი-ლ-იავმ ალ-ახირ არაბ. *إيمان باليوم الآخر*] –*** განკითხვის დღის რწმენა. ისლამური დოგმატიკის მიხედვით მორწმუნემ უნდა ირწმუნოს განკითხვის დღის, იმქვეყნიური სამყოფელის. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ბოლო დღის რწმენა.
- ❖ ***იმან ბი-ლ-კადარი [რამან ბი-ლ-კადარ არაბ. *إيمان بالقدر*] –*** ისლამურ თეოლოგიაში აღნიშნავს ბედისწერის რწმენას, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება, წინასწარგანსაზღვრულად. ისლამის მიხედვით მორწმუნე ვალდებულია სწამდეს ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ

მისთვის წინასწარგანსაზღვრული ბედის. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ბედისწერის რწმენა.

- ❖ **იმანი [ἰმᾶν არაბ. ايمان]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ნიშნავს რწმენას, რაც მოიცავს ადამიანის შინაგან რწმენას, მის მიერ რწმენის სიტყვიერ აღიარებას და შესაბამის ქმედებას. მუსლიმს ყურანისა და ჰადისების მიხედვით უნდა სწამდეს: ერთადერთი ღმერთის – ალაჰის (ს.ვ.თ); მოციქულების და ალაჰის უკანასკნელი მოციქულის მუჰამადის (ს.ა.ა.ს), განკითხვის დღის, წმინდა წიგნების და ღმერთის ნების. სიტყვასიტყვით ნიშნავს: დაცულად ყოფნა, ნდობა, რწმენა, მასდარი ზმნისა (IV თემა) *ნმანა*. ძირი [’/მ/ნ] 879-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან *ἰმᾶν* 45-ჯერ.
- ❖ **ინა ლილაჰი ვა ინა ილაიჰი რაჯიუნ [’ინნ ლი-ლლჰჰი ვა ’ინნ ’ილაჰჰი რჯჰი’უნ არაბ. ان الله وان الله راجعون]** – ჭეშმარიტად, ჩვენ ვეკუთვნიტ ალაჰს (ს.ვ.თ) და, ჭეშმარიტად, მას დაეუბრუნდებით. ამბობენ როდესაც ვინმეს შეემთხვევა ტრაგედია; ვინმეს გარდაცვალების დროს; მწუხარებისას.
- ❖ **ინშალაჰ [ინ შა’ა ალლჰჰ არაბ. ان شاء الله]** – თუ ისურვებს ალაჰი (ს.ვ.თ). შედგება წინადადების

სამი წევრისგან *ინ* (მეტყველების ნაწილი) -თუ; შნ'ა (ზმნა) ისურვებს ის და ალაჰი. ყურანის მიხედვით ღმერთის სურვილის, ნების გარეშე არაფერი ხდება. მუსლიმები ხშირად წარმოთქვამენ ამ ფრაზას მომავალში მოსახდენი მოვლენის შესახებ საუბრისას, რითაც გამოხატავენ, რომ ყველაფერი არის ღმერთის ნება და დამოკიდებულია მასზე. *ინშალლაჰ* მოცემულია ყურანში (37:102;18:23-24).

- ❖ **ირთილადი [ირთილდ არაბ. *اِسْتَيْ*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ისლამისაგან განდგომას, რწმენის უარყოფას. ყურანის მიხედვით განდგომილება ისჯება იმქვეყნად, ხოლო ამქვეყნიური სასჯელი განსაზღვრულია ისლამური სამართლით. სიტყვასიტყვით ნიშნავს უკან დაბრუნებას. მასდარი ზმნის (VIII თემა) *ირთადად*. იგივე მნიშვნელობის მატარებელია *რიდდა* (არაბ. *ردا*). ძირი [რ/დ/დ] ყურანში გვხვდება 59-ჯერ.
- ❖ **ისტალფარა [ისტალქნრა არაბ. *استغفار*] –** შენდობა, პატიება სთხოვო ალაჰს (ს.ვ.თ) და ეძიო ის. ზმნა *ლაფარა* ნიშნავს შენდობას, პატიებას. ამავე ძირიდან არის ნაწარმოები ალაჰის (ს.ვ.თ) კიდევ ერთი სახელი *ალ-ლაფურ* მიმტყვებელი ან *ალ-ლაფურ* – ის, ვინც გამუდმებით, მრავალგზის პატიობს, შეუენდობს. მასდარი ზმნის (X თემა)



ისტაღფარა. ძირი [ლ/ფ/რ] ყურანში გვხვდება 234-ჯერ, აქედან ისთაღფარა ერთხელ.

- ❖ **ისტისჰაბ ალ-ადამ ალ-ასლი [ისტისჰაბ ალ-ადამ ალ-ასლი არაბ. *استصحاب الاصل*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს უწყვეტობის პრეზუმფციას, რომელსაც არ აქვს წარსულთან კავშირი. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არსებული კანონი, ან ფაქტი რომელიც არ არსებობდა წარსულში, უკანონოა სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო.
- ❖ **ისტისჰაბ ალ-ვასფი [ისტისჰაბ ალ-ვასფი არაბ. *استصحاب الوصف*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს სამართლებრივ მახასიათებელთა უწყვეტობის შესახებ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ნივთის მახასიათებელი ნიშან-თვისება მიიჩნევა უწყვეტად, სანამ სანინაალმდეგო არ დამტკიცდება.
- ❖ **ისტისჰაბ ალ-ვუჯუდ ალ-ასლი [ისტისჰაბ ალ-ვუჯუდ ალ-ასლი არაბ. *استصحاب الوجود الاصيل*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს პრეზუმფციას უწყვეტობის შესახებ, რომელსაც აქვს წინაპირობა ანუ მომდინარეობს საიდანმე. ამ პრინციპის მიხედვითაც, არსებული ფაქტი, კანონ-

ნი თუ გამტკიცებულია კანონით ან ლოგიკური მსჯელობის შედეგად არის მიღებული, მიიჩნევა მისაღებად და ჭეშმარიტად.

❖ **ისტისჰაბ ალ-ჰუქმი [ისტისჰაბ ალ-ჰუქმ არაბ.**

**استصحاب الحكم** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს არსებულ კანონთა და წესთა მოქმედების უწყვეტობის პრეზუმციას. ეხება კანონებს, რომელიც სრულ თანხვედრაშია შარიათის კანონებთან.

❖ **ისტისჰაბი [ისტისჰაბ არაბ. استصحاب]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს უწყვეტობის პრეზუმფციას, რომლის მიხედვითაც არსებული ვითარება რჩება უცვლელად, სანამ მისი დასარულების ან შეცვლის შესახებ არ დამტკიცდება.

ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. სამართლებრივ პრაქტიკაში დამკვიდრებულია შაფიტური მაზჰაბის მიერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: კავშირის ძებნა რაიმე ნაცნობთან. მასდარი ზმნის (X თემა) ის-თაჰჰაბა. ძირი [ს/ჰ/ბ] ყურანში გვხვდება 97-ჯერ.

❖ **ისტისჰალა [ისტისჰალა არაბ. استحالة]** – ისლამური სამართლის, ფიკჰისეული ტერმინი, რომელიც ნიშნავს აკრძალული ნივთიერების ბუნებრივი მახასიათებლების გარდაქმნას, რომლის შედეგადაც იცვლება მისი ქიმიური მაჩვენებლები, ეცვლება სტატუსი და აკრძალულიდან ხდება დაშვებული.

გამოიყენება ჰალალისა და ჰარამის განსაზღვრაში, მაგალითად, საკვებთან მიმართებით. სამართლისმცოდნეების ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ გარდაქმნის შედეგად აღარ არსებობს ამკრძალავი მიზეზი რელიგიური სამართლის პრინციპებისთვის, მაშინ აკრძალული შესაძლებელია გახდეს ნებადართული. მეორენი კი ფიქრობენ, რომ გარდაქმნის მიუხედავად ნივთიერება მაინც ინარჩუნებს თანდაყოლილ უწმინდურებას და კვლავ აკრძალულად უნდა დარჩეს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ნივთიერების გარდაქმნა, ტრანსფორმაცია. მასდარი ზმნის (VIII) თემა *ისტაჰალა*. ძირი [ჰ/ლ/ლ].

- ❖ **ისტოჰსანი [ისტოჰსან არაბ. *استحسان*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს სამართლებრივი უპირატესობის პრინციპს, რომელიც გამოიყენება ანალოგიის (*კიდას*) და კონსენსუსის (*იჯმას*) მეთოდთან ერთად. ისტოჰსანის პრინციპის მიხედვით, საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან, უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც უფრო სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის. პირველად დამკვიდრდა ჰანაფინტურ მაზჰაბში, უარყოფილია შაფიტების მიერ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მოწონება, უპირატესობა. მასდარი ზმნის (X თემა) *ისტაჰსანა*. ძირი [ჰ/ს/ნ] 194-ჯერ გვხვდება ყურანში.

- ❖ **ისლამი [ისლამ არაბ. اسلام]** – მესამე მონოთე- ისტური რელიგია მსოფლიოში, VII საუკუნეში არაბეთის ნახევარ-კუნძულზე გაჩნდა. ისლამი ნიშნავს მორჩილებას, სრულ მინდობას. ალაჰის (ს.ვ.თ) ნების მორჩილება წარმოადგენს ისლამის, როგორც რელიგიის ფუნდამენტურ იდეას. მასდარი ზმნის (IV თემა) ასალამა. ძირი [ს/ლ/მ] ყურან- ში გვხვდება 160-ჯერ, აქედან ისლამ 8-ჯერ.
  
- ❖ **ისლამიათ აღ-მარიფა [ისლამიათ აღ- მა'რიფა არაბ. إسلامية المعرفة]** – ცოდნის ისლა- მიზაცია. ტერმინი დამკვიდრდა XX საუკუნის ის- ლამურ ფილოსოფიაში. ეს მიდგომა მიზნად ისა- ხავს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ის- ლამურ ეთიკასთან შესაბამისობით დამკვიდრების გზების ძიებას.
  
- ❖ **ისლაჰი [ისლჰ არაბ. اصلاح]**– რეფორმისტული მოძრაობა, რომელიც დაიწყო XVIII საუკუნეში და მიმდინარეობს დღემდე. მისი მიზანია ისტორიული მოვლენების გამო ისლამის ჭეშმარიტი გზავნილის არასწორად გაგებისა და ინტერპრეტაციის, დამა- ხინჯების წინააღმდეგ ბრძოლა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: აღდგენა, რეფორმა. მასდარი ზმნის (I თემა) ასლაჰა. ძირი [ს/ლ/ჰ] 180-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან ისლჰ 7-ჯერ.

- ❖ **ისმა** [*ისმა არაბ. **إسما***] – ისლამში აღნიშნავს მოციქულის (ს.ა.ა.ს) ღვთიურ დაცულობას ორ შემთხვევაში: 1. დაცულია სიკვდილისგან. 2. დაცულია შეცდომის დაშვებისაგან თავისი სამოციქულო მისიის შესრულებისას, როდესაც ის გადმოსცემს ღმერთის სიტყვას. სუნიტების მოსაზრებით, ღვთიურ დაცულობას ფლობს მხოლოდ მოციქული (*რასულ*) და არა ნინასწარმეტყველი (*ნაბი*). შიიტებთან კი იმამებიც ფლობენ. სიტყვასიტყვით ნიშნავს დაცვას. მასდარი ზმნის (I თემა) ‘ასამა. ძირი [‘/ს/მ] 13-ჯერ გვხვდება ყურანში.
- ❖ **ისნადი** [*ისნად არაბ. **انساء***] – ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვი. ადამიანების სია, რომლებიც გადმოსცემენ მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) გამონათქვამს, ან მოგვითხრობენ მისი ქცევის შესახებ ჰადისს. ისინი არიან მოციქულის მიმდევრები (ასჰაბები) თუ მიმდევართა მონაფეები (*თაბი‘უნ*). გადმომცემთა ჯაჭვის უწყვეტობა და შესაბამისობა არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინდიკატორი ჰადისის ავთენტურობის. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მხარდაჭერა, საფუძველი. მასდარი ზმნის (IV თემა) ასნადა. ძირი [ს/ნ/დ] ყურანში გვხვდება ერთხელ.
- ❖ **ისრაფილ** [*ისრაფილ არაბ. **إسرافيل***] – მთავარანგელოზი. ის იერუსალიმში წმინდა კლდიდან, სამ-

ყაროს აღდგომის დღის დადგომის შესახებ ამცნობს საყვირით, რომელიც სულ თან აქვს. ასევე ის კითხულობს ალაჰის (ს.ვ.თ) გადანყვეტილებების შესახებ და გადასცემს ანგელოზებს შესასრულებლად. ყურანში არ არის მოხსენიებული. მის შესახებ მოგვითხრობს ჰადისები და თაფსირები. მის შესატყვისად მიიჩნევა იუდეურ-ქრისტიანული ანგელოზი რაფაელი.

- ❖ **იფთა [იფთა' არაბ. ءتف]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ავტორიტეტული ფაკიჰის მიერ საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნის, ფათვის გამოცემის პროცესს. მასდარი ზმნისა (IV თემა) აფთა. ძირი [ფ/თ/ვ].
- ❖ **იფტარი [იფტარ არაბ. اפטار]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს გახსნილებას, მზის ჩასვლის და საღამოს ლოცვის დასრულების შემდეგ, რომელიც რამადანის მარხვის პერიოდში დგება. ხსნილის დროს მუსლიმები მარხვის დროს მსუბუქად ვახშობენ. იფტარი ჩვეულებრივ იწყება ფინიკით, მუჰამადის (ს.ა.ა.ს) შვეულებს შესაბამისად კი ხსნილი იწყებოდა გარგრით და წყლით, ან ტკბილი რძით. უმეტესად მეგობრები, ნათესავები ერთად ხვდებიან იფტარს. სიტყვასიტყვით საუზმე. მასდარი ზმნის (IV თემა) აფტარა. ძირი [ფ/ტ/რ] ყურანში გვხვდება 20-ჯერ.

- ❖ **იხთისარ ალ-ასანიდი [იხთიქსარ ალ-ასანნდ არაბ. اختصار الأسانيد]** – ჰადისთმცოდნეობაში ტერმინი აღნიშნავს გადმომცემთა ჯაჭვის (ისნად) შემოკლებას. მუსლიმმა მეცნიერებმა დაიწყეს ისნადის შემცირება და აღარ იყო მოხსენიებული ყველა გადმომცემის სახელი, რაც ეწინააღმდეგება ისლამურ მეთოდოლოგიას, რადგან გადმომცემთა რაოდენობა იყო ერთ-ერთი ინდიკატორი ჰადისის ავთენტურობის განსაზღვრისათვის.
- ❖ **იჯაზი [ი'ჯაზ არაბ. اجاز]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი ყურანთან მიმართებაში (ი'ჯაზ ალ-კურ'ან) აღნიშნავს მის განუმეორებლობას, სასწაულებრიობას ფორმითაც და შინაარსობრივადაც. ამ თეორიის მიხედვით, ყურანის შემქნელი ალაჰია (ბ.ვ.თ); ის ღმერთის სიტყვაა, რომელიც გადაეცა მოციქულ მუჰამადს (ბ.ა.ა.ს); არ შეიცავს არაფერს ადამიანურს, რადგან ადამიანს არ შეუძლია შეეჯიბროს, გაუთანაბრდეს, გაუტოლდეს ღმერთს. სიტყვასიტყვით ნიშნავს სასწაულებრივს, განუმეორებელს. მასდარი ზმნის (IV თემა) ა'ჯაზა. ძირი [/'ჯ/ზ] ყურანში გვხვდება 26-ჯერ.
- ❖ **იჯთიჰადი [იჯთიჰად არაბ. اجتهاد]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ტერმინი აღნიშნავს დამოუკიდებელ აზროვნებას, ინტერპრეტაციას იმ პრობლემატურ სამართლებრივ საკითხზე, რომელიც

არ არის განსაზღვრული ყურანით, ჰადისებით. იჯთიჰადი ხორციელდება ყურანსა და სუნაზე დაყრდნობით და მასთან შესაბამისობით. მასდარი ზმნის (VIII თემა) იჯთაჰადა. სიტყვასიტყვით ნიშნავს ძალისხმევას, მცდელობას. ძირი [ჯ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 41-ჯერ.

- ❖ **იჯმა [იჯმ]‘ არაბ. عجا** – ისლამური სამართლის ერთ-ერთი წყარო, მუსლიმი რელიგიური პირებისა და სამართლისმცოდნეთა მიერ ლოგიკური დასკვნის საფუძველზე, იმ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა, რომლის შესახებაც არ არის მითითება ყურანსა და სუნაში. რელიგიისა და სამართლისმცოდნეთა კონსენსუსი ისლამური სამართლის საკითხებზე. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შეთანხმება, თანხმობა, კონსენსუსი. მასდარი ზმნის (IV თემა) აჯმა‘ა. ძირი [ჯ/მ/’] 129-ჯერ გვხვდება ყურანში.
- ❖ **იჯმა სარიჰი [იჯმ]‘ სარიჰ არაბ. عجا صريح** – მუსლიმ სამართლისმცოდნეთა მიერ ლოგიკური დასკვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება-კონსენსუსის ის კატეგორია, რომელიც მხარდაჭერილია უმრავლესობის მიერ და ცხადად არის გადმოცემული. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ცხადი კონსენსუსი.



- ❖ **იჯმა სუქუთი [იჯმ' სუქუთი არაბ. *اجمائي* سكوتي]** – მუსლიმ სამართლისმცოდნეთა მიერ ლოგიკური დასკვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, კონსენსუსის ის კატეგორია, რომელიც არ ეწინააღმდეგება სხვა პოზიციის წარმოშობას მოცემულ საკითხზე. ეს არის კონსენსუსი საკითხზე, რომელიც მხარდაჭერილია გარკვეული ნაწილის მიერ, ხოლო მეორე ნაწილი ინარჩუნებს დუმილს, არც მხარს უჭერს და არც უარყოფს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მდუმარე, ჩუმი კონსენსუსი.
- ❖ **იჰრამი [იჰრამ არაბ. *حرام*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს რიტუალურად წმინდა მდგომარეობაში ყოფნას, რომელიც სავალდებულოა პილიგრიმისთვის მექაში ჰაჯის შესასრულებლად. იჰრამის მდგომარეობაში მუსლიმს: აცვია სპეციალური სამოსი (*იჰრამი*); ეკრძალება ისეთი ქმედებები როგორცაა, მაგალითად, სქესობრივი ურთიერთობა, თმის შეჭრა, სამკაულის ტარება, სუნამოს მოხმარება და ა.შ. ასევე დაწყებამდე ასრულებს განწმენდის რიტუალს. სიტყვასიტყვით ნიშნავს რიტუალურად წმინდა მდგომარეობას. მასდარი ზმნის (IV თემა) აჰრამა. ძირი [ჰ/რ/მ] ყურანში გვხვდება 83-ჯერ.
- ❖ **იჰსანი [იჰსან არაბ. *احسان*]** – ზნეობრივი სათნოების კონცეფცია ისლამში, რომლის მიხედვი-

თაც ის, ვინც ასრულებს სრულად ალაჰის მითითებებს, აღწევს ზნეობრივი სათნოების (იჰსან) დონეს. იჰსანის მიხედვით, ჭეშმარიტი მუსლიმის პასუხისმგებლობაა, რომ მიაღწიოს სრულყოფილებას ღმერთის თაყვანისცემის გზაზე, ქცევითა და ქმედებით. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შესანიშნავად შესრულებული, გალამაზება, სრულყოფილება. მასდარი ზმნის (IV თემა) აჰსანა. ძირი [ჰ/ს/ნ] 194-ჯერ, ხოლო იჰსან 12-ჯერ.

## 3

- ❖ **კადარია [კადარიჰა არაბ. *كادية*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ნიშნავს ადამიანის თავისუფალი ნების შესახებ პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით მიიჩნევენ, რომ ადამიანები თავისუფალნი არიან ქმედებებში, პასუხისმგებელნი არიან საკუთარ საქციელზე და განისჯებიან ღვთიური სამართლით. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ფატალიზმი, თავისუფალი ნება. არსებითი სახელი. ძირი [კ/დ/რ] ყურანში გვხვდება 132-ჯერ.
- ❖ **კაზფი [კაზფ არაბ. *كاف*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს ცილისწამებას, მრუშობაში დადანაშაულებას, როდესაც ადამიანი მუსლიმ მამაკაცს ან ქალს ბრალს დებს უკანონო სქესობრივ კავშირში, ქალს უკანონო კავშირის შედეგად შვილის გაჩენაში. კაზფი არის ერთ-ერთი დიდი დანაშაული ისლამში. ყურანით მრუშობაში ცილისწამება 80 დარტყმით ისჯება. მასდარი ზმნის (I თემა) *კაზაფა*. სიტყვასიტყვით ცილისწამება, გადაგდება, სროლა. ძირი [კ/ზ/ფ] ყურანში გვხვდება 9-ჯერ.

- ❖ **კათალა** [კათალა არაბ. *قتل*] – ისლამური კონცეფცია მკვლელობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მკვლელობა დაშვებულია: სამართლიანობის აღდგენისთვის, ქვეყანაზე უკეთურების წინააღმდეგ. ხოლო სხვა შემთხვევაში ერთი ადამიანის მოკვლა მორალური თვალსაზრისით ადამიანთა მთელი რასის ამონყვეტის ტოლფასია. ზმნა (I თემა). სიტყვასიტყვით ნიშნავს მოკვლა. ძირი [კ/თ/ლ] ყურანში გვხვდება 170-ჯერ, აქედან ზმნის ფორმით გამოყენებულია ყურანში 83 -ჯერ, მასდარი „კათალ“ ნახსენებია 10-ჯერ.
  
- ❖ **კარი** [კარი' არაბ. *قارى*] – ისლამში აღნიშნავს მათ, ვინც იციან ყურანი ზეპირად. ის ვინც კითხულობს ყურანს რეჩიტაციის დადგენილი წესებით და მელოდიური ხმით. ისლამის საწყის პერიოდში *კურრან'თა* (მრ.რიცხვი) ფენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყურანის ფიქსაციაში, არაბული ენის გრამატიკული ნორმების განვითარებაში. სიტყვასიტყვით *კარი'* ნიშნავს მკითხველს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) *კარა'ა*. ძირი [კ/რ/'] ყურანში გვხვდება 88-ჯერ.
  
- ❖ **კასამა** [კასამა არაბ. *كاسما*] – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) დაფიცებას, რო-

მელსაც ბრალმდებელი ან ეჭვმიტანილი ბრალდების უარყოფის ან თანხმობის დასამტკიცებლად მიმართავს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: კოლექტიური ფიცი, ღმერთის დაფიცება. არსებითი სახელი. ძირი [კ/ს/მ] ყურანში გვხვდება 33-ჯერ.

- ❖ **კასიდა [კასიდა არაბ. *كاسيدة*]** – არაბული პოეზიის უძველესი ფორმა, რომელიც შეიქმნა ისლამამდელ პერიოდში. მცირე ზომის პოემა, რომელიც შედგება 60-100 ან მეტი სტრიქონისგან, აქვს ერთიანი რითმა. კასიდის ნაწილები დაკავშირებული არ არის ერთმანეთთან სიუჟეტურად ან სტილისტურად, მაგრამ ლოგიკურად დასრულებულია. კასიდა იწყება პრელუდიით-ნასიბ. შინაარსობრივად არის სახოტბო, ელეგიური, სატირული. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ლექსი, პოემა. ძირი [კ/ს/დ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.

- ❖ **კასრი [კასრ არაბ. *كاسر*]** – ისლამში აღნიშნავს ლოცვის დროს რაქათების რაოდენობის შემოკლებას 4-დან 2-მდე. ამ შესაძლებლობით სარგებლობა მორწმუნეებს შეუძლიათ მოგზაურობის დროს. ასევე გვხვდება როგორც *كاسر* *كاسر* – მოკლე ლოცვა. ყურანში (სურა ან-ნისა', აია 101) გვხვდება მითითება ლოცვის შემოკლების დასაშვებობის შესახებ, მაგრამ მუსლიმ რელიგიურ სამართლისმცოდნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მოგზაურობის ვადის და დისტანციის შესახებ,

რომლის დროსაც შემოკლება დაშვებულია. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შემოკლება, დაპატარავება. მასდარი ზმნის (I ფორმა) *კაჰარა*. ძირი [კ/ს/რ] ყურანში გვხვდება 11-ჯერ.

- ❖ **კასსა [კასსა არაბ. *قص*] –** თხრობა. ისლამურ ლიტერატურაში აღნიშნავს ადრეულ პერიოდთან, განსაკუთრებით მოციქულებთან დაკავშირებული ამბების თხრობას. ხოლო **კასსანს (*قصص*)** არის მოთხრობები მოციქულების შესახებ. **კუსსადს (*قصص*)** არიან მთხრობელები. ძირი [კ/ს/ს] ყურანში გვხვდება 30-ჯერ, აქედან 20-ჯერ *კასსა*.
- ❖ **კიამი [კიამ არაბ. *قيام*]-** ისლამურ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღნიშნავს ლოცვის დროს ფეხზე დგომის პოზიციას (რაქათის შემადგენელია). ამ დროს მუსლიმი დგას ფეხზე: 1. ხელები განცალკევებით აღპყრობილი აქვს მხრებამდე ან ყურების მაღლა 2. მარჯვენა ხელი მარცხენა ხელზე დადებული, მამაკაცის შემთხვევაში მკერდს ქვემოთ, ქალის შემთხვევაში მკერდს ზემოთ. ფეხზე დგომის დროს იკითხება სურა *ალ-ფათიჰა*. ასევე ლოცვა მიცვალებულზე სრულდება ფეხზე დგომით. სიტყვასიტყვით ნიშნავს ადგომას, ფეხზე დგომას. მასდარი ზმნის (I თემა) *კამა*. ძირი [კ/ვ/მ] ყურანში გვხვდება 660-ჯერ.

- ❖ **კიასი [კიჰას არაბ. *قياس*]** – ანალოგია, შეპირის-პირება, შედარება. ისლამური სამართლის მეოთხე წყარო (ყურანი, სუნა, იჯმა), რომელიც სამართლებრივი საკითხის განხილვის დროს ეყრდნობა ყურანს, ჰადისებს და მათში არსებულ მითითებათა ანალოგის საფუძველზე მიღება გადანყვეტილება. ისლამური სამართლის ამ წყაროს იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხზე არ არსებობს პირდაპირი მითითება, მაგრამ შესაძლებელია ანალოგის დაძებნა ყურანსა და სუნაში. მასდარი ზმნის (III თემა) კჰასა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გაზომვა, შედარება, ანალოგია, ზომა. ძირი [კ/ა/ს].
- ❖ **კიბლა [კიბლა არაბ. *كِبْلَة*]** – მიმართულება, ნმინდა სალოცავის – ქააბასაკენ (მექა, საუდის არაბეთი), რომელსაც მუსლიმი ლოცვისას (დღეში ხუთჯერ, პარასკევის ლოცვა და ა.შ), გარდაცვლილის დაკრძალვისას ირჩევს. კიბლა განსაზღვრულია მიჰრაბით მეჩეთში, ხოლო შენობებში ნიშით. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით მიმართულება, საერთო მიმართულება. ძირი [კ/ბ/ლ] ყურანში გვხვდება 294-ჯერ, აქედან 7-ჯერ კიბლა.
- ❖ **კითაღი [კითაღ არაბ. *كِتَاب*]** – ყურანის მიხედვით კითაღ არის კონცეფცია ბრძოლის, რომელიც ხანდახან აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ აგრესიის და უსამართლობის წინააღმდეგ. ხოლო თვი-

თონ აგრესია აკრძალულია. ბრძოლა წყდება მაშინ, როდესაც აგრესია სრულდება და აგრესორს მშვიდობა სურს. სიტყვასიტყვით ნიშნავს ბრძოლას. მასდარი ზმნის (III თემა) კნთალა. ძირი [კ/თ/ლ] ყურანში გვხვდება 170-ჯერ, აქედან კითხლ ბრძოლის მნიშვნელობით ყურანში გამოყენებულია 13-ჯერ.

❖ **კირაა [კირა'ა არაბ. *أقرأ*]** – ყურანის კითხვის სხვადასხვა ენობრივი, ლექსიკური, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური გზა, რომელიც ნებადართულია ყურანის რეჩიტაციით კითხვის დროს. დღეს ისლამურ სამყაროში არსებობს რეჩიტაციით კითხვის 10 გზა, რომლებიც ატარებენ შემქმნელების სახელებს. რეჩიტაციით კითხვის ეს 10 წესი ძირითადად ჩამოყალიბდა ისლამის მეორე-მესამე საუკუნეში. ერთმანეთისგან განსხვავდება პაუზით, ხმოვნებით, ასოებით და სიტყვებითაც კი. სიტყვასიტყვით ნიშნავს წაკითხვას. მასდარი ზმნის (I თემა) კარა'ა. ძირი [კ/რ/'] ყურანში გვხვდება 88-ჯერ.

❖ **კისასი [კისას არაბ. *قصص*]** – შურისძიება. ისლამური სამართლით განზრახ მკვლელობის, სხეულის დასახიჩრების სასჯელი განისაზღვრება პრინციპით – „თვალი თვალის წილ“, რომლის დროსაც მკვლელი სიკვდილით ისჯება, ხოლო



სხეულის დაჭრის/დასახიჩრების შემთხვევაში დამნაშავეს ანალოგიური დაზიანება მიეყენება. მასდარი ზმნის (I თემა) კანსა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: შურისძიება, ანგარიშის გასწორება. ძირი [კ/ს/ს] ყურანში გვხვდება 30-ჯერ, აქედან კიჰანს 4-ჯერ.

❖ **კუბათ ას-სახრა [კუბუათ ას-სახრა არაბ. قبة**

**الصخرة]** – კლდის გუმბათი, მდებარეობს იერუსალიმში. VII საუკუნის ბოლო წლებში (691-692) ააშენა უმაიანმა ხალიფა 'აბდ ალ-მალიქ იბნ მარვანმა. კლდე, სადაც ის აშენდა მნიშვნელოვანი ადგილია მუსლიმებისთვის (ასევე ებრაელებისთვის აქ მოამზადა აბრაამმა ისაკი მსხვერპლშენირვისთვის), რადგან მიიჩნევა, რომ სწორედ ამ ადგილიდან ამალლდა (მი'რანჯ) ზეცად მოციქული მუჰამადი. ეს არ არის მეჩეთი, არამედ მუსლიმთა პირველი საზოგადო თაყვანისცემის ადგილია. XVI საუკუნეში სულეიმან I-მა განაახლა შიდა ტერიტორია. ხოლო XX საუკუნეში განაახლდა ორნამენტები და ახლიდან შეიღება ოქროსფრად გუმბათი.

❖ **კურაიში [კურაიში არაბ. قريش]** – კურაიშის

ტომი, ჰიჯაზის მცხოვრებლები, რომლებიც V საუკუნეში დასახლდნენ მექაში, ქაბას ტაძრის გარშემო. მექაში გადასვლისას კურაიში ტომი აერთიანებდა 16 გვარს. ერთ-ერთი იყო ჰაშიმის გვარი,

რომელსაც ეკუთვნოდა მოციქული მუჰამადი. ტომის სახელის წარმოშობის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსაზრება: 1. მოდის სიტყვიდან *კირშ*, რაც ნიშნავს ზვიგენს (სავარაუდოდ, ტომისა ტოტემური სახელი). 2. *თაკკარუშ*, რაც ნიშნავს გაერთიანებას, ერთად შეკრებას. ყურანში გვხვდება ერთხელ.

- ❖ **კურბა [კურბა არაბ. *قرب*]** – თეოლოგიურ-სამართლებრივ ლიტერატურაში ტერმინი აღნიშნავს ყველა იმ ქმედებას, რომელიც ადამიანის მიერ განხორციელებულია ღმერთთან დაახლოვების მიზნით. არსებითი სახელი. ძირი [კ/რ/ბ] ყურანში გვხვდება 96-ჯერ, აქედან კურბა ერთხელ.
- ❖ **კურბანი [კურბან არაბ. *قربان*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს *ჴუ ლ-ჰიჯას* თვეში მსხვერპლშენირვის რიტუალს, როდესაც მუსლიმი ღმერთს მსხვერპლად სწირავს უნაკლო ცხვარს, თხას, ძროხას ან აქლემს. შესაწირიდან მესამედს ურიგებს გაჭირვებულებს. მსხვერპლშენირვა სრულდება 'იდ აღ-ადჰას დროს, ჰაჯის დასრულებისას. სიტყვასიტყვით: მსხვერპლშენირვა. მასდარი ზმნის (I თემა) კარიბა. ძირი [კ/რ/ბ] ყურანში გვხვდება 96-ჯერ, აქედან კურბან სამჯერ.

- ❖ **კუუდი [კუ'უდ არაბ. *أعوذ*]** – რელიგიურ ლიტერატურაში აღნიშნავს ლოცვის დროს ჯდომას. მასდარი ზმნის (I თემა) კა'ადა. სიტყვასიტყვით ნიშნავს დაჯდომას. ძირი [კ/'/დ] ყურანში გვხვდება 31-ჯერ, აქედან 4-ჯერ კუ'უდ.

## ს

- ❖ **ლა აიათინ ლიკავმინ იაკილუნ [ლნ 52თინ ლიკავმინ და 'კილუნ არაბ. لايات لقوم يعقلون] –** ღმერთის ნიშნები (აიები) იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც გაიგეს მისი გზავნილი და მოუხმობენ გონებას.
- ❖ **ლა ილაჰა ილა ლაჰი [ლნ ილნჰა ილლნ-ლლნჰ არაბ. لا اله الا الله] –** არ არსებობს ღვთაება გარდა ალაჰისა (ს.ვ.თ), თავჭიდის, ერთღმერთიანობის აღიარების ფორმულა.
- ❖ **ლა ჰავლა ვა ლა კუვა ილა ბი-ლაჰი [ლნ ჰავ-ლა ვა ლნ კუვა ილლნ ბი-ლლაჰ არაბ. لا حول الا الله] –** არ არის არაფერი ალაჰზე (ს.ვ.თ) ძლიერი. ნარმოითქმება, როდესაც მორწმუნე რაიმე სახის ძალას, სიძლიერის გამოვლინებას ხვდება.

❖ **ლაილათ ალ-კადარი [ლაილათ ალ-კადრ არაბ. *ليلة القدر*]** – ძლიერების ღამე, ისლამური დღესასწაული. მიიჩნევა, რომ სწორედ ამ დღეს გარდმოველინა ყურანი მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს). კონკრეტული რიცხვი არის უცნობი. მიიჩნევა, რომ ეს დღე იყო რამადანის ბოლო ათი დღიდან ერთ-ერთი, 610 წელს. ჰადისების მიხედვით, ეს დღე უნდა იყოს კენტი რიცხვი. ტრადიციულად, შიიტები 23 რამადანს, ხოლო სუნიტები 27-ში აღნიშნავენ. ყურანის გარდმოვლენის აღნიშვნის გარდა, მიიჩნევა, რომ ამ დღეს ღმერთი განსაკუთრებით კეთილგანწყობილია მორწმუნეთა სურვილების მიმართ. მუსლიმთა ნაწილი ამ პერიოდს ატარებს მეჩეთში, ასრულებს სავალდებულო და დამატებით ლოცვებს.

## მ

- ❖ **მა სალამათ ლაჰ ვა ბი-ჰიფზიჰი [მა'ა სალამათ ლლაჰ ვა ბი-ჰიფზიჰი არაბ. *مع السلامه* الله وحفظه]** – ალაჰის (ს.ვ.თ) მზრუნველობა და მშვიდობა მას. ამბობენ გარდაცვლილი ადამიანის შესახებ, დაკრძალვის პროცესის მონაწილეები.
- ❖ **მადრასა [მადრასა არაბ. *مدرسة*]** – სკოლა. ენოდება ნებისმიერ სასწავლო რელიგიურ/სეკულარულ დანესებულებას, სადაც მიმდინარეობს განათლების მიღების პროცესი. ისლამის საწყის პერიოდში იყო რელიგიური სწავლების ადგილი. ადგილის სახელი ზმნიდან (I თემა) დარასა. სიტყვა-სიტყვით ადგილი სწავლებისათვის. ძირი [დ/რ/ს] ყურანში გვხვდება 6-ჯერ.
- ❖ **მავლიდ ან-ნაბავი [მავლიდ ან-ნაბავი არაბ. *مولد النبي*]** – მოციქულის დაბადების დღე. მოციქულის დაბადების თარიღად მიიჩნევა 570 წლის 12 რიცხვი რაბი' ალ-ავეალ (მუსლიმური მთვარის კალენდრის მესამე თვე).

- ❖ **მაზმუმა [მაზმუმა არაბ. *مازومة*]** – ისლამურ სამართალში ბიდჰ'-ს (ისლამში ნებისმიერი სიახლე, რასაც არ აქვს კავშირი მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) პერიოდთან) ქვეკატეგორია. **მაზმუმა** არის სიახლეები, რომელიც არის ცუდი, საძრახი, გასაკიცხი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნისა (I თემა) ზამმა. სიტყვასიტყვით გასაკიცხი, ცუდი. ძირი [ზ/მ/მ].
  
- ❖ **მაზჰაბი/მაზაჰიბი [მაზჰაბ/მრ. მაზჰაჰიბ არაბ. *مذاهب / مذاهب*]** – დოქტრინა, დოგმა, მოსაზრება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. ისლამურ სამართალში კი ეს ტერმინი აღნიშნავს რელიგიურ-იურიდიულ სკოლას. VIII-IX საუკუნეებში სამართალმცოდნეებს შორის სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე განსხვავებული პოზიციის შედეგად ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლები. სუნიტურ ორთოდოქსულ ისლამში არის ასეთი ოთხი სკოლა: ჰანბალიტების, შაფიიტების, ჰანაფიტების და მალიქიტებისა. შიიზმში – ჯაფარიტების. მასდარი ზმნის (I თემა) ზაჰაბა. სიტყვასიტყვით ნიშნავს გზა, მიმართულებას, მოწონებას, ქცევას, ან ქმედების მანერას. ძირი [ზ/ჰ/ბ].
  
- ❖ **მათნი [მათნი არაბ. *متن*]** – მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) შესახებ გადმოცემების – ჰადისების ძი-

რითადი შემადგენელი ნაწილი, ტექსტი. მათში მოცემულია თვითონ ფაქტი მოციქულის გამო-ნათქვამების, ქცევის შესახებ. ჰადისის ტექსტი, შიგთავსი, შემადგენლობა. სიტყვასიტყვით ტექსტი. ძირი [მ/თ/ნ] 3-ჯერ გვხვდება ყურანში.

❖ **მაკასიდ ამა [მაკასიდ ‘აჰმა არაბ. *أما* *أما*]**

– შარიათის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ისლამურ სამართალში აღნიშნავს შარიათის მთავარ მიზნებს და ამოცანებს, რომელიც ზიანის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. მოიცავს ყველა სფეროს და საკითხს.

❖ **მაკასიდ ასლია [მაკასიდ ალ-ასლიჰია არაბ. *أصلها* *أصلها*]**

– ისლამურ სამართალში აღნიშნავს შარიათის მიზნებისა და ამოცანების ძირითად კატეგორიას.

❖ **მაკასიდ აშ-შარია [მაკასიდ აშ-შარჰ‘ა არაბ. *أصلها* *أصلها*]**

– შარიათის მიზნები და ამოცანები. ისლამურ სამართალში ტერმინი გამოიყენება ღმერთის კანონის (შარიათის) მიზნებისა და ამოცანების აღმნიშვნელად. ისლამური სამართლის პრინციპების მიხედვით, შარიათი მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც განხორციელებულ იქნება მაშინ, როდესაც ღვთის კანონი ზუსტად იქნება შესრულებული. სიტყვასიტყვით



ნიშნავს: კანონის მიზნები და ამოცანები. *მაკსიდ* მრავლობითია *მაკჰად-ის* და ნიშნავს მიზანს, ამოცანას.

❖ **მაკასიდ ზანია [მაკსიდ ზანიდა არაბ. *مقاصد***

*اظنية*] – შარიათის საექვო/სპეკულაციური მიზნები. ისლამურ სამართალში აღნიშნავს შარიათის იმ მიზნებს, რომელიც არ მტკიცდება და აზრთა სხვადასხვაობაა მასთან დაკავშირებით. მაგალითად, საკამათო საკითხია აკრძალვა ალკოჰოლის მცირე ოდენობის მიღების თაობაზე, რადგან მცირე დოზა არ იწვევს თრობას. შესაბამისად, აკრძალვა, რომელიც მიღებულია თრობის გამო, რამდენად რელევანტურია ამ შემთხვევაში შესაძლებელია კამათის საკითხი იყოს.

❖ **მაკასიდ თაბიია [მაკსიდ თაბ'იდა**

*არაბ. مقاصد تعبئة*] – ისლამურ სამართალში აღნიშნავს შარიათის მიზნებისა და ამოცანების დამხმარე კატეგორიას.

❖ **მაკასიდ კატია [მაკსიდ კატ'იდა არაბ. *مقاصد***

*اقتطية*] – შარიათის განსაზღვრული მიზნები და ამოცანები. აღნიშნავს შარიათის იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ცხადად არის მხარდაჭერილი ყურანითა და სუნათი. მაგალითად, ადამიანის ღირსებისა და საკუთრების უფლების დაცვა.

- ❖ **მაკასიდ ხასა [მაკასიდ ხასსა არაბ. مقاصد خاصة]** – შარიათის კერძო მიზნები და ამოცანები. ისლამურ სამართალში შარიათის მიზნებისა და ამოცანების იმ ჯგუფს, რომელიც კონკრეტულ საკითხს, სფეროს მიემართება, ეწოდება *მაკასიდ ხასსა*. მაგალითად, საოჯახო საქმეები, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, მოწმის დაკითხვა და ა.შ.
- ❖ **მაკსურა [მაკსურა არაბ. مقصود]** - საკრებულო მეჩეთის სალოცავ დარბაზში არსებული შემოღობილი, დახურული ადგილი, რომელიც განკუთვნილი იყო მმართველთათვის, რომლებიც ესწრებოდნენ ლოცვას. გადმოცემით, პირველად მაკსურა ააშენა ხალიფა ‘უსმანმა, ხელისუფლის დაცვის მიზნით, რომ ლოცვის დროს მასზე არ მომხდარიყო თავდასხმა. უსმანისეული მაკსურა იყო აგურისგან აშენებული და ჰქონდა ფანჯრები. შემდგომ უკვე არსებობდა მეტალის, ან ხისგან დამზადებული და გადასატანი მაკსურებიც. დღეს თანამედროვე მეჩეთებში მაკსურა აღარ არსებობს. სიტყვასიტყვით ნიშნავს დახურულ ადგილს, დაცულ ადგილს, შემოღობილ ადგილს. ადგილის სახელი. ძირი [კ/ს/რ].

❖ **მალაიქა [მალან'იქა არაბ. *ملائكة*] – ანგელოზები.**

ისლამის მიხედვით მუსლიმის ერთ-ერთი ვალდებულება ღმერთის ანგელოზების აღიარებაა. ალაჰმა შექმნა ანგელოზები ადამიანებამდე, დაავალა მისი მითითებების შესრულება და ადამიანებთან ურთიერთობა. ანგელოზები სინათლისგან არიან შექმნილნი, შეუმჩნეველნი, მაგრამ შეუძლიათ მიიღონ ადამიანის სახე და ასე წარსდგნენ ადამიანის წინაშე (მაგალითად ჯაბრაილი). ისინი იცავენ ადამიანებს და იწერენ მათ ქმედებებს. ანგელოზები ურიცხვი რაოდენობის არიან და იყოფიან: ალაჰთან დაახლოებული ანგელოზები – ჯაბრაილი, მიქაილი, ისრაფილი და იზრაილი; სამოთხის და ჯოჯოხეთის მცველი ანგელოზები; დაცემული ანგელოზი იბლისი. მსხვრეული მრავლობითი სიტყვისა *მალან'იქა*. ძირი [მ/ლ/ქ] ყურანში გვხვდება 206-ჯერ, ხოლო აქედან 68-ჯერ.

❖ **მალიქიტები / ალ-მაზჰაბ ალ-მალიქი [ალ-მაზჰაბ ალ-მალიქი არაბ. *المذهب المالكي*] – მალიქიტური მაზჰაბი, ოთხი სუნიტური რელიგიურ-იურიდიული სკოლიდან ერთ-ერთი—დაარსდა *მალიქ იბნ ანასის (713-795)* მიერ მედინაში. მალიქიტებისათვის სამართლის მთავარი წყაროა ყურანი, სუნა. ასევე ისინი ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე ხელმძღვანელობენ იმ ჰადისებით, რომელიც გადმოცემულია მედინელი მიმდევრების მი-**

ერ. დასაშვებად, მაგრამ შეზღუდულად სარგებლობენ ლოგიკური მსჯელობის შედეგად უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (იჯმა) და ანალოგიის (კიას) საფუძველზე სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების მეთოდებით. ანალოგიის მეთოდის დროს იყენებენ ისთისლაჰის (გაუმჯობესება) პრინციპს, რაც ნიშნავს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის. მაგრამ ის წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს რწმენასთან, შარიათთან. მაზჰაბი გავრცელებულია მალრიბის ქვეყნებში, ქუვეითში, კატარსა და ბაჰრეინში.

- ❖ **მარუფი [მა'რუფ არაბ. معروف]** – ისლამურ სამართალში ნიშნავს ნებისმიერ შარიათით ნებადართულ ქმედებას, რომელიც არის სასიკეთო ინდივიდისთვის, საზოგადოებისთვის, კაცობრიობისათვის. ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ალაჰის კმაყოფილებას. სიტყვასიტყვით მა'რუფ ნიშნავს: სწორი, კეთილი საქმე, სიკეთე, ცნობილი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნის (I თემა) 'არაჰა. ძირი [/'რ/ჟ] ყურანში გვხვდება 70-ჯერ, აქედან მა'რუფ 35-ჯერ.

- ❖ **მასადირ ათ-თაშრი [მასადირ ათ-თაშრი' არაბ. مصادر التشريع]** – ისლამური სამართლის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა შარიათი. ასეთია

ოთხი: ყურანი, სუნა, ანალოგია და ავტორიტეტულ კანონმცოდნეთა კონსენსუსი.

- ❖ **მასალიჰ დარურია [მასნლიჰ დარურიაჰ არაბ. *أحكام ضرورية*]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს საზოგადოების ინტერესების იმ კატეგორიას, რომელიც უმნიშვნელოვანესია თავისი არსით საზოგადოებისთვის და რომლის დაცვა განსაზღვრულია, უზრუნველყოფილია ყურანსა და სუნაზე დაყრდნობილი კანონებით. სიტყვასიტყვით ნიშნავს უმთავრეს ინტერესებს, სარგებელს.
- ❖ **მასალიჰ თაჰსინია [მასნლიჰ თაჰსინიაჰ არაბ. *أحكام تأسسية*]** – ისლამურ სამართალში საზოგადოების ინტერესების ის კატეგორია, რომლის დაცვა, განხორციელება უზრუნველყოფილია ყურანსა და სუნაზე დაყრდნობილი კანონებით. ხოლო მისი რეალიზება, ხელს შეუწყობს მუსლიმური საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიეკუთვნება სასურველ კატეგორიას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გამაუმჯობესებელი ინტერესები.
- ❖ **მასალიჰ მუთაბარა [მასნლიჰ მუთაბარაჰ არაბ. *أحكام متبررة*]** – ისლამურ სამართალში საზოგადოებრივი ინტერესების ის კატეგორია, რომ-

ლის დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ სამართლებრივი გადაწყვეტილებები მოცემულია თვითონ ყურანსა და სუნაში. სიტყვასიტყვით ნიშნავს აღიარებულ ინტერესებს, სარგებელს.

❖ **მასალიჰ მულლა [მასალიჰ მულლანთ არაბ.**

**مصالح ملأة**] – ისლამურ სამართალში საზოგადოებრივი ინტერესების ის კატეგორია, რომელიც არ არის აღიარებული შარიათით და ანუღირებულია ყურანითა და სუნათი. სიტყვასიტყვით ანუღირებული ინტერესები.

❖ **მასალიჰ მურსალა [მასალიჰ მურსალა არაბ.**

**مصالح مرسله**] – ისლამური სამართალში აღნიშნავს საზოგადოებრივი ინტერესი-სარგებლის ერთ-ერთი კატეგორიას, რომელიც არც აღიარებული და არც უარყოფილია შარიათით; არ ეწინააღმდეგება ყურანსა და სუნას. ქმედებები, გადაწყვეტილებები, რომელსაც მოაქვს სარგებელი და იცავს ზიანისაგან მთელ (და არა გარკვეული ჯგუფს) საზოგადოებას, რომელიც ვალიდურად იქნა მიჩნეული წმინდა წიგნის გარდმოვლენის შემდგომ. სიტყვასიტყვით არდანერილი საზოგადოებრივი ინტერესები.

- ❖ **მასალიჰ ჰაჯია [მასალიჰ ჰაჯიჰა არაბ. *حجيا*** – ისლამურ სამართალში საზოგადოების ინტერესების ის კატეგორია, რომლის დაცვა, განხორციელება უზრუნვეყოფილია ყურანსა და სუნაზე დაყრდნობილი კანონებით და რომელიც თავისი არსით არის საჭირო მუსლიმური თემისათვის. სიტყვასიტყვით საჭირო ინტერესები.
- ❖ **მასალიჰი [მასალიჰ არაბ. *حجيا*** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს საზოგადოებრივ ინტერესებს, სარგებელს. ის წარმოადგენს ე.წ. ბაზისს, რომლის მიხედვითაც მიიღება საზოგადოებრივ ინტერესზე ორიენტირებული სამართლებრივი გადაწყვეტილება: 1. მიღებულია სამართალმცოდნეთა მიერ მუსლიმური საზოგადოებისათვის სარგებლის ხელშეწყობის და ზიანის პრევენციის მიზნით; 2. არ ეწინააღმდეგება შარიათს. სიტყვასიტყვით ნიშნავს სარგებელს, ინტერესს. *მასალიჰ* მსხვერუელი მრავლობითის ფორმა *მასლაჰა-სი*, *მასლაჰა* მასდარი ზმნის (I თემა) *სალაჰა*. ძირი [ს/ლ/ჰ] ყურანში გვხვდება 180-ჯერ.
- ❖ **მასანი [მასანი არაბ. *مئاني*** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანის იმ აიებს, რომელიც ხშირად მეორდება ყურანის მთელ ტექსტში, კონკრეტულად პირველი სურის *ალ-ფათიჰას* აიებს.

რელატიური ზედსართავი. ძირი[ს/ნ/ღ] ყურანში გვხვდება 29-ჯერ.

- ❖ **მაქრუჰი [მაქრუჰ არაბ.مَكْرُوه]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს არარეკომენდებულ ქმედებებს, რომელთა შესრულებაც არ არის რეკომენდებული, არ არის დასჯადი და მიიჩნევა უღირსად. სიტყვასიტყვით ნიშნავს: უღამაზო, საძულველი, საზიზლარი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნიდან (I თემა) ქარიჰა. ძირი [ქ/რ/ჰ] ყურანში გვხვდება 41-ჯერ, აქედან მაქრუჰ ერთხელ.
- ❖ **მაშჰური [მაშჰურ არაბ.مَشْهُور]** – ჰადისთმცოდნეობაში ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც დამკვიდრებულია ჰანაფიტების მიერ, აღნიშნავს ჰადისს, რომელიც გადმოცემულია სამი ან მეტი გადმომცემის მიერ. გადმოცემთა ჯაჭვის (ისნად) კლასიფიკაციის მიხედვით ის არ არის მუთავათირის (ექვგარეშედ ნამდვილი) და არც აჰადის (სუსტი გადმოცემული ერთი ან ორი გადმომცემის მიერ) კატეგორიის. სიტყვასიტყვით ნიშნავს ცნობილს. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნისა (I თემა) შაჰარა. ძირი [შ/ჰ/რ] ყურანში გვხვდება 21-ჯერ.
- ❖ **მაჰმუდა [მაჰმუდა არაბ.مَأْمُودَة]** – ისლამურ სამართალში არის ბიდა'-ს (ისლამში ნებისმიერი სი-ახლე, რასაც არ აქვს კავშირი მოციქულ მუჰამა-



დის (ს.ა.ა.ს) პერიოდთან) ქვეკატეგორია. *მაჰმუდა* – სიახლე, რომელიც არის მოსაწონი და შესაქები, ქების ღირსი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნისა (I თემა) *ჰამადა*. ძირი [ჰ/მ/დ] ყურანში გვხვდება 63-ჯერ.

❖ *მაჰრი [მაჰრ არაბ. مهر]* – ქმრის მიერ ცოლისთვის გადაცემული საქორწინო საჩუქარი. ის შეიძლება იყოს ფული ან მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი. ღირებულება ყურანით არ არის განსაზღვრული. მაჰრი არის აუცილებელი კომპონენტი ქორწინების ლეგიტიმურობისათვის. შესაძლებელია ქმარმა გადაიხადოს ერთიანად, ეტაპობრივად ან განქორწინების შემდეგ. ხოლო ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თუ მას არ აქვს გადახდილი მაჰრი, მისი მემკვიდრეობიდან გამოიყოფა. სიტყვასიტყვით შეიძენა ფულით. მასდარი ზმნის (I თემა) *მაჰარა*. ძირი [მ/ჰ/რ].

❖ *მაჰშარი [მაჰშარ არაბ. محشر]* – ისლამში აღნიშნავს ადგილს, სადაც მკვდრებით აღდგომის შემდეგ ადამიანები შეიკრიბებიან. ხოლო *ალ-ჰაშრ* (არაბ. المحشر) ისლამურ თეოლოგიაში აღნიშნავს მთელი კაცობრიობის ერთად შეკრებას განკითხვის დღეს, განაჩენის მისაღებად. სიტყვასიტყვით შეკრების ადგილი. ადგილის სახელი. ძირი [ჰ/შ/რ] ყურანში გვხვდება 43-ჯერ.

- ❖ **მეჩეთი/მასჯიდი [მასჯიდ არაბ. مسجد]** - მეჩეთი, მუსლიმთა საკულტო ნაგებობა. პირველი მეჩეთი აშენდა მოციქულ მუჰამადის მედინაში გადასვლიდან მალევე, კუბა'-ს დასახლებაში, ხოლო 623 წელს – მისი სახლის ეზოში. თავდაპირველად მეჩეთის არქიტექტურული სტილი მარტივი იყო, იკრძალებოდა ცოცხალი არსებების გამოსახვა. შემდგომში მეჩეთის არქიტექტურა განვითარდა, დღეს მეჩეთს უნდა ჰქონდეს მიჰრაბი, მინბარი და მინარეთი. არსებობს ორი სახის მეჩეთი; მცირე ზომის და დიდი ზომის ანუ მასჯიდ ჯამი', საკრებულო მეჩეთი, რომელიც გათვლილია პარასკევის ლოცვის შესასრულებლა და ესწრება მუსლიმთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ადგილის სახელი ზმნიდან (I თემა) საჯადა და ნიშნავს ადგილს ღმერთის თაყვანისცემისთვის. ძირი [ს/ჯ/დ] ყურანში გვხვდება 92-ჯერ, აქედან მასჯიდ 28-ჯერ.
- ❖ **მინარეთი [მანრა არაბ. منارة]** – კოშკი, საიდანაც მუეძინი დღეში ხუთჯერ მორწმუნეებს მოუწოდებს ლოცვისკენ. მინარეთი მეჩეთთან არსებული ან ცალკე მდგომია, რომელსაც აქვს ერთი ან ორი აივანი. ადგილის სახელი ზმნიდან (I თემა) ნარა. ძირი [ნ/ვ/რ] ყურანში გვხვდება 194-ჯერ.

- ❖ **მინბარი** [*მინბარ არაბ. منبار*] – ამაღლებული კათედრა მეჩეთში მქადაგებლისთვის. ის არის სავალდებულო საკრებულო მეჩეთისათვის, რომელსაც აქვს გუმბათი, რამდენიმე საფეხური და შესასვლელი კარი. ეს არის ადგილი, საიდანაც იმამი ხელმძღვანელობს ღვთისმსახურების რიტუალებს. ხატიბი პარასკევის ლოცვის დროს მინბარიდან კითხულობს ხუტბას. აქედანვე ხდებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის. მდებარეობს მეჩეთში მიჰრაბის (მექისადმი მიმართულება – კიბლა) მარჯვნივ. პირველი მინბარი დაკავშირებულია მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მოღვაწეობის მედინურ პერიოდთან, რომელიც იყო ამაღლებული, დასაჯდომი ადგილი ორი საფეხურით, სამეფო ტახტის მსგავსი. ივარაუდება, რომ აშენდა 629 წელს. ხოლო შემდეგ უკვე VIII საუკუნეში გაჩნდა პირველი მინბარი ფეხზე მდგომი მქადაგებლისთვის. ადგილის სახელი ნაწარმოებია ზმნიდან (I თემა) **ნაბარა**. ძირი [ნ/ბ/რ].
- ❖ **მიჰრაბი** [*მიჰრანბ არაბ. محراب*] – სპეციალური ადგილი, ნიშა მეჩეთში, რომელიც მიუთითებს მექისაკენ მიმართულებას. ყურანში იხმარება საკურთხევლის მნიშვნელობით. ის გაჩნდა უმაიანთა პერიოდში. მისი მნიშვნელობის ზრდას მოჰყვა სტილის განვითარებაც, მოპირკეთებულია ძვირფასი ქვებით. მის წინ დგას იმამი. ხოლო თვითონ მიჰრაბი მდებარეობს მეჩეთის კარების მოპირდა-

პირედ. ადგილის სახელი ზმნიდან (I თემა) ჰარაბა, ნიშნავს ადგილს ბრძოლისათვის (სატანის წინააღმდეგ). ძირი [ჰ/რ/ბ] ყურანში გვხვდება 11-ჯერ, ხოლო აქედან 4 არის მიჰრანბ.

❖ **მუამალათი [მუ'შმალათ არაბ. *امالات*]** – ისლამურ სამართალში (ფიკჰი) არის კანონთა ის კატეგორია, რომელიც არეგულირებს ორმხრივ ურთიერთობებს ადამიანებს შორის. ასეთია ქორწინება, განქორწინება, მეურვეობა, მემკვიდრეობა. ასევე ნიშნავს შარიათით რეგულირებული კომერციულ სამოქალაქო აქტებსა და გარიგებებს. *მუ'შმალათში* ერთიანდება ყველანაირი სოციალური ურთიერთობის ფორმა ადამიანებს შორის, როგორც კომერციული ასევე სხვა. სიტყვასიტყვით ნიშნავს გარიგებებს, ტრანზაქციებს. არის მრავლობითი ფორმა სიტყვისა *მუ'შმალა*. მასდარი ზმნის (III თემა) *'შმალა*. ძირი [/'მ/ლ] 360-ჯერ გვხვდება ყურანში.

❖ **მუბაჰი [მუბაჰჰ არაბ. *حبا*]** – ისლამური სამართლის მიხედვით მუსლიმის ქმედებები იყოფა 5 სამართლებრივ კატეგორიად, რომლიდანაც ერთ-ერთი არის კანონიერი, ნებადართული (*მუბაჰჰ*), რომელიც არ არის არც სავალდებულო, რეკომენდებული, დასაგმობი ან აკრძალული და წარმოადგენს ნეიტრალურ, არაარსებით ქმედებებს. ამ კა-

ტეგორიაში ერთიანდება ყოველდღიური, უმნიშვნელო ქმედებები. სიტყვასიტყვით კანონიერი, ნებადართული, დასაშვები. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნისა (IV თემა) აბაჰა. ძირი [ბ/ვ/ჰ].

- ❖ **მუეძინი/მუაზინი [მუ'აზზინ არაბ. *مؤذن*] -** „მომწოდებელი“, რომელიც მუსლიმებს პარასკევის და ხუთჯერადი ყოველდღიური ლოცვისაკენ მოუწოდებს. ის არ არის კულტის მსახური, მაგრამ მეჩეთის თანამშრომელია. უნდა იყოს გამორჩეული ხმის ტემბრის მქონე. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (III თემა) აზზანა. ძირი [/'ზ/ნ] ყურანში გვხვდება 102-ჯერ, აქედან მუ'აზზინ 2-ჯერ.
- ❖ **მუთა ატ-ტალაკი [მუთ'ა ატ-ტალაკ არაბ. *مُتَا الطَّلَاق*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს გაყრის კომპენსაციას, რომელსაც ქალი ქმრისგან იღებს განქორწინების შემდეგ, მაგრამ ყურანში არ არის განსაზღვრული რაოდენობა. განისაზღვრება ქმრის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით. სიტყვასიტყვით ნიშნავს განქორწინების საჩუქარს.
- ❖ **მუთავათირი [მუთავთირ არაბ. *مُتَوَاتِر*] -** ჰადის-თმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისთა იმ კატეგორიას, რომლის გადმომცემთა ჯაჭვი არის სრული,

შეიძლება იყოს სამი თაობა. ამ კატეგორიის ჰადისების გადმომცემთა ჯაჭვი მოციქულ მუჰამადიდან ბოლო მთხრობელამდე უწყვეტია. გადმომცემთა უწყვეტობა და რაოდენობა კი განსაზღვრავს ჰადისთა უტყუარობას. სიტყვასიტყვით ნიშნავს თანმიმდევრულს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (VI თემა) თავნთარა. ძირი [ვ/თ/რ] ყურანში გვხვდება 3-ჯერ.

❖ **მუთაზილიტები/მუთაზილა** [მუ'თაზილა

**არაბ. *مُتَزَلِّة*] –** მუთაზილიტები, რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლა, ჩამოყალიბდა ერაყში (ბასრა-ბაღდადი) VIII საუკუნეში. ისლამური სპეკულატიური თეოლოგიის (ქალამ) სკოლა, ეყრდნობოდა რაციონალურ მიდგომას. მისი დამაარსებლები არის ვასილ იბნ 'ატა', რომელიც გამოეყო (ი'თაზალა) მასწავლებელს ჰასან ალ-ბაჰარის და დააარსა საკუთარი სკოლა. მუთაზილიტური სკოლის ძირითადი მახასიათებლები: ისინი იყვნენ ქალამის პრინციპის ანუ ყოველგვარი მსჯელობის-მომხრენი რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხებთან მიმართებაში; მათ პირველებმა გამოიყენეს ელინისტური ფილოსოფიის მეთოდები სკოლის დოგმების შექმნისათვის; ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ყურანის ხელთუქმნელობის იდეას; თავისუფალი ნების მხარდამჭერნი. 827-849 წლებში ის იყო აბასიანთა სახელმწიფო რელიგია. სიტყვასიტყვით ნიშნავს განცალკევებული, ცალკე მდგომი. მიმღეობა

(მოქმედებითი გვარი) ზმნის (VIII თემა) ი'თაზალა. ძირი [/'ზ/ლ] ყურანში გვხვდება 10-ჯერ.

❖ **მუთასილა [მუთთასილა არაბ. *مُتَصِلًا*]** -ჰადის-თმცოდნეობაში აღნიშნავს იმ ჰადისებს (*ალ-ჰადის ალ-მუთთასილა*), რომელთა *ისნად* (გადმომცემთა ჯაჭვი) არის სრული, სადაც არცერთი გადმომცემის სახელი არ არის დაკარგული, ბოლო მთხრობლიდან თვითონ მოციქულ მუჰამადამდე (ს.ა.ა.ს) ჯაჭვი უწყვეტია. სიტყვასიტყვით ნიშნავს დაკავშირებულს, ერთიანს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნიდან (VIII თემა) *ითთასალა*. ძირი [ვ/ს/ლ] ყურანში გვხვდება 12-ჯერ.

❖ **მუკალიდები / მუკალიდუნი [მუკალიდუნ არაბ. *مُقَالِدًا*]** – ისლამურ სამართალში ეწოდება ადამიანებს, რომლებიც იღებენ სამართლებრივ გადანყვეტილებებს ყოველგვარი შეკითხვის გარეშე. *თაკლიდის*, ავტორიტეტთა მიერ მიღებულ გადანყვეტილებათა სრული მიმღებლობა, მორჩილების მიმდევრები. *მუკალიდუნ* არის მრავლობითი ფორმა *მუკალიდის*, მიმღეობა (მოქმედებითი გვარის) ზმნის (II თემა) *კალლადა*. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მიმბაძველი, მიმდევარი, მოწაფე. ძირი [კ/ლ/დ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.

- ❖ **მუკინუნი [მუკინუნ არაბ. مؤقنون]** – ყურანში ტერმინი აღნიშნავს მორწმუნეებს, მათ ვინც ჰპოვეს მტკიცე რწმენა. მრავლობითი ფორმა სიტყვის მუკინ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: იყო დარწმუნებული, დაჯერებული. მოქმედებითი გვარის მიმღობა ზმნის (IV თემა) ადკინა. ძირი [დ/კ/ნ.]
- ❖ **მულჰიდი [მულჰიდ არაბ. ملحد]** – ათეისტი, რომელსაც არ სწამს ალაჰის არსებობის. მიმღობა (მოქმედებითი გვარი) ზმნისა (IV თემა) ალჰადა. ძირი [ლ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება ნ-ჯერ.
- ❖ **მუმინი [მუ'მინ არაბ. مؤمن]** – ტერმინი ყურანშივე განმარტებულია როგორც მორწმუნე. ისლამში განასხვავებენ მუსლიმს და მორწმუნეს ერთმანეთისგან, რამდენადაც ყველა მორწმუნე (მუ'მინ) არის მუსლიმი, მაგრამ ყველა მუსლიმი არაა მორწმუნე. მიმღობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (IV თემა) 'ამანნა. ძირი [/'/მ/ნ] ყურანში გვხვდება 879-ჯერ, აქედან 202-ჯერ მუ'მინ.
- ❖ **მუნაფიკუნი [მუნჰიკუნ არაბ. منافقون]** - ფარისევლები, პირმოთნეები. ისლამში აღნიშნავს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც გარეგნულად იქცევიან როგორც მუსლიმები, მაგრამ რეალური ქმედებებით უარყოფენ ისლამს. გვხვდება ყურანშიც, როგორც ისლამის და ისლამური სა-



ზოგადოების საფრთხის მატარებელთა აღმნიშვნელი. არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისა *მუნფიკ*. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (III თემა) *ნაფაკა*. ძირი [ნ/ფ/კ] 111-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან *მუნფიკუნ* 27-ჯერ.

- ❖ **მუნქარი [მუნქარ არაბ. *مخرب*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყველა იმ ქმედებას, რაც მიიჩნევა რელიგიური პოზიციებიდან აკრძალულად. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ბოროტება, ცუდი საქციელი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნის (IV თემა) *ანქარა*. ძირი [ნ/ქ/რ] ყურანში გვხვდება 37-ჯერ, აქედან მუნქარ 17-ჯერ.
- ❖ **მურთადი [მურთადდ არაბ. *متردد*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც უარჰყო ისლამი, განუდგა მას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: განდგომილი, რჯულგანდგომილი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (VIII თემა) *ირთადდა*. ძირი [რ/დ/დ] ყურანში გვხვდება 59-ჯერ.
- ❖ **მურსალი [მურსალ არაბ. *مسرور*]** – ჰადის-თმცოდნეობაში *ალ-ჰადისს ალ-მურსალ* ნიშნავს: 1.ჰადისი, რომელიც გადმოცემულია *თაბი'უნის* (მუჰამადის მიმდევართა შემდგომი თაობა, მიმდევართა მოწაფეები) უფროსი თაობის მიერ, ისე რომ არ იხსენიებს *ასჰაბის* (მიმდევრის) სახელს

და გადმოცემას იწყებს პირდაპირ მოციქულიდან. 2.ჰადისი, რომლის გადმომცემთა ჯაჭვი არასრულია, დაკარგულია ერთი ან მეტი გადმომცემის სახელი. მურსალ სიტყვასიტყვით ნიშნავს: გამოუშვა, გამოსცა; განთავისუფლება. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნიდან (I თემა) არსალა. ძირი [რ/ს/ლ] ყურანში გვხვდება 513-ჯერ, აქედან მურსალ 35-ჯერ.

- ❖ **მუსალა [მუსალლან არაბ. *مصلى*]** - ადგილი, სადაც სრულდება ლოცვა; ასევე დარბაზი მეჩეთში, სადაც სრულდება ლოცვა. სიტყვასიტყვით სალოცავი ადგილი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნის (II თემა) ჭალლა. ძირი [ს/ლ/ვ] ყურანში გვხვდება 99-ჯერ აქედან მუსალლა ერთხელ.
- ❖ **მუსთაფთი [მუსთაფთი არაბ. *مستفتى*]** - ადამიანი, რომელიც ითხოვს ფათვას (საღვთისმეტყველო-სამართლებრივ დასკვნას, რომელსაც გამოსცემს მუფთი). მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (X თემა) ისთაფთან. ძირი [ფ/თ/ღ] ყურანში 21-ჯერ გვხვდება.
- ❖ **მუსთაჰაბი [მუსთაჰაბ არაბ. *مستحب*]** - ისლამური სამართლის მიხედვით მუსლიმის ქმედებები იყოფა 5 სამართლებრივ კატეგორიად, რომლიდანაც

ნაც ერთ-ერთი არის რეკომენდებული ანუ მუსთაჰაბი. აერთიანებს მუსლიმის ისეთ ქმედებებს, რომლებიც არის რეკომენდებული, სასურველი და არ არის აკრძალული ისლამური სამართლით. სიტყვასიტყვით რეკომენდებული, სასურველი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნის (X თემა) ის-თაჰაბბა. ძირი [ჰ/ბ/ბ.] ყურანში გვხვდება 95-ჯერ.

❖ **მუსნადი [მუსნად არაბ. *مسند*] –** ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს კრებულს, რომელშიც ჰადისები დალაგებულია ყველაზე ადრინდელი გადმომცემლების სახელების მიხედვით. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნა (IV თემა) ასნადა. სიტყვასიტყვით ნიშნავს ბურჯი, დასაყრდენი. ძირი [ს/ნ/დ].

❖ **მუსტალაჰ ალ-ჰადის [მუსტალაჰ ალ-ჰადრის არაბ. *المصطلح الحديث*] –** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჰადისის კრიტიკის მეთოდოლოგიას. მიზნად ისახავს ჰადისის გადმომცემთა, გადაცემის და ტექსტის ავთენტურობის დადგენისათვის მეთოდოლოგიის კვლევას. სიტყვასიტყვით ჰადისის ტერმინი. ასევე გვხვდება როგორც **‘ილმ მუსტალაჰ ალ-ჰადრის**.

❖ **მუსჰაფი [მუსჰაფ არაბ. *مصحف*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანის შედგენილ, დაწერილ გვერდებს, გრაგნილებს. ისლამის დოგმა-

ტიკის მიხედვით, ყურანი ეს გამოცხადებაა, რომელიც გარდმოეწვინა მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს). ყურანის სრული ტექსტის, წერილობითი ეგზეგეზის აღმნიშვნელი. ასევე გვხვდება *მასჰაფ* ფორმითაც. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნის (IV თემა) *ასჰაფა*. ძირი [ს/ჰ/ფ] ყურანში გვხვდება 9-ჯერ.

- ❖ **მუფასალი [მუჰასსალ არაბ. *مفسر*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანის იმ სურებს, რომლებიც არის მოკლე და დანაწევრებული/ინტერვალებით წარმოდგენილი, სადაც გვხვდება ბასმალას ფორმულა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: დანაწევრებული, დაყოფილი. მიმღეობა (ვნებითი გვარი) ზმნის (II თემა) *ჰასსალა*. ძირი [ფ/ს/ლ] 43-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან *მუფასსალ* ერთხელ.
- ❖ **მუფასირი [მუჰასსირ არაბ. *مفسر*]** – ისლამურ სამართალში ეწოდება პირს, რომელიც წერს ყურანის კომენტარებს ანუ თაფსირს. X საუკუნიდან დამკვიდრდა ტერმინი მსგავსი მნიშვნელობით. მიიჩნევა, რომ მუფასირი/კომენტატორი უნდა იყოს იურისტი, თეოლოგი, გრამატიკის და კლასიკური არაბული ენის მცოდნე. პირველი განმმარტებელი იყო თვითონ მოციქული მუჰამადი (ს.ა.ა.ს). სიტყვასიტყვით განმმარტებელი, კომენტატორი. მიმ-

ლეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (II თემა) *ჭას-სარა*. ძირი [ფ /ს/რ].

❖ **მუფთი [მუფთი არაბ.مفتى]** – ავტორიტეტული ფაკიჰი, რომელიც გამოსცემს ფათვას, რელიგიურ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ დასკვნას. მუფთი გამოსცემს დადგენილებას მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ან კითხვის (ზეპირი/წერილობითი) პასუხად. მიმლეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნისა (IV თემა) *აფთა*. ძირი [ფ/თ/ა] ყურანში 21-ჯერ გვხვდება.

❖ **მუფლიჰუნი [მუფლიჰუნ არაბ.مفتي]** – ყურანისეული ტერმინი აღნიშნავს მუსლიმებს, რომელნიც წარმატებით ასრულებენ ვალდებულებებს, რის შედეგსაც იმქვეყნიურ სამყოფელში იღებენ. *ფალჰ* აღნიშნავს წარმატებას რწმენასა და ღვთიური ნების განხორციელებაში. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს წარმატებულებს. მრავლობითი რიცხვი სიტყვისა მუფლიჰ. მიმლეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნა (IV თემა) *აფლაჰა*. ძირი [ფ/ლ/ჰ] ყურანში გვხვდება 40-ჯერ, აქედან 13-ჯერ როგორც *მუფლიჰუნ* ხოლო 37-ჯერ *აფლაჰა*.

❖ **მუქალაფი [მუქალაფ არაბ.مكلف]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ადამიანს, რომელიც არის ვალდებული, სამართლებრივად და მორა-

ლურად, შეასრულოს ალაჰის (ს.ვ.თ) ბრძანებები და კანონები. ის ვისი ქმედებებიც რეგულირდება არსებული სამართლებრივი მითითებებით. ასეთად ითვლება ყველა ზრდასრული მუსლიმი ქალი და მამაკაცი, რომელსაც ასაკს და აქვს შესაბამისი გონებრივი უნარები. სიტყვასიტყვით ნიშნავს ვალდებულს, პასუხისმგებელს რამეში. მიმღეობა (ვნებითი გვარის) ზმნის (II თემა) *ქაღლჟა*. ძირი [ქ/ლ/ჟ] ყურანში გვხვდება 8-ჯერ.

- ❖ **მუშრიქი [მუშრიქ არაბ. *كشأ*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ეწოდება პიროვნებას, რომელიც აღიარებს შირქს, ანუ მრავალმერთიანობას. მუშრიქია ის, ვინც აღიარებს და თაყვანს სცემს ალაჰის (ს.ვ.თ) გარდა სხვებსაც. თავჰიდის უარმყოფელი. სიტყვასიტყვით პოლითეისტი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (IV თემა) *აშრაქა*. ძირი [შ/რ/ქ] ყურანში გვხვდება, აქედან მუშრიქ 44-ჯერ.
- ❖ **მუჯამ ალ-ჰადისი [მუჯამ ალ-ჰადის არაბ. *مجم الحديث*] –** ჰადისთა კრებული, რომელიც დალაგებულია ანბანურ რიგზე. სიტყვასიტყვით ჰადისის ლექსიკონი.
- ❖ **მუჯთაჰიდი [მუჯთაჰიდ არაბ. *مجتهد*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ეწოდება ადამიანს, ვინც

ფლობს შესაბამის უნარებს, რომ მიიღოს გადამწყვეტილება სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი მსჯელობით, ინტერპრეტაციით და რისთვისაც არ იშურებს ძალისხმევას. მუჯთაჰიდი ეწოდება: ფაკიჰს, რომლის მიღებულ დასკვნას (ფათვას) აღიარებს მთელ თემი ანდა მუსლიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი; სამართალმცოდნეს, რომელიც რა'ისა და კიასის პრინციპებზე დაყრდნობით იღებს დასკვნას (ფათვას) იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც არ არსებობს პირდაპირი მითითება ყურანს, ჰადისებსა და იჯმაში. არსებობს სპეციალური კრიტერიუმები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს სამართლისმცოდნემ, რომ იწოდოს მუჯთაჰიდად, მაგალითად არაბული ენის სრულყოფილი ცოდნა, ყურანის ზეპირად ცოდნა, სიმტკიცე რწმენაში და ა.შ. იჯთიჰადის დონეებიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალ საფეხურზე არიან აბსოლუტური მუჯთაჰიდები, ისინი ვინც არ ცნობენ წინმსწრებთა მოსაზრებებს და სრულიად დამოუკიდებლად ივითარებენ ინტერპრეტაციის პრინციპებს. მუჯთაჰიდები იყვნენ ოთხი სუნიტური მაზჰაბის(იურიდიულ-რელიგიური სკოლა) დამაარსებელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ის, ვინც არ იშურებს ძალისხმევას. მიმღობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (VIII თემა) იჯთაჰადა. ძირი [ჯ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 41-ჯერ.

- ❖ **მუჰაჯირი [მუჰჯირ არაბ. مهاجر]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს იმ მუსლიმს, ვინც შეასრულა ჰიჯრა, დატოვა საცხოვრისი და გადავიდა სხვაგან რწმენისადმი ერთგულების გამო. სიტყვა-სიტყვით ემიგრანტი, მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნიდან (III თემა) ჰჯარა. მრავლობითი – მუჰჯირუნ. ძირი [ჰ/ჯ/რ] ყუარნში გვხვდება 31-ჯერ, აქედან 7-ჯერ მუჰჯირ.



## 6

- ❖ **ნაბი [ნაბი არაბ. *نبي*] –** ისლამში აღნიშნავს წინასწარმეტყველს, რომელიც ალაჰმა (ს.ვ.თ) ყველა საზოგადოებას გაუგზავნა რათა დაარიგონ, ასწავლონ სწორი გზით ცხოვრება. ის იღებს ზემოთაგონებას ალაჰისგან (ს.ვ.თ), შესწევს ძალა იცოდეს ის, რაც სხვებისთვის დაფარულია. ისლამის მიხედვით, წინასწარმეტყველთა რიცხვი უამრავია. ჰადისების მიხედვით 124 ათასამდეა, ხოლო ყურანში მოხსენიებულია 28 მათგანი. ნაბი ანუ წინასწარმეტყველი ასევე მოციქულისადმი გარდმოვლენილი წმინდა წერილით, სამართლით ხელმძღვანელობს. ძირი [ნ/ბ/] ყურანში გვხვდება 160-ჯერ, ხოლო ნაბი 75-ჯერ.
- ❖ **ნაკლი [ნაკლ არაბ. *نقل*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში არტიკლით (ალ) ან-ნაკლ აღნიშნავს ყურანის, ჰადისების ტექსტს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გადაცემა, ასლის გადაღება, ტრანსკრიფცია. მასდარი ზმნის (I თემა) ნაკალა. ძირი [ნ/კ/ლ].

- ❖ **ნარი [ნარ არაბ.ك]** – მუსლიმურ თეოლოგიაში არტიკლიანი ფორმით ან-ნარ აღნიშნავს ჯოჯოხეთს. ისლამური თვალსაზრისით, ჯოჯოხეთი შედგება შვიდი საფეხურისგან, თითოეულს აქვს დასახელება და შესაბამისია ცოდვილთა კონკრეტული კატეგორიისათვის. ჯოჯოხეთში ხვდებიან ურნმუნონი და ცოდვილნი, რომლებიც დაინვებიან ცეცხლში. ჯოჯოხეთში ცოდვილებს ხვდება მწველი ცეცხლი, ცხელი წყალი და ზაკუმის ხე (რომელსაც ასხია ეშმაკის თავების მსგავსი ნაყოფი). სიტყვასიტყვით ნიშნავს ცეცხლს. არსებითი სახელი. ძირი [ნ/ვ/რ] ყურანში გვხვდება 194-ჯერ, აქედან 145-ჯერ ნარ ფორმით.
- ❖ **ნასი [ნასს არაბ.نص]** – ისლამურ სამართლებრივ-რელიგიურ ლიტერატურაში ტერმინი ნასს აღნიშნავს: მკაფიო ნათქვამს (განაცხადს), ტექსტს ყურანიდან ან სუნადან, რომელსაც ემყარება სამართლებრივი გადაწყვეტილება. სიტყვასიტყვით ნიშნავს ტექსტს. მასდარი ზმნის (I თემა) ნასსა ძირი [ნ/ს/ს].
- ❖ **ნასრანი [ნასრანიჰ არაბ.نصراي]** – ისლამში აღნიშნავს იესო ქრისტეს მიმდევარს, ქრისტიანს. ნასრანიჰა ქრისტიანობა. ყურანის კომენტატორთა მოსაზრებით ეს სახელწოდება დაკავშირებულია ქალაქ ნაზარეთთან. ნისბა. ძირი [ნ/ს/რ] 158-

ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან 15-ჯერ *ნასრანიძე*.

- ❖ **ნასხი [ნასხ არაბ. *خاس*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ეწოდება გაუქმების, ანუ ლირების შესახებ კონცეფციას, რომელიც როგორც ინსტრუმენტი გამოიყენება ყურანსა და სუნას შორის, ან თვითონ მათშივე არსებული შეუსაბამობების / წინააღმდეგობების გადაჭრისათვის. მაგალითად, ბოლოდროინდელი აიებით, ან გადმოცემებით ადრეულის გაბათილება. გამოიყენება *თაფსირის*, *უსულ ალ-ფიკჰის* მიმართაც პრინციპით: ერთი ტექსტით მეორის გაუქმება. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გაუქმება, წაშლა, ანუ ლირებაჲ, გადანერა, ასლის გადაღება, მიბაძვა. მასდარი ზმნის (I თემა) *ნასახა*. ძირი [ნ/ს/ხ] 4-ჯერ.
- ❖ **ნაფაკა [ნაფაკა არაბ. *ةفك*]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ქმრის მიერ ყოფილი ცოლისთვის ‘იდა-ს (თავშეკავების) პერიოდში გადახდილ შენახვის ხარჯებს, ან ალიმენტს შვილებისთვის განქორწინების შემდგომ. სიტყვასიტყვით ალიმენტი, ხარჯი. არსებითი სახელი. ძირი [ნ/ფ/კ] ყურანში გვხვდება 111-ჯერ, აქედან *ნაფაკა* 2-ჯერ.
- ❖ **ნაფილა [ნაფილა არაბ. *ةفل*]** – ისლამში აღნიშნავს ნებაყოფლობით ღვთისმსახურების პრაქტი-

კას, როდესაც მუსლიმი საკუთარი სურვილით ასრულებს დამატებით ლოცვას, ან მარხულობს დამატებით და ა.შ. სიტყვასიტყვით არასავალდებულო ქმედება. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნისა (I თემა) ნაფალა. ძირი [ნ/ჟ/ლ] ყურანში გვხვდება 3-ჯერ აქედან 2-ჯერ ნაჭილა.

- ❖ **ნაფს ალ-ამარა [ნაჟს ალ-'ამარა არაბ. نفس الأمارة]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მაცდურ მე-ს, შინაგანი მე, რომელიც ადამიანს უბიძგებს ცუდი საქციელისკენ, სიამოვნების მიღების მიზნით. სიტყვასიტყვით მაცდუნებელი მე.
- ❖ **ნაფს ალ-ლაჰამა [ნაჟს ალ-ლაჰჰამა არაბ. نفس اللوامة]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს სინდისის ხმას. შინაგანი მე, რომელიც ადამიანს არ აძლევს ცუდი საქციელის ჩადენის უფლებას. სიტყვასიტყვით სინდისი, ნამუსი.
- ❖ **ნაქირა [ნაქირა არაბ. نكارة]** – არცოდნას, უმეცრებას, უარყოფას. არის საპირისპირო იმის, რაც არის ჭეშმარიტი ცოდნა. ამ ძირის დერივატები გვხვდება ყურანში, მაგალითად: *მუნქარ-აკრძალული, მუნქარუნ – უცნობები, უცხოები; მუნქირუნ- უარმყოფელნი. ინქარ – აღნიშნავს უარყოფას იმისა, რაც ჭეშმარიტია. ძირი [ნ/ქ/რ] ყურანში გვხვდება 37-ჯერ.*

- ❖ **ნაჯასი [ნაჯას არაბ. *نجس*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ჭუჭყს, არსებულს ადამიანის სხეულზე ან სამოსზე, რომელიც უნდა იქნეს მოცილებული, რათა მუსლიმმა მიაღწიოს რიტუალურად წმინდა მდგომარეობას. ნაჯას ასევე აღნიშნავს იმას, რაც არის უწმინდური და შესაბამისად, არის აკრძალული მუსლიმისათვის. სიტყვასიტყვით ნიშნავს: უსუფთაო, ბინძური, ჭუჭყიანი. მასდარი ზმნის (I თემა) ნაჯასა. ძირი [ნ/ჯ/ს] ყურანში გვხვდება მხოლოდ ერთხელ, როგორც ნაჯას.
- ❖ **ნია [ნიფა არაბ. *نية*] –** ისლამურ სამართალში აღნიშნავს განზრახვის შესახებ კონცეფციას. შარიათით განსაზღვრული სავალდებულო ან არასავალდებულო ქმედებების შესრულების წინ, მორწმუნე ვალდებულია გამოხატოს მზადყოფნა, ხმა მაღლა ან ჩუმიად გონებაში, აღნიშნულ ქმედებათა შესრულებისთვის. მორწმუნე ვალდებულია გამოხატოს განზრახვა ღვთისმსახურების ყველა ეტაპის წინ, როგორცაა ლოცვა, მარხვა, პილიგრიმოზა, განბანვა და ა.შ. სიტყვასიტყვით ნიშნავს განზრახვას, მიზანს. მასდარი ზმნის (I თემა) ნაფა. ძირი [ნ/ვ/ფ] ყურანში გვხვდება ერთხელ.
- ❖ **ნიფაკ ასლარი [ნიფაკ ასლარ არაბ. *نفق أصغر*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მცირე ფარიხეველობას. ეს არის იმ ქმედებათა კატეგორია,

რომელიც არ არის გულწრფელი. ცოდვაა, მაგრამ ჩამდენს არ აქცევს ურწმუნოდ. სიტყვასიტყვით პატარა ფარისევლობა.

- ❖ **ნიფაკ აქბარი [ნიჭკ აქბარ არაბ. *أفك*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს დიდ ფარისევლობას რწმენასთან მიმართებით. ნიფაკ აღ-აქ-ბარია, როდესაც ადამიანი იქცევა როგორც მორწმუნე, მაგრამ სინამდვილეში არ სწამს. სიტყვასიტყვით დიდი ფარისევლობა.
- ❖ **ნიფაკი [ნიჭკ არაბ. *أفك*] –** ფარისევლობა, პირფერობა. მასდარი ზმნის (III თემა) ნიფაკა. ძირი [ნ/ფ/კ] ყურანში გვხვდება 111-ჯერ, აქედან ნიჭკ 3-ჯერ.
- ❖ **ნუბუვა [ნუბუვა არაბ. *أوب*] –** წინასწარმეტყველება, მომავლის წინასწარ განჭვრეტის უნარი, რომელიც გადაეცემა მოციქულს ღმერთისგან. ასევე აღნიშნავს გამოცხადებას, რომელიც გადაეცემა ალაჰისგან (ს.ვ.თ) მოციქულს (ს.ა.ა.ს), მოიცავს საკულტო, განათლების, მორალის, სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის ცნებებს და არის წყარო ყველანაირი ცოდნის. სიტყვასიტყვით ნიშნავს წინასწარმეტყველებას. ძირი [ნ/ბ/'] ყურანში გვხვდება 160-ჯერ, ხოლო ნუბუვა 5-ჯერ.



- ❖ **რაბ ალ-ალამინი [რაბბ ალ-‘აღმინ არაბ. راب العالمين]** - სამყაროთა ღმერთი, ალაჰის (ს.ვ.თ) ერთ-ერთი ნოდება. ისლამური თვალსაზრისით ალაჰი (ს.ვ.თ) მიიჩნევა ყველა სამყაროს ღმერთად.
- ❖ **რადია ლაჰ ალაიჰი/ანჰუმ [რა‘დიჰა-ლღნჰუ ‘ანჰუ/‘ანჰუმ არაბ. رضى الله عنه / عنه]** – ალაჰი (ს.ვ.თ) იყოს/ ყოფილიყოს კმაყოფილი მისით/ან მათით. გამოიყენება როდესაც მოიხსენიება ასჰაბები.
- ❖ **რაი [რა‘ჲ არაბ. رأ]** – ისლამურ სამართლში არსებული პრინციპი ლოგიკური მსჯელობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სამართლის ძირითადი წყაროების (ყურანი, ჰადისები) მიღმა დარჩენილი დაუზუსტებელი საკითხების გადანიშნულას ლოგიკური აზროვნებით. რა‘ჲ ეს არის: 1. მოსაზრება ისლამურ სამართალთან დაკავშირებულ კითხვებზე, რომელიც ყურანითა და ჰადისებით არ არის დაზუსტებული; 2. მოსაზრება სპეციფი-

კურ სამართლებრივ საკითხთან მიმართებით. ასევე სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნავს კონკრეტული სამართლისმცოდნის მოსაზრებათა ერთობლიობას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: აზრი, ხედვა, პირადი მოსაზრება. მასდარი ზმნი (I თემა) რა'ა. ძირი [რ'/ა] ყურანში გვხვდება 328-ჯერ, აქედან რა'მ ორჯერ.

❖ **რამადანი [რამადან არაბ. رمضان]** – ისლამური კალენდრის მეცხრე თვე. წმინდა თვე, რომლის დროსაც მუსლიმები ასრულებენ ისლამის ხუთი სავალდებულო ბურჯიდან (არქან ალ-ისლამ) ერთ-ერთს, მარხვას. ალაჰის (ჟ.ვ.თ) თაყვანისცემის, ცოდვებისგან განწმენდის, მორჩილების პატიების თვე. ის ერთადერთი თვეა, რომელიც მოხსენიებულია ყურანში (2:165/181). რამადანის თვეში გარდმოევლინა მოციქულს წმინდა ყურანი, ასევე ამ თვეში არის არაერთი ისლამური დღესასწაული. რამადანის თვე იწყება და სრულდება ახალმთვარეობისას. არსებითი სახელი. რამიდა, აღნიშნავს ზაფხულის მცხუნვარე სიცხეს. ძირი [რ/მ/დ] ყურანში გვხვდება ერთხელ.

❖ **რასული [რასულ არაბ. رسول]** – ისლამში აღნიშნავს მოციქულს, რომელიც არის უმაღლესი რანგის წინასწარმეტყველი. მოციქული გამოგზავნა ალაჰმა (ჟ.ვ.თ), ანგელოზების მეშვეობით გარდმოევლინა მას ღმერთის საღვთო წერილი და მი-



ეცა ღვთიური სამართალი (შარიათი). ისლამის მიხედვით, რასულის წოდების მატარებელია ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე, იესო და წინასწარმეტყველთა ბეჭედი-მუჰამადი (ს.ა.ა.ს), რომელსაც გადაეცა ღვთის ბოლო სიტყვა - წმინდა წიგნი ყურანი. ყურანის მიხედვით არსებობდა 313 რასული. სიტყვასიტყვით ნიშნავს წარგზავნილს, მოციქულს. არსებითი სახელი, ზმნის (IV თემა) არსალა. ძირი [რ/ს/ლ] ყურანში გვხვდება 513-ჯერ, ხოლო აქედან რასულ 332-ჯერ.

- ❖ **რაქათი [რაქ'ა/რაქ'ათ არაბ. رَكَات/رَكَات] –** ისლამში ტერმინი აღნიშნავს პოზებისა და მოძრაობების ერთობლიობას, რომელსაც მუსლიმი ასრულებს ლოცვის დროს. რაქათის შესრულებისას მუსლიმი წარმოთქვამს თაქბირებს და ფათიჰას. სიტყვასიტყვით ჩამუხვლა, მუხლის მოყრა/მოდრეკა, თავის დახრა. მასდარი ზმნის (I თემა) რაქა'ა. ძირი [რ/ქ/' ] ყურანში გვხვდება 13-ჯერ.
- ❖ **რაჰიბი [რაჰიბ არაბ. رَاهِب] –** ისლამში აღნიშნავს ბერს, ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელს, რომელიც ცხოვრებას მონასტერში, ღვთის თაყვანისცემაში ატარებს. ტერმინი ბერი ისლამამდელ პოეზიაშიც გვხვდება. ძირი [რ/ჰ/ბ] ყურანში გვხვდება 12-ჯერ, აქედან რაჰიბის მრავლობითი რიცხვი რუჰბან 3-ჯერ.

- ❖ **რაჰმა [რაჰმა არაბ. *رحمة*]** – ყურანისეული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ყველანაირ სიკეთეს, კეთილგანწყობას, წყალობას. მასდარი ზმნის (I თემა) *რაჰიმა*. ძირი [რ/ჰ/მ] ყურანში გვხვდება 339-ჯერ, აქედან *რაჰმა* 114-ჯერ.
  
- ❖ **რაჰმათ ალაჰ ალაიჰი/ალაიჰა/ალაიჰიმ[რაჰმათ ალლაჰ ‘ალაჰჰი/‘ალაჰჰა/ ‘ალაჰჰიმ/ არაბ. *رحمة الله عليه/عليه/عليه*]** – ალაჰის(ს.ვ.თ) მოწყალება მასზედ (მამრ./მდედრ.)/ მათზედ. წარმოთქვამენ გარდაცვლილი ადამიანის სახელის ხსენების შემდეგ.
  
- ❖ **რიდა [რიდა არაბ. *ردا*]** – ისლამში აღნიშნავს რელიგიისგან განდგომას. სიტყვასიტყვით რწმენის უგულუბელყოფა, უარყოფა, განდგომა, მიტოვება. მასდარი ზმნის (I თემა) რადდა. ამავე მნიშვნელობის მატარებელია მასდარი ზმნის (VIII თემა) *ირთიდანდ*. ხოლო ისტორიულ ლიტერატურაში არ-რიდა აღნიშნავს აბუ-ბაქრის მმართველობის დროს (632-634) არაბეთის ნახევარკუნძულზე ბედუინთა ტომების მიერ წამოწყებულ პოლიტიკურ-რელიგიურ აჯანყებას. ძირი [რ/დ/დ] ყურანში გვხვდება 59-ჯერ.

- ❖ **რუხსა [რუხსა არაბ. *أخصا*]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს შემთხვევას, როდესაც ხდება მორწმუნისათვის კონკრეტული რელიგიური ვალდებულების შემსუბუქება, ან განთავისუფლება განსაკუთრებული მიზეზის საფუძველზე. გამონაკლისის მიზანია სიცოცხლის შენარჩუნება და გასაჭირის/სიძნელების შემსუბუქება. ასეთია მაგალითად, ლოცვის დროების შემოკლება, მარხვის შემსუბუქება ავადმყოფებისა და ორსულებისათვის. სუფიზმის მიმდევრები გარკვეულწილად უარყოფენ მსგავს გამონაკლისებს/შელავათებს როგორც განკუთვნილ სუსტებისათვის და მიაჩნიათ რომ, ჭეშმარიტება საკუთარი თავის სრულად უარყოფაა. თუმცა, შარიათი და რელიგიურ-იურიდიული სკოლები უშვებენ მსგავს გამონაკლისებს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, როდესაც ეს არ ვნებს შარიათის ძირითად პრინციპებს და არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოწესრიგისათვის. სიტყვასიტყვით ნიშნავს: დათმობა, შემსუბუქება, განსაკუთრებულ სიტუაციაში მინიჭებული ნებართვა. ძირი [რ/ხ/ს].

## ს

- ❖ **საა [სა‘ა არაბ. *أساء*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს საშინელი სამსჯავროს საათს, რომლის დადგომის შესახებ მხოლოდ ალაჰმა (ს.ვ.თ) იცის. მუსლიმმა უნდა ირწმუნოს, რომ მისი ყველა ქმედება ამ სამყაროში განიკითხება და პასუხი მოეთხოვება იმ სამყაროში. სიტყვასიტყვით ნიშნავს საათს. არსებითი სახელი. ძირი [ს/ვ/’] ყურანში გვხვდება 49-ჯერ, აქედან სა‘ა 48-ჯერ.
- ❖ **საბირი [საბირ არაბ. *أبى*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში ეწოდება ადამიანს, რომელიც მუდამ ეწინააღმდეგება ბოროტს, ცუდს და რჩება ისლამის ერთგული. სიტყვასიტყვით მომთმენი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) *أبى*. ძირი [ს/ბ/რ] გვხვდება ყურანში 103-ჯერ, ხოლო აქედან საბირ 20-ჯერ.
- ❖ **სადაკა [სადაკა არაბ. *أقاص*] –** ისლამში აღნიშნავს ნებაყოფლობით მონყალებას. ის არ არის სავალდებულო, მაგრამ მიეკუთვნება საქებ ქცევათა კატეგორიას. მონყალებას გასცემს შეძლებული

მუსლიმი გაჭირვებულთა სასარგებლოდ. მუსლიმი სამართლისმცოდნეთა მიერ სადაკა იყოფა რამდენიმე კატეგორიად, ფიკჰის ენციკლოპედიის მიხედვით (al- Mawsuac ah al-Fiqhiyyah, 1998) 1: აქადაკა ალ-ვაჯიბა – სავალდებულო მოწყალეობა ქონებაზე; 2. სავალდებულო მოწყალეობა, საკვეთით უზრუნველყოფა რამადანის დროს 3. ნაზარ – მოწყალეობა, რომელსაც ადამიანი გასცემს საკუთარი ალთემის, პირობის გამო. 4. ქაფფარა – მოწყალეობა, რომელსაც ადამიანი იხდის, როდესაც არღვევს შარიათის კანონებს, ჯარიმის სახით. 5. სადაკა თატავვუ’ – სპონტანური ქველმოქმედება. სიტყვასიტყვით ნიშნავს მოწყალეობას. არსებითი სახელი. ძირი [ს /დ/კ] 155-ჯერ გვხვდება ყურანში, ხოლო აქედან სადაკა 5-ჯერ.

❖ **სავაბი [სავაბ არაბ. *أواب*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ განკითხვის დღეს მორწმუნის დაჯილდოვებას, ამქვეყნად მისი ქმედებების შესაბამისად. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს დაჯილოდვებას, კომპენსაციას. ძირი [ს/ვ/ბ] ყურანში გვხვდება 28-ჯერ, ხოლო აქედან სავაბ 13-ჯერ.

❖ **სავამი [სავამ არაბ. *صوم*]** – მარხვა, რომლის დროსაც მორწმუნე მზის ამოსვლიდან-ჩასვლამდე პერიოდში არ იღებს საკვებს, სასმელს და არ აკე-

თებს არაფერს, რაც წინააღმდეგობაშია ღვთის-მოსაობასთან. ისლამური მარხვის ძირითადი წესები განსაზღვრულია ყურანით. მისი მიზანია, რომ ადამიანმა ამქვეყნიური საზრუნავი დაივიწყოს, იზრუნოს სულისა და იმქვეყნიური სამყოფლისთვის და განმტკიცდეს სულიერად. ისლამში არსებობს სავალდებულო და არასავალდებულო, რეკომენდებული (ნებაყოფლობითი) მარხვა. სავალდებულო მარხვა, ისლამის მეოთხე ბურჯი, სრულდება რამადანის თვეში, 30 დღის განმავლობაში და მისი დაცვა მოეთხოვება ყველა მუსლიმს (არსებობს გამონაკლისი, განსაკუთრებული მოცემულობები, რომლის დროსაც დასაშვებია მარხვის დაუცველობა). ნებაყოფლობითი მარხვა სრულდება ადამიანის პირადი სურვილით და სხვადასხვა მიზნით (ალთქმა, ცოდვის მონანიება და ა.შ) სავსე მთვარის დღეებში. შესაძლო დღეებია ორშაბათი, ხუთშაბათი. სიტყვასიტყვით ნიშნავს მარხვას. მასდარი ზმნის (I თემა) *ჰაჰა*. ძირი [ს/ვ/მ] ყურანში გხვდება 14-ჯერ, აქედან *სავმ* ერთხელ.

### ❖ **სალათ აზ-ზუჰრი [სალათ აზ-ზუჰრ არაბ.**

*صلاة الظهر* – შუადღის ლოცვა, რომელიც იწყება როდესაც მზე ზენიტშია. შედგება 4 რაქათისაგან. პარასკევს კი შუადღის ლოცვა სრულდება საკრებულო მეჩეთში.

- ❖ **სალათ ათ-თარავიჰი [სალათ ათ-თარავიჰ]**  
**არაბ. صلاة التراويح** – ისლამში ეწოდება არასავალდებულო ლოცვას, რომელსაც სუნიტი მუსლიმები ასრულებენ რამადანის დროს. სრულდება ღამის განმავლობაში ნებისმიერ დროს, საღამოს ლოცვიდან გამთენიამდე პერიოდში. შედგება 8, 20 ან 36 რაქათისგან. ყოველი 4 რაქათის შემდეგ მლოცველმა უნდა შეისვენოს. სიტყვასიტყვით თარავიჰა ნიშნავს დასვენება, რელაქსაციას და აქედან მოდის თვითონ ლოცვის სახელწოდებაც, დასვენების ლოცვა. შიიტები მიიჩნევენ სიახლედ და არ აღიარებენ.
- ❖ **სალათ ალ-ასრი [სალათ ალ-‘ასრ არაბ. صلاة العصر]** – ნაშუადღევის ლოცვა, რომელიც სრულდება შუადღის შემდეგ მზის ჩასვლამდე პერიოდში, შედგება 4 რაქათისგან.
- ❖ **სალათ ალ-იშა [სალათ ალ-‘იშა არაბ. صلاة العشاء]** – ღამის ლოცვა, იწყება მზის ჩასვლის შემდეგ, დაბინდებისას, ძილის წინ. შედგება 4 რაქათისგან.
- ❖ **სალათ ალ-მალრიბი [სალათ ალ-მალრიბ არაბ. صلاة المغرب]** – ლოცვა, რომელიც იწყება

მზის ჩასვლისას და უნდა დასრულდეს დაღამებამდე. შედგება სამი რაქათისგან.

❖ **სალათ ალ-ფარდი [სალათ ალ-ჭარდ**

**არაბ. صلاة فرض ]** – სავალდებულო ლოცვა. ისლამის მიხედვით, ყველა მონიფული, საღ აზრზე მყოფი მუსლიმი ვალდებულია შეასრულოს 5 კანონიკური ლოცვა ყოველდღე. ლოცვები სრულდება განსაზღვრულ დროს-საათზე, მიმდინარეობს განსაზღვრული მოძრაობებით, რასაც თან ახლავს შესაბამისი ფორმულების წარმოთქმა. სავალდებულოა ასევე პარასკევის საერთო და რელიგიური დღესასწაულების დროს შესასრულებელი ლოცვა.

❖ **სალათ ალ-ფაჯრი [სალათ ალ-ჭაჯრ**

**არაბ. صلاة الفجر ]** – გამთენიის ლოცვა, რომელიც იწყება და სრულდება მზის ამოსვლამდე პერიოდში. შედგება ორი რაქათისგან.

❖ **სალათ ალ-ჯანაზა [სალათ ალ-ჯანაზა**

**არაბ. صلاة الجنازة ]** – ლოცვა მიცვალებულზე, როგორც დაკრძალვის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი. ლოცვას ხელმძღვანელობს იმამი, რომელიც განცალკევებით, დგას სახით მექისკენ და მის წინ მიცვალებულია დასვენებული. ეს არის საერთო ლოცვა, სადაც რიგებად განლაგებული ხალხი ლოცულობს გარ-



დაცვლილისათვის. ამ დროს არ სრულდება რაქათები და წარმოთქვამენ სურა ალ-ფათიჰას.

❖ **სალათ ალ-ჯუმა [სალათ ალ-ჯუმა]**

**არაბ. صلاة الجمعة** – პარასკევის ლოცვა. პარასკევს შუადღისას ლოცვის მეჩეთში შესრულება სავალდებულოა ყველა ზრდასრული, თავისუფალი, მამაკაცი მუსლიმისთვის. ის ყურანის (62:9) მიხედვით არის განსაზღვრული. გადმოცემით, პარასკევი შერჩეულ იქნა საზოგადო ლოცვის დღედ, რადგან არ დამთხვეოდა იუდეურ-ქრისტიანულ ღვთისმსახურების დღეებს შაბათს ან კვირას. საზოგადო ლოცვისათვის, ზოგიერთი სამართლისმცოდნის მიხედვით, საჭიროა მინიმუმ 40 ადამიანის არსებობა. ამ დღეს მუსლიმები იკრიბებიან მახლობელ დიდ, საკრებულო მეჩეთებში. არაბულ სამყაროში და მუსლიმური ქვეყნების უმრავლესობაში პარასკევი დასვენების დღეა.

❖ **სალათ ან-ნაფილა [სალათ ან-ნაფილა არაბ.**

**صلاة النافلة** – ლოცვა, რომელიც საქებარია, რეკომენდირებულია, მაგრამ არ არის სავალდებულო. თვითონ სიტყვა ნაფილა ყურანში გვხვდება 2 ადგილას. ამ კატეგორიის ლოცვის შეუსრულებლობა არ იწვევს სასჯელს, მაგრამ შესრულება, ჰადისების მიხედვით, მორწმუნეს აახლოვებს ალაჰთან (ბ.ვ.თ) და ეხმარება იმქვეყნიურ სამყო-

ფელში. სიტყვასიტყვით ნიშნავს დამატებით ლოცვას.

- ❖ **სალათ ას-სუნა [სალათ ას-სუნნა არაბ. *صلاة* *Ṣalāt*] –** მოციქულის (ს.ა.ა.ს) სუნათი რეკომენდებული ლოცვები, რომელიც შარიათის მიხედვით არ არის სავალდებულო და დამატებითი, რეკომენდირებული ლოცვის კატეგორიაა. მისი შეუსრულებლობა არ გულისხმობს განსაზღვრულ სასჯელს. ის შეძლება შესრულდეს სავალდებულო ლოცვის დამატებად ან სხვა ნებისმიერ დროს. სიტყვასიტყვით სუნას ლოცვა. იზაფეთი.
- ❖ **სალათი [სალათ არაბ. *صلاة*] –** ლოცვა, ისლამში ღვთისმსახურების ('იბადათ) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ისლამში არსებობს სხვადასხვა კატეგორიის ლოცვები: კანონიკური, დამატებითი, არასავალდებულო, ნებაყოფლობითი. მასდარი ზმნის (I თემა) *კალლან*. სიტყვასიტყვით ნიშნავს ლოცვას. ძირი [ს/ლ/ვ] ყურანში გვხვდება 99-ჯერ, აქედან 83-ჯერ *სალათ*.
- ❖ **საფა [საფან არაბ. *صفا*] –** ბორცვი მდებარეობს მექაში, საუდის არაბეთში, *მასჯიდ ალ-ჰარამის* ტერიტორიაზე. 614 წელს მუჰამადმა (ს.ა.ა.ს) შეკრიბა კურაიშიტები *ას-საფას* ბორცვზე და განუცხადა მათ, რომ ის იყო ალაჰის (ს.ვ.თ) მოციქული და

ერთი ღმერთის აღიარებისა და თაყვანისცემისკენ მოუწოდა. ასევე, მექაში პილიგრიმოზის დროს, მუსლიმები 7-ჯერ გადიან გზას საფასა და მარვას ბორცვებს შორის, ჰაჯარის მიერ წყლის ძეხნის განსახიერების მიზნით. სიტყვასიტყვით საფა ნიშნავს მყარ, გლუვ ქვას/ქვიან ტერიტორიას. ყურანში ამავე მნიშვნელობით მოხსენიებულია ერთხელ.

❖ **საჯადა [საჯჯადა არაბ. *أداء*] –** მცირე ზომის ხალიჩა, რომელზეც მუსლიმი ასრულებს ლოცვას. ისლამში ლოცვის დროს მლოცველი საჯადით გარკვეულწილად გამოეყოფა გარე სამყაროს და მასზე ასრულებს მინიერ თაყვანისცემას (*სუჯუდ*). ასევე საჯადა ეხმარება მორწმუნეს, რომ ლოცვა შეასრულოს რიტუალურად წმინდა ადგილას. მისი გამოყენება დაიწყო დაახლოებით X-XI საუკუნეში. არსებითი სახელი. ძირი [ს/ჯ/და] ყურანში გვხვდება 92-ჯერ.

❖ **საჰვათ ალ-ისლამია [საჰვათ ალ-ისლამიდა არაბ. *صحوة الإسلام*] –** ისლამური გამოღვიძება. ეს არის მოძრაობა, რომელიც დაიწყო 1960-1970 წლებში საუდის არაბეთში. მიზანი ჭეშმარიტი ისლამისკენ დაბრუნება იყო, ხოლო მიზეზი კოლონიალიზმი, დასავლეთის გავლენა და დასავლური ორიენტაციის მქონე მმართველი ელიტების არაე-

ფექტური მმართველობა. ეს მოძრაობა შეეხო ყველა სფეროს.

- ❖ **სირა [სირა არაბ. *سيرة*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) და მისი მიმდევრების ბიოგრაფიას. მოციქულის ბიოგრაფიის აღნიშვნისათვის ასევე გვხვდება ვრცელი ფორმით *სირა ან-ნაბავიძა* (მოციქულის ბიოგრაფია) ან *სირა რასულ ალლაჰ* (ალაჰის (ს.ვ.თ) მოციქულის ბიოგრაფია). ჩამოყალიბდა ჰიჯრის პირველი საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს უკვე არსებობდა პირველი სრული ბიოგრაფიული კრებულები. პირველად ტერმინი სირა გამოყენებულ იქნა იბნ შიჰაბ აზ-ზუჰრის მიერ, ხოლო პოპულარული გახდა იბნ ჰიშამის ნაშრომით. ჰიჯრის პირველ ორ საუკუნეში ძირითადად ბიოგრაფია მოიცავდა მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მიერ განხორციელებულ სამხედრო ექსპედიციებს, მის გამონათქვამებს, ქმედებებს, რომლის შესახებ გადმოცემული იყო ზეპირად ან წერილობით (აქ იგულისხმება ჰუდაიბიას ხელშეკრულება, მედინის კონსტიტუცია). სირა სიტყვასიტყვით ნიშნავს: სიარულის მანერა, ქცევა, მანერა, ცხოვრების წესი, ბიოგრაფია. მასდარი ზმნის (I თემა) *სწრა*. ძირი [ს/მ/რ] ყურანში გვხვდება 27-ჯერ აქედან ერთხელ *სირა*.

- ❖ **სირატი [სირატ არაბ. *صراط*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს გზას, რომელსაც გაივლის ყოველი მუსლიმი განკითხვის დღეს სამოთხემდე მისასვლელად. მორწმუნენი მოხვდებიან სამოთხეში, ხოლო ურწმუნო გზას ვერ გაივლის და აღმოჩნდება ჯოჯოხეთში. ეს გზა აღწერილია როგორც თმის ღერზე უფრო ნვრილი. სიტყვასიტყვით ნიშნავს გზას. არსებითი სახელი. ძირი [ს/რ/ტ] ყურანში გვხვდება 45-ჯერ. 45-დან 33-ჯერ **სირატ** გვხვდება ზედსართავთან ერთად **ას-სირატ ალ-მუსთაკიმ** (არაბ. *الصراط المستقيم*) – სწორი გზა. **ას-სირატ ალ-მუსთაკიმ** ზოგიერთი ინტერპრეტაციით აღნიშნავს ისლამის რელიგიას, ან ნიგნს – ყურანს. ასევე მიიჩნევა, რომ მოციქული მუჰამადი (ს.ა.ა.ს) მოევლინა სამყაროს, რათა ადამიანები ყურანით (ნიგნით) და სუნათი (სიბრძნით) დააყენოს სწორ გზაზე, რომელიც ღმერთთან მიდის.
- ❖ **სუბჰა [სუბჰა არაბ. *صباحة*]** – კრიალოსანი, რომელზეც არის განთავსებული 99 ცალი მძივი და რომელსაც ალაჰის (ს.ვ.თ) მოხსენიების (*ზიქრის*) შესრულებისას იყენებენ მუსლიმები, ან კანონიკური 5-ჯერადი ლოცვის შემდგომ, ღმერთის სადიდებად. თითოეული მძივი ალაჰის (ს.ვ.თ) 99 სახელი/ეპითეტის შესატყვისია. ამზადებენ ხისგან, პლასტმასისგან ან ზეთისხილის თესლისგან

ნაც. ასევე გამოიყენება *თასბიჰის* (სუბჰანა ლლაჰი), *თაქბირის* (ალლაჰუ აქბარ) და *თაჰმიდის* (ალ-ჰამდუ ლილლაჰი) 33-ჯერ წარმოთქმისას. არსებობს პატარა ზომის 33-იანი კრიალოსანიც. მას 33 მიძვის გამოსაყოფად დამატებული აქვს 2 პატარა მიძვი. ასევე ეწოდება **მისბაჰა**. სიტყვასიტყვით ნიშნავს დილის ძილს, განთიადს. მასდარი ზმნის (I თემა) საბაჰა. ძირი [ს/ბ/ჰ] ყურანში გვხვდება 45-ჯერ.

- ❖ **სუბჰანა ლაჰი [სუბჰანა ლლაჰი არაბ. سبحان الله]** – დიდება ალაჰს, წარმოითქმის ყოველთვის, როდესაც ნახსენებია ალაჰი (ს.ვ.თ). *სუბჰან* – ნაწარმოებია ზმნიდან *საბჰაჰა* (არაბ. حاسب) – ადიდო ალაჰი (ს.ვ.თ) და მადლობა გადაუხადო მას. გვხვდება ყურანში, ასევე გამოიყენება *ზიქრის* (ღმერთის ხსენების) დროს. ძირი [ს/ბ/ჰ] ყურანში გვხვდება 92-ჯერ, ხოლო *სუბჰანა ლლაჰი* 41-ჯერ.
- ❖ **სუბჰანა ლაჰ ვა ბი-ჰამდიჰი [სუბჰანა ლლაჰი ვა ბი-ჰამდიჰი არაბ. سبحان الله و بحمده]** – დიდება ალაჰს და მადლობა მას. წარმოითქმის ყველა ვითარებაში.
- ❖ **სუნა [სუნნა არაბ. سنة]** – მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს), მისი ქცევებისა და გამონათქვამების შე-

სახებ გადმოცემათა კრებული. ისლამური სამართლის ერთ-ერთი წყარო. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ტრადიცია, ადათი. ძირი [ს/ნ/ვ] ყურანში გვხვდება 20-ჯერ.

- ❖ **სუნა ათ-თაკირრია [სუნნა ათ-თაკრირრია არაბ. *سنة التقرير*] –** მოწონების შესახებ სუნა, უსიტყვო თანხმობა, მოწონება. ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს გადმოცემების იმ ნაწილს, სადაც მოციქული მისი მიმდევრების ქმედებების მიმართ არც სიტყვით და არც ქმედებით არ გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას, რაც განაპირობებს საკითხის დასაშვებობას.
- ❖ **სუნა ალ-კავლია [სუნნა ალ-კავლია არაბ. *سنة القولية*] –** სუნა გამონათქვამების შესახებ. ჰადისთა ის კატეგორია, რომელშიც კონკრეტული საკითხისადმი მუჰამად მოციქულის (ს.ა.ა.ს) მიმღებლობა ან მიუღებლობა გამოხატულია მისი სიტყვით. ეს არის მოციქულის გამონათქვამების კრებული, რომელიც აერთიანებს მითითებებს მუსლიმებისთვის და სავალდებულოა მათი დაცვა.
- ❖ **სუნა ალ-ფილია [სუნნა ალ-ფილია არაბ. *سنة الفعلية*] –** ქმედებების შესახებ სუნა. ისლამურ თეოლოგიაში აღნიშნავს სუნას იმ კატეგორიას, სადაც კონკრეტული საკითხის მიმართ

მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) დამოკიდებულება ჩანს მის ქმედებაში. შესაბამისად მისი ქმედება განსაზღვრავს საკითხის მისაღებობას ან მიუღებლობას. ეს არის მოციქულის ქმედებათა შესახებ გადმოცემათა კრებული, რომლის დაცვა სავალდებულოა მუსლიმთათვის.

- ❖ **სუნა ლაირ თაშრია [სუნნა ლაირ თაშრი'და არაბ. *غير تأشيرية سنة*]** – არასამართლებრივი სუნა. აღნიშნავს სუნას იმ კატეგორიას, რომელიც აერთიანებს გადმოცემებს მოციქულზე, მის ყოფით/ყოველდღიურ ქმედებებზე, როგორცაა ძილი, ჩაცმა, ჭამა და ა.შ. გადმოცემების ამ ნაწილს არ აქვს სამართლებრივი ვალდებულების ფორმა, შესაძლებელია მისი როგორც რეკომენდაციის ფრილში განხილვა.
- ❖ **სურა [სურა არაბ. *سورة*]** – ყურანის შემადგენელ თავები, რომელიც აერთიანებს აიებს. ყურანში სულ 114 სურაა. არის გრძელი და მოკლე სურები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება აიათა რაოდენობით (3-დან 286-მდე). ყველა სურა იწყება ბასმალათი (გარდა მეცხრე სურისა). სურათა კლასიფიკაცია ხდება ასევე გარდმოვლენის ადგილის მიხედვით: მექური (90 სურა) და მედინური (24 სურა). სურები თავიდან ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო სიცარიელით, ხოლო შემდგომ დასახელებისათვის შეირჩა შემავალ აიებში ხში-



რად გამოყენებული ძირითადი სიტყვა. სიტყვა-სიტყვით თავი. მასდარი ზმნის (I თემა) *სწრა*. ძირი [ს/ვ/რ] ყურანში გვხვდება 17-ჯერ, აქედან *სურა* 10-ჯერ.

- ❖ **სუჯუდი [სუჯუდ არაბ. *سجود*]** – მიწიერი თაყვანისცემა, პირქვედამხობა ღმერთისადმი თაყვანისცემის ნიშნად. სუჯუდის დროს: მუსლიმი დგება მუხლებზე, სახეს (შუბლი, ცხვირი) ადებს ძირს, ხელები (ხელის გულებით) დაყრდნობილი აქვს თითქმის თავის პარალელურად, იდაყვებს არ ახებს ძირს და აქვს ჰაერში. სუჯუდი არის კანონიკური ლოცვის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსხვავებული რაოდენობით სრულდება. ის სრულდება სპეციალურ ხალიჩაზე (საჯადა). სიტყვასიტყვით თაყვანი სცა, ეთაყვანა. მასდარი ზმნის (I თემა) *საჯადა*. ძირი [ს/ჯ/დ] ყურანში გვხვდება 91-ჯერ, აქედან *სუჯუდ* 6-ჯერ.
- ❖ **სუჭური/საჭურ [სუჭურ/საჭურ არაბ. *سحور*]** – საკვები, რომელსაც იღებენ მუსლიმები რამადანის მარხვის მიმდინარეობის დროს, განთიადის ლოცვის წინ (ფაჯრის). ის უფრო ნოყიერია, ვიდრე *იფტარ*(სალამოს საკვები). განთიადამდე საჭმლის მიღება.



- ❖ **ტავაფი [ტავაფ არაბ. طواف]** – ქააბის შემოვლა შვიდჯერ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. სრულდება ჰაჯის და უმრას დროს. მიიჩნევა როგორც სიმბოლო მორწმუნეთა ერთიანობისა ერთი ღმერთის რწმენაში. თაყვანისცემის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომლის შესრულებისთვისაც მორწმუნეს მოეთხოვება რიტუალურად წმინდა მდგომარეობაში ყოფნა (ანუ განბანვის შესრულება). ტავაფის შესრულებისას მუსლიმები წარმოთქვამენ ასევე *ბასმალას* და *თაქბირის* ფორმულებს. სიტყვასიტყვით ნიშნავს შემოვლას. მასდარი ზმნის (I თემა) *ტაფა*. ძირი [ტ/ვ/ფ] ყურანში გვხვდება 41-ჯერ.
- ❖ **ტალაკი [ტალაკ არაბ. طلاق]** – განქორწინება, გაყრა, რელიგიური გაყრის ფორმულა, რომლის წარმოთქმითაც ქმარი ათავისუფლებს ცოლს ქორწინებიდან. ისლამში არსებობს ასეთი 17 ფორმულა, მათ შორის ერთ-ერთი არის „ანთი ტალაკ“ ნიშნავს თავისუფალი ხარ. ტალაკის ფორმულის გარდა ქორწინების ანუღირება შესაძ-

ლებელია ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით, ან სარწმუნოებისგან განდგომის შემთხვევაში. ტალაკის ფორმულით განქორწინებისას მუსლიმმა უნდადაიცვას შემდგომი წესები: 1. ტალაკის ფორმულის სამჯერ წარმოთქმა, მაგრამ არა ერთდროულად. 2. სამჯერ ნათქვამი გაყრის ფორმულის შემდეგ კვლავ დაქორწინება შესაძლებელია თუ ქალი ჯერ სხვა მამაკაცზე იქორწინებს და გაეყრება ყველა წესის დაცვით. 3. ქალი უნდა იყოს რიტუალურად წმინდა მდგომარეობაში. სიტყვასიტყვით ნიშნავს გაყრას, გაშვებას. მასდარი ზმნის (I თემა) ტალაკა. ძირი [ტ/ლ/კ] 23 ჯერ გვხვდება ყურანში, ხოლო მასდარის ფორმით ტალაკ 2-ჯერ.

- ❖ **ტარიკა [ტარჩკა არაბ. طریقه ]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ნიშნავს სულიერ გზას, რომელსაც მუსლიმი გადის ღმერთისა და ჭეშმარიტების შესაცნობად. ასევე IX-X საუკუნეებში აღნიშნავდა სუფიების ინდივიდუალურ რელიგიურ გზას. ხოლო XII საუკუნიდან **ტარიკა** იყო კონკრეტული სუფი შეიხის, მისი რიტუალური სისტემის ირგვლივ გაერთიანებული მისი მიმდევრების ერთობა. თანდათან ტარიკა გახდა აღმნიშვნელი სუფიური ორდენისა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გზა, საშუალება, ხერხი, მიმართულება. არსებითი სახელი. ძირი [ტ/რ/კ] ყურანში გვხვდება 11-ჯერ, აქედან **ტარჩკა** 5-ჯერ.

- ❖ **ტაჰარა [ტაჰარა არაბ.تَهَارَة]** – რიტუალური სინმინდე. ისლამში ადამიანის რიტუალური სინმინდე დარღვეულად მიიჩნევა დეფეკაციის, სქესობრივი აქტის, მენსტრუაციის ან უნმინდურ საგნებთან შეხების შედეგად. მორწმუნე ვალდებულია იმყოფებოდეს რიტუალურად წმინდად ღვთისმსახურების შესრულებისთვის. რიტუალური სინმინდისთვის მუსლიმი იყენებს განბანვას წყლით ან სიმულაციური განწმენდისთვის ქვიშას, მტვერს და ა.შ. სიტყვასიტყვით ნიშნავს სისუფთავეს, სინმინდეს, ბრწყინვალეობას. მასდარი ზმნის (I თემა) ტაჰურა. ძირი [ტ/ჰ/რ] ყურანში გვხვდება 31-ჯერ.

## უ

- ❖ **ულამა** [‘ულამს’/ მხ.რ ‘წლიმ არაბ. *علماء/ علماء*] – ისლამში აღნიშნავს მუსლიმ სწავლულებს. ულემებს აქვთ ფართო თეორიული და პრაქტიკული განათლება ისლამურ მეცნიერებებში და წარმოადგენენ იურისტებს, მოსამართლეებს, უმაღლესი რელიგიურ პირებს, მრჩეველებს. სიტყვასიტყვით მცოდნე, სწავლული. მიმღობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ‘**ალამა**. ძირი [‘/ლ/მ] ყურანში გვხვდება 854-ჯერ.
- ❖ **ულუ ალ-ალბაბ** [‘ულუ ალ-ალბანბ არაბ. *أول باب*] – ყურანისეული კონცეფცია, რომ ადამიანები (მორწმუნენი) არიან სიღრმისეული აზროვნების და ჭვრეტის უნარის მქონე არსებები, რომლებიც მიჰყვებიან ცოდნას, ნაცვლად ფუჭი სურვილებისა და ხორციელი მოთხოვნილებების. ყურანში ეს გამოთქმა გვხვდება 16-ჯერ.
- ❖ **ულუ ან-ნუჰა** [‘ულუ ან-ნუჰან არაბ. *أول نوح*] – ყურანისეული ტერმინი აღნიშნავს ადამიანებს ანუ გონიერ არსებებს, რომლებიც არიან გონებრივი

შესაძლებლობებით დაჯილდოებულნი, გამჭრიახნი. ყურანში ეს გამოთქმა გვხვდება ორჯერ.

❖ **ულუმ ალ-კურანი [‘ულუმ ალ-კურ’ან**

**არაბ. [علوم القرآن]** – ყურანის შემსწავლელი მეცნიერებები, რომელთა საბოლოო მიზანი ყურანის სრულყოფილი გაგების მიღწევაა. ყურანის შემსწავლელი მეცნიერებები უკვე არსებობდა ჰიჯრის მეორე საუკუნიდან. ის მოიცავს კვლევას ისეთი საკითხების როგორც არის, მაგალითად, ყურანის კითხვა, განმარტებები, უცხო სიტყვათა მნიშვნელობები, აიათა გარდმოვლენის მიზეზები და ა.შ. სიტყვასიტყვით ყურანის მეცნიერებები.

❖ **უმმ ალ-ქითაბი [უმმ ალ-ქითაბ არაბ. م**

**الكتاب]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ზეციურ, მარადიულ ყურანს, რომლისგანაც მომდინარეობს ყველა გარდმოვლენილი წმინდა ნიგნი (თორა, დავითის ფსალმუნები, სახარება). გამოთქმა უმმ ალ-ქითაბ ასევე გამოიყენება ყურანის პირველი სურის ალ-ფათიჰას და აიათ ალ-მუჰქამას აღსანიშნავად. ზეციური დედანის აღსანიშნავად ასევე გამოიყენება „ალ-ქითაბ ალ-მაკნუნ“, ან „ალ-ლაავჰ ალ-მაფჰუზ“. სიტყვასიტყვით ნიშნავს ნიგნის დედას. სამჯერ გვხვდება ყურანში.

- ❖ **უმმა [უმმა არაბ. *أما*]** – მუსლიმური თემი, რომელშიც ერთიანდებიან მუსლიმები მიუხედავად მათ შორის არსებული ეთნიკური, კულტურული და გეოგრაფიული განსხვავებისა. ყურანში უმმა გვხვდება, როგორც მუსლიმური საზოგადოების აღმნიშვნელი. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს ხალხს, საზოგადოებას, ერს. ძირი [‘/მ/მ] ყურანში გვხვდება 68-ჯერ.
- ❖ **უმრა [‘უმრა არაბ. *عمرة*]** – მცირე პილიგრიმოზა, რომელიც წინ უსწრებს დიდ პილიგრიმოზას – ჰაჯს და მისი შემადგენელი ნაწილია. თუმცა, ასევე დასაშვებია მხოლოდ უმრას შესრულება ნებისმიერ დროს და ის რეკომენდირებულ ქმედებათა კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ არ უდრის ან ცვლის ჰაჯს. არსებითი სახელი. ძირი [‘/მ/რ].
- ❖ **ურფი [‘ურფ არაბ. *أرف*]** – ისლამურ სამართალში ადათი, წარმოადგენდა ერთ-ერთ დამატებით წყაროს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ადათი, როგორც ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის ინტერესების მატარებელი, კონკრეტულ-პერიოდში და მოცემულობაში გამოიყენებოდა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც არ არის შარიათის კანონში მოცემული. ადათის მცნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაშვებ და აკრძალულ ქმედებათა შესახებ კანონის გან-

საზღვრებაში. მისი გამოყენებისას, როგორც სამართლებრივი ნყაროსი აუცილებელია განისაზღვროს შარიათთან შესაბამისობა. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ჩვეულება ჩვევა, ადათი. მრავლობითი ფორმა. ძირი [‘/რ/ჟ] ყურანში გვხვდება 70-ჯერ, აქედან 2-ჯერ როგორც ‘ურჟ.

❖ **უსუვათ ჰასანა [‘უსუათ ჰასანა არაბ. *أسوة حسنة*]**

– მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ქცევას, კარგ ნორმატიულ მატალიტებს, რომლებიც შეადგენს სუნას. სიტყვასიტყვით მოსაწონი, კარგი მაგალითი.

❖ **უსულ ალ-ფიკჰი [უსულ ალ-ჟიკჰ არაბ. *أصول الفقه*]**

– ფიკჰის (იურისპრუდენციის) საფუძვლები. ისლამური იურისპრუდენციის ძირითადი საფუძვლებია: 1. ყურანი. 2. ჰადისები – გადმოცემები მოციქულის ქმედებების, გამონათქვამებისა და გადანყვეტილებების შესახებ. 3. იჯმა – დადგენილებები, რომელიც მიღებულია მუსლიმ სამართლისმცოდნეთა უმრავლესობის თანხმობით იმ საკითხებზე, რომელიც არ არის განსაზღვრული ყურანში. 4. კიასი – დადგენილება მიღებული ანალოგიით.



## ფ

- ❖ **ფავათ არ-რაქა [ქავანთ არ-რაქ'ა არაბ. *فوات الركعة*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს შემთხვევას, როდესაც მუსლიმი საზოგადო ლოცვას შეუერთდა დაწყების შემდეგ (როდესაც იმამი აწევს თავს თავდახრილი პოზიციიდან) და გამოტოვა რაქათი (რაქ'). ის ვალდებულია შეასრულოს გამოტოვებული რაქ'ა, მას შემდეგ რაც იმამი ლოცვას დაასრულებს. სიტყვასიტყვით მოძრაობის გამოტოვება-რაქ'ა.
- ❖ **ფავათიჰი [ქავანთიჰ არაბ. *فواتي*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში ენოდება არაბული ანბანის 14 ასოს სხვადასხვა კომბინაციას რაოდენობით 1-დან 5-მდე, რომლითაც იწყება ყურანის სურები. ყურანის 29 სურა (აქედან ყველა მექურთ პერიოდისაა გარდა სამისა) ბასმალას ფორმულასთან ერთად იწყება ამ ასოთა კომბინაციით, რომელსაც ენოდება გამხსნელი, რადგან მათით იწყება შესაბამისი სურა. არაბული ანბანის 28 ასოდან გამოყენებულია 14: ალიფ, 'აინ, ჰა, ჰ, ლამ, მიმ, ნუნ, კაფ, რა, სინ, სად, ტა და ეია. ასევე ენოდებათ მუკატ-

ტა'ათ-გათიშული, დაუკავშირებელი ასოები, ჰავანმმ-ასოები (ჰან და მნმ). ევროპულ ლიტერატურაში მისტიურ ასოებსაც უწოდებენ, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს ზუსტი ახსნა თუ რა პრინციპს ემყარება. სიტყავისტყვით გამხსნელები. არსებითი სახელი. ძირი [ფ/თ/ჰ] ყურანში გვხვდება 38-ჯერ.

❖ **ფათვა / ფათავა [ფათვა/ მრ.რ ფათანვ**

**არაბ. [فتاوى/فتاوى]** – უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტის მიერ გამოტანილი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნა, რომელიც გამოტანილია შარიათის მითითებების ან მასზე დაყრდნობით რაიმე სამართლებრივი კაზუსის განმარტებისთვის. ფათვა ეს არის რელიგიური დადგენილება, რომელსაც აქვს პრაქტიკული დანიშნულება და აღიარებულია, როგორც დამატებითი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი წყარო. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს განმარტებას. ძირი [ფ/თ/ვ] ყურანში გვხვდება 21-ჯერ.

❖ **ფათიჰათ ალ-ქითაბი [ფათიჰათ ალ-ქითანბ**

**არაბ. [كتاب الفتاوى]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყურანის პირველ, გამხსნელ სურას. ასევე გვხვდება როგორც ალ-ფათიჰა. ეს სურა ყველაზე ხშირად გამოიყენება, ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვის დროს, მორწმუნე 17-ჯერ

კითხულობს მას. ასევე კითხულობენ/წარმოთქვამენ სხვადასხვა ყოველდღიურ ყოფით მოვლენებთან დაკავშირებითაც. სიტყვასიტყვით ნიშნავს გამხსნელ თავს.

- ❖ **ფაკიჰი / ფუკაჰა [ფაკიჰ/ მრ.რ ფუკაჰ]** **არაბ. [فقيه/فقيه]** – პირი, რომელიც სპეციალიზებულია ისლამურ სამართალში (ფიკჰ). ფართო მნიშვნელობით ნიშნავდა რაიმეს ცოდნას, ხოლო შემდგომ დავიწროვდა, გახდა აღმნიშვნელი პირის, რომელსაც აქვს ცოდნა შარიათის, ისლამური სამართლის. X საუკუნეში ჩამოყალიბდა ტერმინი ამ მნიშვნელობით. ფაკიჰები წარმოადგენდნენ ინტელექტუალთა წრეს და ეკავათ მოსამართლეებისა (ყადის) და იურიდიული მრჩევლის (მუფთის) პოზიცია. სიტყვასიტყვით ნიშნავს მცოდნეს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) **ფაკაჰა**. ძირი [ფ/კ/ჰ] ყურანში გვხვდება 20-ჯერ.
- ❖ **ფანა [ფან] არაბ. [فناء]** – სუფიზმში აღნიშნავს საკუთარი თავის სრული უარყოფის გზით და ღმერთის არსებობის გააზრებით, ღმერთთან ერთიანობის მიღწევისთვის ერთ-ერთი ეტაპს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: გარდაცვალება, არსებობის შეწყვეტა, სრული განადგურება, მოსპობა. მასდა-

რი ზმნის (I თემა) *ჟანა*. ძირი [ფ/ნ/მ] ყურანში გვხვდება ერთხელ.

- ❖ **ფარდ ალ-აინი [ჟარდ ალ-‘აინ არაბ. العين فرض]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ვალდებულებას ინდივიდისათვის. აერთიანებს ისეთ ვალდებულებებს, რომელიც მოეთხოვება ყველა მუსლიმს და როგორცაა: ლოცვა, ქველმოქმედება, მარხვა და პილიგრიმოზა. სიტყვასიტყვით ინდივიდის ვალდებულება.
- ❖ **ფარდ ალ-ქიფაია [ჟარდ ალ-ქიფაია არაბ. الكفائية فرض]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს საზოგადოების ვალდებულებას, მოვალეობას დაკისრებულს ისლამური სამართლის მიხედვით. ეს არის უმმას ანუ საზოგადოების მოვალეობა შეასრულოს ღმერთის ბრძანება, რელიგიური ვალდებულება. მაგალითად, გარდაცვლილის დაკრძალვა, რომელიც უნდა შეასრულოს ადამიანების ჯგუფმა შესაბამისი წესების დაცვით. იზაფეთი.
- ❖ **ფარდი [ჟარდ არაბ. فرض]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ალაჰის ბრძანებას, რელიგიურ ვალდებულებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს ვარაუდს, ჰიპოთეზას, ვალდებულებას. მასდარი ზმნის (I თემა) *ჟარაღა*. ძირი [ფ/რ/დ] ყურანში გვხვდება 18-ჯერ, აქედან ვალდებულების აღმნიშვნელად გვხვდება ფორმა *ჟარღა* 6-ჯერ.

- ❖ **ფასიკი [ჟასიკ არაბ. *فاسق*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც არ სწამს ჰადისების ან ცოდვილს, რომელიც არღვევს შარიათის კანონებს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) *ჟასაკა* – ცოდვის ჩადენა, ეშმაკისა და ცოდვის გზის მიყოლა, ღმერთის გამობისა და ისლამიდან განდგომილების გარეშე. ძირი [ფ/ს/კ] ყურანში გვხვდება 54-ჯერ, აქედან 37-ჯერ *ჟასიკ*.
  
- ❖ **ფი საბილი ლაჰი [ჟი საბილი ლლაჰ არაბ. *في سبيل الله*] –** ეს ფრაზა „ღმერთის (ალაჰის) გზაზე“ ნიშნავს, რომ ყველაფერი კეთდება ალაჰის (ს.ვ.თ) გულისთვის. სიტყვასიტყვით ნიშნავს ალაჰის გზას.
  
- ❖ **ფიკჰი [ჟიკჰ არაბ. *فقہ*] –** ისლამური სამართალი, რომელიც არის შარიათის კანონების დაზუსტება, ახსნა. ფიკჰი ეს არის ადამიანის მცდელობა გაიგოს ღმერთის კანონი-შარიათი. ფიკჰი აერთიანებს შარიათში მოცემულ ზოგად მითითებებზე დაფუძნებულ კონკრეტულ კანონებს, რომელთა ცვლილება შესაძლებელია, განსხვავებით შარიათისაგან. სიტყვასიტყვით ნიშნავს ცოდნას, გაგებას. მასდარი ზმნის (I თემა) *ჟაკიჰა*. ძირი [ფ/კ/ჰ] ყურანში გვხვდება 20-ჯერ.

- ❖ **ფი-ს-სარა ვა-დ-დარა [ḥī-s-sarā] ვა-დ-დარა' არაბ. *في السراء والضراء*** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც მუსლიმი ყველა ვითარებაში ვალდებულია შეასრულოს ალაჰისადმი (ს.ვ.თ) მისი მოვალეობები. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სიხარულისა და გასაჭირისას.
- ❖ **ფიტრა [ḥiṭra არაბ. *فطرة*]** – ადამიანის პირველადი (საწყისი) ბუნება, ინსტინქტი. ყურანში ფიტრა აღნიშნავს ადამიანის იმ ფორმით არსებობას, როგორც შექმნა ის ღმერთმა. ალ-ფატირ კი აღნიშნავს ღმერთს-შემოქმედს. ტერმინი გვხვდება ყურანში, ჰადისებში, ისლამურ სამართალში ადამიანის ბუნების და ცოდნის განხილვისას. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ნიშნავს მორალს, პირველსაწყის ბუნებას. ძირი [ḥ/ḡ/r] 20-ჯერ გვხვდება ყურანში.
- ❖ **ფიქრ ისლამი [ḥiṭra ისლამი არაბ. *فكر اسلامي*]** – ისლამური აზროვნება, როგორც ტერმინი არის თანამედროვე და მუსლიმი მოაზროვნეების მიერ იქნა დამკვიდრებული დასავლური აზროვნების ელემენტების დამკვიდრების საპირისპიროდ როგორც ალტერნატიული, ავთენტური და ისლამური XX საუკუნეში. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ, აზროვნება და სიღრმისეული ფიქრი ერთ-ერთი ძი-

რითადი კონცეფციებია ყურანსა და ისლამურ ტრადიციაში. ეს ტერმინი არის შედეგი ისლამურ სამყაროში მიმდინარე განახლების და რეფორმისტული მოძრაობის.

- ❖ **ფიქრი [ფიქრ არაბ. *فكر*]** – აზროვნება, ღრმად დაფიქრება. ყურანში ძირი [ფ/ქ/რ] გვხვდება 18-ჯერ.
- ❖ **ფუთია [ფუთიან არაბ. *فتيا*]** – ინსტიტუტი, სადაც გამოიციემა ფათვა (რელიგიურ-სამართლებრივი დადგენილება) მუფთის მიერ.
- ❖ **ფუთუჰათი [ფუთუჰათ არაბ. *فتوحات*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მორალურ ან მატერიალურ გამარჯვებებს, რომელიც ალაჰმა (ს.ვ.თ) არგუნა მოციქულ მუჰამადს და მის ადრეულ მიმდევრებს. ასევე ღმერთის მიერ მორწმუნეების დაჯილდოებას გამარჯვებით, ანუ ღმერთი უზრუნველყოფს მუსლიმთა გამარჯვებას მორალურ ან მატერიალურ გასაჭირში. ტერმინით ფუთუჰათ ისტორიულ ლიტერატურაში აღინიშნება არაბთა დაპყრობითი ომები VII-VIII საუკუნეში. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს გახსნას, აღებას, დაპყრობას. მრავლობითი რიცხვი სიტყვისა *ჰათჰ*. მასდარი ზმნის (I თემა) *ჰათაჰა*. ძირი [ფ/თ/ჰ] ყურანში გვხვდება 38-ჯერ, ხოლო აქედან ფათჰ 12-ჯერ.

## ქ

- ❖ **ქაბა [ქა'ბა არაბ. كَبَا]** – კუბური ფორმის შენობა, რომელიც დგას მექის ნმინდა მეჩეთში. ყურანის (2:127) მიხედვით, აშენებულია აბრაამის და მისი ძის ისმაილის მიერ. მიიჩნევა ადამიანის ხელით აშენებულ ალაჰის (ს.ვ.თ) პირველ სახლად დედამიწაზე. სიტყვასიტყვით ნიშნავს კუბს. ძირი [ქ/'ბ] ყურანში 4-ჯერ გვხვდება, აქედან 2-ჯერ ქა'ბა.
- ❖ **ქაბირი [ქაბ'ირ არაბ. كَابِر]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს დიდ ცოდვებს, ქმედებებს, რომლებიც აკრძალულია ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ ყურანით, მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) სუნათი. ამ კატეგორიის ცოდვის ჩამდენი დაისჯება იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ასეთ ქმედებაზე სამართლებრივი სასჯელი განსაზღვრულია. ზოგი მკვლევრის აზრით, არსებობს ასეთი შვიდი დიდი ცოდვა. სიტყვასიტყვით დიდი, მნიშვნელოვანი. მრავლობითი რიცხვი, მხ. ქაბირ. მიმლეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ქაბარა. ძირი [ქ/ბ/რ] ყურანში გვხვდება 161-ჯერ.



- ❖ **ქაზიბი [ქაზიბ რაბ. *كازيب*]** – ფარისევლობა, სიტყვა ან ქმედება რომელიც არ შეესაბამება სიცხადეს. ყურანში ტყუილის ერთ-ერთ ფორმად არის განხილული შემთხვევა, როდესაც ადამიანი თვალთმაქცობით ფარავს საკუთარ ურწმუნოებას და ამასთანავე, ატყუებს სხვებს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ტყუილი; სიცრუე; არასანდო კომუნიკაცია; შეცდომაში შეყვანის განზრახვა. მასდარი ზმნის (I თემა) ქაზაბა. ძირი [ქ/ზ/ბ] ყურანში გვხვდება 282-ჯერ, ხოლო აქედან ქაზიბ 33-ჯერ.
- ❖ **ქალამი [ქალამ არაბ. *كلام*]** – ისლამში აღნიშნავს სუნიტურ ღვთისმეტყველებას. ქალამი ემყარება ფორმალურ-ლოგიკურ საბუთებს რელიგიური მოძღვრების საკითხების დასასაბუთებლად. ტერმინი მომდინარეობს გამონათქვამიდან ალაჰის (ს.ვ.თ) სიტყვა – ქალამ ალლჰ (იგულისხმება ყურანი). მუსლიმური თეოლოგიის განვითარება თან ახლდა მუსლიმური სახელმწიფოსა და იდეოლოგიის გაჩენას. ადრეულ ეტაპზე ქალამი, როგორც მეცნიერება გამოიყენებოდა ისლამის დასაცავად სხვა რელიგიებთან მიმართებაში. მუსლიმურ თეოლოგიაში რამდენიმე სკოლა არსებობს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სიტყვა, საუბარი, გამოთქმა. არსებითი სახელი. ძირი [ქ/ლ/მ] ყურანში გვხვდება 75-ჯერ, ხოლო ქალამ 4-ჯერ.

- ❖ **ქაფარა [ქაჭარა არაბ. كفر]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ქმედებას, როდესაც ადამიანი საჯაროდ უარყოფს: 1. ალაჰს (ს.ვ.თ) როგორც ღმერთის, 2. მუჰამადს (ს.ა.ა.ს) როგორც ღმერთის მოციქულის; 3. ყურანს როგორც ღვთიურ გამოცხადებას. ზმნა (I თემა). ძირი [ქ/ჭ/რ] ყურანში გვხვდება 525-ჯერ, აქედან ქაჭარა 289-ჯერ.
- ❖ **ქაფირი [ქნჭირ არაბ. كفر]** – ისლამში აღნიშნავს ურწმუნო ადამიანს, რომელსაც არ სწამს ალაჰის (ს.ვ.თ), წმინდა ყურანის. ყურანში გვხვდება ეს სიტყვა როგორც ღმერთის წყალობის ვერ დანახვა, უმადურობა ღმერთის მიმართ. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ის ვინც მალავს, ან ფარავს. მიმღეობა (მოქმედებით გვარი) ზმნის (I თემა) ქაჭარა. ძირი [ქ/ჭ/რ] ყურანში გვხვდება 525-ჯერ, აქედან 27-ჯერ ქნჭირ.
- ❖ **ქუფრი [ქუჭრ არაბ. كفر]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ღვთისგმობას, უმადურობას, ღმერთის სიკეთის უარყოფას. თანამედროვე პერიოდში აღნიშნავს ასევე ისლამის პრინციპებისგან მორწმუნეთა დაშორებას. სიტყვასიტყვით ურწმუნოება. მასდარი ზმნის (I თემა) ქაჭარა. ძირი [ქ/ჭ/რ] ყურანში გვხვდება 525-ჯერ, აქედან ქუჭრ 37-ჯერ.



- ❖ **ლაზავათი [ლაზავათ არაბ. *اغزوة*]** – ისტორიულ-თეოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავს ბრძოლებს, რომელსაც მუჰამად მოციქული (ს.ა.ა.ს) ხელმძღვანელობდა მექელ და სხვა ურწმუნოთა წინააღმდეგ. სარწმუნოებისათვის ბრძოლა. სიტყვასიტყვით ბრძოლა, თავდასხმა.
  
- ❖ **ლუსლი [ლუსლ *لسل*]** – ისლამში აღნიშნავს განბანვის რიტუალს, რომლის დროსაც სრულდება მთლიანი სხეულის განბანვა და აუცილებელია (სხვადასხვა სახის) წაბილწვის შემდეგ. სრულდება წყლით. აუცილებელად შესასრულებელი წინაპირობაა, კანონიკური ლოცვის, პარასკევის ლოცვის, ქორწინების, მარხვის, დღესასწაულების წინ, რათა მუსლიმი იმყოფებოდეს რიტუალურად წმინდა და მდგომარეობაში. სრული განბანვის რიტუალი უტარდება გარდაცვლილსაც დაკრძალვამდე. **ლუსლის** შესრულების წესი ასეთია: იბანს ორივე ხელს, მარცხენა ხელით, გამდინარე წყლით სხეულის დაფარულ ადგილებს, სამჯერ ორივე ხელს. შემდეგ ასრულებს მცირე განბანვას – *ეუდუ'* (იბანს სახეს, მკლავებს, სამჯერ იბანს თავს, ბო-

ლოს კი ასრულებს ფეხების დაბანით). მთლიან პროცესს ასრულებს ორჯერ. სიტყვასიტყვით დაბანა, განბანვა. მასდარი ზმნის (I თემა ) ღასაღა. ძირი [ღ/ს/ღ].

## ყ

- ❖ **ყადი/კადი [قَادِي არაბ. قاضي]** – მუსლიმი მოსამართლე, რომელიც იღებს სისხლის და სამოქალაქო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას შარიათზე დაყრდნობით. მას ნიშნავდა ხალიფა. პირველი ყადი სამ ქალაქში დაიწინა ხალიფა ‘უმარ I-მა. თუმცა, თანამედროვე პერიოდში ყადის მოქმედების ძირითად სფეროს მოიცავს პირადი სტატუსის სამართალი და რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა ვაკფი. მოქმედებითი გვარის მიმღობა ზმნის (I თემა) კაღა. სიტყვასიტყვით მოსამართლე, მსაჯული. ძირი [კ/ღ/ღ] ყურანში გვხვდება 63-ჯერ.
- ❖ **ყურანი/კურანი [ال-კურ’ან არაბ. القرآن]** – წმინდა წიგნი. გამოცხადება, ალაჰის (ს.ვ.თ) სიტყვა მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) მიერ გადმოცემული. ალაჰის მიერ მუჰამად მოციქულისთვის გარდმოვლენილი გამოცხადებების კრებული. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ხმამალა კითხვა. ძირი [კ/რ/’] ყურანში გვხვდება 88-ჯერ, ხოლო კურ’ან 70-ჯერ.

## შ

- ❖ **შაბანი [შა'ბან არაბ. شَعْبَان]** – ისლამური კალენდრის მერვე თვე, რომელიც წინ უსწრებს რამადანს. ჰადისების მიხედვით ეს თვე მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებოდა რამადანს, მოციქული მუჰამადი (ს.ვ.თ) მარხულობდა ამ თვეშიც. ძირი [შ/'/ბ].
- ❖ **შაზი [შაზ არაბ. شَاز]** – ჰადისთმცოდნეობაში ეწოდება ჰადისს, რომლის გადმომცემი მიჩნეულია სანდო პირად, მაგრამ შინაარსობრივად წინააღმდეგობაშია სხვა მასზე უფრო სანდოს მიერ გადმოცემულთან. სიტყვასიტყვით არარეგულარული, ანომალიური, სპეციფიკური, თავისებური. მოქმედებითი გვარის მიმღეობა ზმნის (I თემა) შაზა. ძირი [შ/ზ/ზ].
- ❖ **შიტანი [შიტან არაბ. شَيْطَان]** – ისლამში აღნიშნავს ეშმაკს, ბოროტ სულს, დემონს, რომელიც დასჯილ იქნა ღმერთის მიერ მის წინააღმდეგ აჯანყების გამო და არის ჯოჯოხეთის მკვიდრი. შიტანი არის ის, ვინც ცდილობს ადამიანი შეც-

დომაში შეიყვანოს, აცდუნოს, ცოდვის ჩადენისაკენ უბიძგოს. ძირი [შ/ტ/ნ] ყურანში გვხვდება 88-ჯერ ფორმით შადტან.

- ❖ **შარი [შარრ არაბ. شر]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ყველაფერს ცუდს და აკრძალულს რელიგიით. სიტყვასიტყვით ცოდვა, ბოროტება. მასდარი ზმნის (I თემა) შარრა. ძირი [შ/რ/რ] ყურანში გვხვდება 31-ჯერ, აქედან შარრ 30-ჯერ.
- ❖ **შარიათი [შარრ'ა არაბ. شريعة]** – რელიგიური კანონი, სამართლის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში VIII-Xსს. განსაზღვრავს მუსლიმთა ცხოვრებას. შარიათი რელიგიური, ღვთიური კანონია, რომლითაც რეგულირდება მუსლიმური თემის ცხოვრება და რომელიც მოცემულია ყურანსა და ჰადისებში. შარიათი, ღმერთის უცვლელი და მარადიული ნებაა, რომელიც ვლინდება ყურანსა და ჰადისებში და სავალდებულოა მისი დაცვა ყველა მუსლიმისათვის, როგორც საუკეთესო კანონის. დღეს მთელ რიგ მუსლიმურ ქვეყნებში კვლავ მოქმედებს შარიათის კანონები და სასამართლოები. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით პირდაპირი სწორი გზა, კანონი, მითითება. ძირი [შ/რ/'] ყურანში გვხვდება 5-ჯერ, ხოლო შარრ'ა ერთხელ.

- ❖ **შაფა [შაჰა‘ა არაბ. عفاش]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს შუამდგომლობას ალაჰთან (ს.ვ.თ). ისლამის მიხედვით განკითხვის დღეს სხვათა შენდობის თხოვნის, შუამდგომლობის უფლება ღმერთთან, მხოლოდ მათ აქვთ ვისაც თვითონ ალაჰი (ს.ვ.თ). უბოძებს ამ პატივს. მასდარი ზმნის (I თემა) *შაჰა‘ა*. სიტყვასიტყვით ნიშნავს ვინმეს შეწყნარების, პატიების თხოვნას. ძირი [შ/ჰ/‘] ყურანში გვხვდება 31-ჯერ, ხოლო *შაჰა‘* 13-ჯერ.
  
- ❖ **შაფაქუმ ალაჰ ვა აფაქუმ [შაჰაქუმ ალლაჰ ვა ‘აჰაქუმ არაბ. عافطه الله عافطه]** – ალაჰმა განგკურნოს და გამოგაჯანმრთელოს, ეუბნებიან ადამიანს ავადობის დროს.
  
- ❖ **შაფიტები /ალ-მაზჰაბ ალ-შაფიი [ალ-მაზჰაბ ამ-შაჰი‘ი არაბ. المذهب الشافعي]** – შაფიტური მაზჰაბი ოთხი სუნიტური რელიგიურ-იურიდიული სკოლიდან ერთ-ერთია. დაარსდა მუჰამად იბნ იდრის ამ-შაფიის (767-820) მიერ. სამართლის წყაროდ აღიარებს ყურანს, სუნას, იჯმას (მხოლოდ მედინელი სამართლისმცოდნეების) და ანალოგიას, რომლის დროსაც ეყრდნობა *ისტისჰაბის* (განგრძობითობა; დაკავშირება რაიმე ნაცნობთან) პრინციპს. ეს ნიშნავს იმას, რომ არსებული ფაქ-



ტის შესახებ გადანყვეტილება უცვლელი რჩებოდა, სანამ არ გამოჩნდებოდა მტკიცებულება, რომელიც არსებულ ვითარებას შეცვლიდა. გავრცელებულია იორდანიაში, ლიბანში, სირიაში და ა.შ.

❖ **შაჰადა [შაჰნდა არაბ. *شهادة*]** – ისლამში რწმენის აღიარების ფორმულა, რომელიც ჟღერს ასე „*ლან ილანჰა ილლან ლლანჰ ვა მუჰამმადუნ რასულ ალლაჰ – არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადი მოციქულია მისი*“. ამ ფორმულის წარმოთქმით ადამიანი აღიარებს ერთღმერთიანობას და მუჰამადის სამოციქულო (ს.ა.ა.ს) მისიას. თუ ამ ფორმულას სამჯერ წარმოთქვამს ადამიანი სასულიერო პირის და ორი მოწმის თანდასწრებით ის ხდება მუსლიმი. შაჰადას ასევე იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ლოცვისა და სხვადასხვა რიტუალების დროს. გამოიყენება აგრეთვე ფიცის ან ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების აღმნიშვნელად. სიტყვასიტყვით ნიშნავს რისამე დამტკიცებას, დადასტურებას. მასდარი ზმნის (I თემა) შაჰადა. ძირი [შ/ჰ/დ] 160-ჯერ გვხვდება ისლამში, ხოლო შაჰადა 23-ჯერ.

❖ **შაჰიდი [შაჰიდ არაბ. *شاهد*]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მოწამეს, პირს, რომელიც დაიღუპა რწმენის გამო, ღმერთის სახელით. ასეთი განსაზღვრებით ყურანში ერთხელ, ხოლო ჰადისებში კი ბევრგან გვხვდება ეს ტერმინი. სიტყვა-

სიტყვით მოწმე, თვითმხილველი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნისა (I თემა) შაჰადა. ძირი [შ/ჰ/დ] 160-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან 21-ჯერ.

- ❖ **შაჰრ ჰარამი [შაჰრ ჰარამ არაბ. شهر حرام]** – ეწოდება თვეს, რომლის დროსაც მუსლიმებს ეკრძალებათ საბრძოლო მოქმედებების დაწყება. ისლამში ასეთი სულ 4 თვეა: ზუ-ლ-ჰაჯა, ზუ-ლ-ჰიჯჯა, მუჰარრამ და რაჯაბი. ისლამური კალენდრის მე-11,12,1 და 7 თვე. სიტყვასიტყვით ნიშნავს წმინდა თვეს. ასევე გვხვდება მრავლობითის ფორმით ალ-აშჰურ ალ-ჰურუმ.
- ❖ **შეიხი/ შაიხი [შაიხ არაბ. شيخ]**– მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს საპატიო წოდებას რელიგიური ავტორიტეტების, რელიგიური დისციპლინების მცოდნეთა, სუფიურ საძმოთა ლიდერების, მასწავლებლების, ღვთისმოსავი ადამიანების. სიტყვასიტყვით მეთაური; გვარის, ტომის ხელმძღვანელი; ასაკოვანი, მოხუცი მამაკაცი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) შაბა. ძირი [შ/ღ/ხ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ შაიხ ფორმით.
- ❖ **შიიზმი /შია [შინა' არაბ. شيعية]** – შიიზმი, ისლამის მეორე ყველაზე დიდი მიმართულება. ჩამოყალიბ-

და მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) გარდაცვალების შემდგომ VII საუკუნეში. სახელწოდება მომდინარეობს შინა'თუ 'ალჩ, რაც ითარგმნება როგორც 'ალის პარტია ან 'ალის მომხრეები, რამდენადაც თავდაპირველი შიიტები ხალიფა 'უსმანის მემკვიდრეობისათვის ბრძოლისას, 'ალის მომხრეები იყვნენ. შიიტების მოსაზრებით, მოციქულის მემკვიდრე, მუსლიმური საზოგადოების რელიგიურ-საერო მმართველი მხოლოდ მისი ოჯახის წევრი შეიძლება იყოს. ამიტომაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ 'ალი უნდა ყოფილიყო ხალიფა. შესაბამისად, შიიტები არ აღიარებენ წინა სამ მართლმორწმუნე ხალიფას. შიიზმის რელიგიური დოქტრინა მოგვიანებით ჩამოყალიბდა. სიტყვასიტყვით ნიშნავს ჯგუფს, პარტიას, მხარდამჭერს, მიმდევარს. ძირი [შ/ა/].

- ❖ **შირქი [შირქ არაბ. كرش]** – პოლითეიზმი, მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს: ალაჰთან (ს.ვ.თ) ერთად სხვის თაყვანისცემას; ღვთაებრივი თვისებების, რომელსაც მხოლოდ ალაჰი (ს.ვ.თ) ფლობს, სხვისთვის მიკუთვნებას. ეს არის თავჰიდის საწინააღმდეგოდ პოლითეიზმის გამოვლინება, რაც ისლამის მიხედვით მიჩნეულია მიუტევებელ ცოდვად. მასდარი ზმნის (I თემა) შარიქა. სიტყვასიტყვით ნიშნავს ასოცირებას, პოლითეიზმს. ძირი [შ/რ/ქ] ყურანში გვხვდება 168-ჯერ, ხოლო შირქ 5-ჯერ.

❖ **შურა [შურა არაბ. شوره]** – კონსულტაცია. შურას, როგორც კონსულტაციას საფუძვლად უდევს ყურანში არსებული მითითებები (3:159; 42:38), ხოლო ჰადისების მიხედვით, მოციქული მუჰამადი (ჰ.ა.ა.ს) კონსულტაციას გადიოდა თავის მიმდევრებთან. არსებობს მითითება მორწმუნეთათვის მიიღონ გადაწყვეტილებები ორმხრივი კონსულტაციის საფუძველზე საქმესა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. კონსულტაციის, სადაც რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა, ფუნქციონირების პირველი მაგალითი არის 644 წელს ‘უსმანჩ იბნ ‘აფფანის ხალიფად არჩევა. ისლამური თვალსაზრისის მიხედვით, შურა ეს არის ორმხრივი კონსულტაცია, სადაც გადამწყვეტი არის არა გავლენისა და ძალის მქონე ინდივიდების მოსაზრებები, არამედ მთლიანად საზოგადოების აზრი. სიტყვასიტყვით ნიშნავს კონსულტაციას. მასდარი ზმნის (I თემა) შავარა. ძირი [შ/ვ/რ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ აქედან შურა ერთხელ.

## ბ

- ❖ **ხაბარი [ხაბარ არაბ. خبر]** – ისლამში სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოიყენება როგორც მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) ჰადისთა სინონიმი ხაბარი და მისი მრ.რ ფორმა ახბარ. უმეტესად ახბარები გამოიყენება შიიტებთან. ყურანში რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობით არ გვხვდება. არსებითი სახელი. სიტყვასიტყვით ამბავი, ინფორმაცია. ძირი [ხ/ბ/რ] ყურანში გვხვდება 52-ჯერ, ხოლო ხაბარ 2-ჯერ.
- ❖ **ხაბისი [ხაბის არაბ. خبيث]** – ისლამში აღნიშნავს ყველაფერს რაც ალაჰის (ს.ვ.თ) ნების საწინააღმდეგოა, ცუდია, არასწორია, ცოდვაა, ბოროტებაა. ეს შეიძლება იყოს ნივთიც და ქმედებაც. ზედსართავი სახელი. ძირი [ხ/ბ/ს] ყურანში გვხვდება 16-ჯერ, აქედან 9-ჯერ ხაბის.
- ❖ **ხაზა [ხაზ არაბ. حزي]** –მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს სირცხვილსა და მწუხარებას, რომელიც გამოწვეულია ადამიანს მიერ ალაჰის (ს.ვ.თ) მცნებების დარღვევით. სიტყვასიტყვით სირცხვი-

ლი, თავის მოჭრა. მასდარი ზმნის (I თემა) ხაზია. ძირი [ხ/ზ/ღ] ყურანში გვხვდება 26-ჯერ.

❖ **ხათამ ალ-ანბია [ხათამ ალ-‘ანბიჰან’ არაბ.**

**خاتم الأنبياء** – მოციქულთა ბეჭედი. ისლამში ეწოდება მუჰამადს (ს.ა.ა.ს), ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვან მოციქულს. სიტყვასიტყვით მოციქულთა ბეჭედი. ყურანში გვხვდება იგივე მნიშვნელობით **ხათამ ან-ნაბიჰინ** (33:40).

❖ **ხალილ ალაჰი [ხალილ ალლაჰ არაბ. **خليفة**]**

- მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) მეგობარს, „ხალილულლაჰ“ ეს მოციქულ მუჰამადისა და იბრაჰამის ნოდებაა, ღმერთის ნამდვილი, უახლოვესი მეგობრების. ხალილ ალ-ნიშნავს მეგობრობის უმაღეს ფორმას. **ხალილ** ყურანში გვხვდება 3-ჯერ.

❖ **ხალიფა [ხალიფა არაბ. **خليفة**]**– ისტორიულ-თეოლოგიურ ლიტერატურაში სიტყვა ხალიფა აღ-

ნიშნავს: 1.წარმომადგენელი; პასუხისმგებელი პირი. ისლამის მიხედვით, ნებისმიერი ინდივიდი ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის გაგების ამ პრინციპის მიხედვით ადამიანმა უნდა დაიცვას და შეასრულოს ღმერთის სურვილი ისეთი საზოგადოების დაარსებით, რომელიც ასახავს ადამიანის

ღირსებას და სამართლიანობას. ადამიანს აქვს შესაბამისი ცოდნა. ყურანში პირველ ხალიფად მოხსენიებულია ადამი. 2. მემკვიდრე, შემცვლელი. მუჰამადის (ს.ა.ა.ს) გარდაცვალების შემდეგ სიტყვა ხალიფამ შეიძინა პოლიტიკური მნიშვნელობა და ეწოდებოდა ისლამური საზოგადოების მმართველს, ღმერთის წინასწარმეტყველს, მემკვიდრეს. პირველი მმართველი, ვისაც ეწოდა ხალიფა იყო აბუ ბაქრი. 3. სუფიური ორდენის ლიდერი. არსებითი სახელი. ძირი [ხ/ლ/ფ] ყურანში გვხვდება 127-ჯერ, აქედან ფორმა, ხალიფა 9-ჯერ.

- ❖ **ხაფდი [ხაფდ არაბ. خفص]** – წინადაცვეთის რიტუალი, რომელიც უტარდება გოგონებს. არ არის მოხსენიებული ყურანში, მაგრამ გადმოსცემს ზოგიერთი ჰადისი. არსებობდა ჯერ კიდევ ისლამამდელ პერიოდში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო აფრიკის სახელმწიფოებში. ზოგ სახელმწიფოში კვლავ არსებობს გოგონათა წინადაცვეთის პრაქტიკა. მასდარი ზმნის (I თემა) ხაფადა. ძირი [ხ/ფ/დ].
- ❖ **ხითანი [ხითან არაბ. ختان]** – წინადაცვეთის რიტუალი, რომელიც უნდა ჩაუტარდეს ყველა მუსლიმ მამაკაცს მოზარდობის პერიოდში, დაბადებიდან 13 წლამდე. სიტყვასიტყვით ნიშნავს წინადაცვეთას, აღნიშნავს როგორც მამაკაცთა ისე ქალთა წინადაცვეთასაც. ყურანში არ გვხვდება,

მაგრამ მოცემულია ჰადისებსა და ისლამამდელ პოეზიაში. წინადაცვეთის პრაქტიკა სხვადასხვა ხალხთა შორის იყო გავრცელებული. ისლამში შაფიტური მაზჰაბის მიერ ის სავალდებულოდ არის აღიარებული, ხოლო დანარჩენების მიერ ნებადართულია. მასდარი ზმნის(1 თემა) ბათანა. ძირი[ხ/თ/ნ].

- ❖ **ხიმარი [ხიმარ არაბ. *خمار*]** – ისლამში აღნიშნავს თავსაფარს, რომლითაც მუსლიმი ქალი იფარავს თავს და შესაძლებელია, რომ ფარავდეს კისერსა და საფეთქლებს. ხოლო ჰადისებში გვხვდება აღმნიშვნელად რალაცის, რითაც თვითონ მოციქული მუჰამადი (ს.ა.ა.ს) და მისი მიმდევრები იფარავდნენ თავს. ძირი [ხ/მ/რ] ყურანში გვხვდება 7-ჯერ.
- ❖ **ხული [ხულ' არაბ. *خول*]** – განქორწინება, რომლის ინიციატორიც არის ცოლი. განქორწინებისთვის ის ქმარს უხდის კომპენსაციას, გამოსასყიდს ქმრის მიერ ქორწინების დროს მისთვის მიცემული საჩუქრისგან/მზითვისგან. ისლამში არ არის განსაზღვრული თუ რამდენი უნდა გადაიხადოს ზუსტად ცოლმა, მაგრამ მითითებულია, რომ არ უნდა აღემატებოდეს ქმრისგან საქორწინო ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულის ღირებულებას. სიტყვასიტყვით თავის დახსნა, განთავისუფლება. ძირი [ხ/ლ/'].



❖ **ხუტბა [ხუტბა არაბ. *خطبة*]** – ქადაგება პარასკევის შუადღის საერთო ლოცვის დროს, რომელსაც კითხულობს იმამი/ხატიბი. ასევე ქადაგებას კითხულობენ დღესასწაულებთან და განსაკუთრებულ მოვლენებთან დაკავშირებითაც. ეს წესი ჩამოყალიბდა თვითონ მოციქულ მუაჰამდის (ს.ა.ა.ს) დროიდან. მან მიმართა ქადაგებით 630 წელს მექაში. უმაიანთა პერიოდში ხატიბის ფუნქციას ხალიფებიც ითავსებდნენ. ხუტბის ტექსტი რელიგიურთან ერთად მოიცავს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს. ასევე ხატიბის მიერ ხუტბაში მოიხსენიებოდა მმართველის სახელი. ხატიბი ხუტბას კითხულობს შემალღებული ადგილიდან. სიტყვასიტყვით ნიშნავს მიმართვას, ოფიციალურ სიტყვას. მასდარი ზმნის (I თემა) ხატაბა. ძირი [ხ/ტ/ბ] ყურანში გვხვდება 12-ჯერ.



- ❖ **ჯაბარია [ჯაბარია არაბ. جبارية]** – ადრეული ისლამის ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანი ყველაფერში ღმერთის ნებას, ბედისწერას ემორჩილება და არ შეუძლია თავისი ნებით მოქმედება. ეს მოძრობა წარმოიშვა უმაინათა პერიოდში ბასრაში. მათი მოძღვრების მიხედვით, ბედისწერით არის განსაზღვრული ადამიანის კარგი და ცუდი ქმედებებიც. ცოდვა წინასწარ განსაზღვრულად ეგზავნება ადამიანს, როგორც გამოცდა. მომდინარეობს სიტყვიდან *ჯაბარა* – იძულება. ძირი [ჯ/ბ/რ] ყურანში გვხვდება 10-ჯერ.
- ❖ **ჯაბრაილი [ჯაბრ'ილ არაბ. جبرائيل]** – მთავარანგელოზი ჯაბრაილი (ქრ. გაბრიელი), გარკვეულწილად შუამავალი ღმერთსა და მოციქულებს შორის. მან გადასცა მუჰამადს (ს.ა.ა.ს) ღვთიური გამოცხადება. ასევე ის ეხმარებოდა მუჰამადს (ს.ა.ა.ს) რელიგიური, სამხედრო საქმეების მოგვარებისას და იყო მისი მცველი ურწმუნოთაგან. ასევე თან ახლდა მუჰამადს ღამით მოგზაურობის და ცად ამალღების დროს. სამჯერ არის ნახსენები ყურანში მისი სახელი. ისლამური ტრადიციით, ჯაბრაილი ქრისტიანული გაბრიელია, რომელიც

ეხმარებოდა ადამს სამოთხიდან გამოძევების, მოსეს ეგვიპტიდან გამოსვლის დროს.

- ❖ **ჯაზა [ჯაზნ' არაბ. *جزاء*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს მისაგებელს, ჯილდოს ან სასჯელის სახით, რომელიც ყველა ადამიანს მიეცემა განკითხვის დღეს. დაჯილდოვდება სათნო ცხოვრების გამო, ან მიიღებს სასჯელს ცოდვებისთვის/ცოდვილობისთვის. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სასჯელი, კომპენსაცია, გადახდა, დაჯილდოვება. მასდარი ზმნის (I თემა) ჯაზნ. ძირი [ჯ/ზ/ღ] ყურანში გვხვდება 118-ჯერ, აქედან ჯაზნ' 42-ჯერ.
- ❖ **ჯაზაქუმ ალაჰ ალ-ხაირ ვა ლ-ჯაზა [ჯაზნქუმ ალლაჰ ალ-ხაირ ვა ალ-ჯაზნ' არაბ. *جزاء الخير و اللئيم*] –** ალაჰმა დაგაჯილდოოთ საუკეთესო საჩუქრით, განეული დახმარების, მსახურებისათვის. მადლობის ნიშნად ითქმება.
- ❖ **ჯანა [ჯანნა არაბ. *جنة*] –** სამოთხე. განკითხვის დღეს ალაჰის (ს.ვ.თ) ნებით ჭეშმარიტი მორწმუნენი დაჯილდოვდებიან სამოთხეში. სიტყვასიტყვით ნიშნავს ბაღს, სამოთხეს. არსებითი სახელი. ძირი [ჯ/ნ/ნ] ყურანში გვხვდება 201-ჯერ, ხოლო აქედან სამოთხის, ჯანნას მნიშვნელობით 147-ჯერ.
- ❖ **ჯანაბა [ჯანაბა არაბ. *جناب*] –** მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს რიტუალურად არანმინდა მდგომა-

რეობას, რომელიც, მაგალითად, გამოწვეულია ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად. ხოლო რიტუალურად წმინდა მდგომარეობაში დაბრუნებისათვის მუსლიმი ვალდებულია შეასრულოს სრული განბანვა (ლუსლ). სიტყვასიტყვით ნიშნავს: სიბინძურე, უსუფთაობა, ჭუჭყი. მასდარი ზმნის (I თემა) ჯანაბა. ძირი [ჯ/ნ/ბ] ყურანში გვხვდება 33-ჯერ.

- ❖ **ჯანაზა [ჯანაზა არაბ. *جنازة*]** – დაკრძალვა. ისლამში დაკრძალვის წესი განსაზღვრულია შარიათის მიხედვით. გარდაცვლილი უნდა დაიკრძალოს მზის ჩასვლამდე. დაკრძალვამდე უნდა განიბანოს და სუდარაში მოთავსდეს ცხედარი. სიტყვასიტყვით ნიშნავს პანაშვიდს, დამკრძალავ პროცესიას, კატაფალკას. არსებითი სახელი ძირი [ჯ/ნ/ზ].
- ❖ **ჯარჰი [ჯარჰ არაბ. *جرح*]** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს სხეულის მძიმე დასახიჩრებას. სიტყვასიტყვით ნიშნავს: დაჭრა, შეურაცხყოფა. მასდარი ზმნის (I თემა) ჯარაჰა. ძირი [ჯ/რ/ჰ] ყურანში გვხვდება 4-ჯერ.
- ❖ **ჯაჰილია [ჯაჰილია არაბ. *جاهلية*]** – ეწოდება სამყაროს შექმნიდან მოციქულ მუჰამადზე (ს.ა.ა.ს) ყურანის გარდმოვლენამდე (610 წ.) პერიოდს. **ჯაჰილია** არის უვიცობის ხანა, ისლამამდელი პერიოდი. მასდარი ზმნის (I თემა) ჯაჰალა. ძი-

რი [ჯ/ჰ/ლ] ყურანში გვხვდება 24-ჯერ, აქედან ერთხელ როგორც *ჯაჰილმია*.

- ❖ **ჯაჰანამი [ჯაჰანამ არაბ. جهنم]** – ჯოჯოხეთი, საიქიო სამყოფელი, ცეცხლი, სადაც ადამიანები ურწმუნოების და ამქვეყნად ჩადენილი ცოდვების გამო ხვდებიან, სასჯელად კი მარადიულ ცეცხლს და ტანჯავს იღებენ. ჯოჯოხეთი რამდენიმე დონისგან შედგება, სადაც ადამიანები მათ მიერ ჩადენილი ცოდვის კატეგორიების მიხედვით ხვდებიან. ჯოჯოხეთში ხვდებათ ცხელი წყალი სასმელად და შხამიანი საკვები. მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან გენა (ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთის ცეცხლი). არსებითი სახელი. ძირი [ჯ/ჰ/ნ/მ] ყურანში გვხვდება ეს ტერმინი 77-ჯერ, როგორც ჯოჯოხეთის აღმნიშვნელი.
- ❖ **ჯინი [ჯინნ არაბ. جن]** – ისლამში ეწოდება უხილავ, სულიერ ქმნილებებს, რომელთაც არ აქვთ სახე, ფორმა და რომლებიც შექმნა ღმერთმა, რათა ემსახურონ მას. ალაჰისგან (ჰ.ვ.თ) ისინი არჩევანის უფლებით არიან დაჯილდოებულნი და არსებობენ ყველგან. არსით უფრო ადამიანებს ჰგვანან. არიან როგორც დადებითი ასევე უარყოფითი თვისებების მატარებელი ჯინები. ეს უკანასკნელნი პასუხს ჯოჯოხეთში აგებენ. ჯინნი არის მხოლოდითი ფორმა *ჯანა-სი*, მომდინარეობს ზმნა *ჯანნ-დან* და ნიშნავს დამალო, შეაგუვო. ყურანში ჯინები მოხსენიებულია, ხოლო 72-ე სურას ეწოდა

ალ-ჯინნ. მიიჩნევა, რომ ღმერთის მიერ მუჰამადი (ს.ა.ა.ს) მივლენილ იქნა ჯინებთან, საიდანაც მომდინარეობს ამ სურის სახელწოდება. არსებითი სახელი. ძირი [ჯ/ნ/ნ] ყურანში გვხვდება 201-ჯერ, აქედან 22-ჯერ ჯინნ.

- ❖ **ჯიჰადი [ჯიჰად არაბ.اُجْد]** – ღმერთის გული-სათვის ძალისხმევა. ყურანში არცერთ შემთხვევაში პირდაპირ არ აღნიშნავს ბრძოლას, სამხედრო მოქმედებას. მუსლიმი იურისტების მიერ განსაზღვრულია ჯიჰადის ოთხი ტიპი: გულის ჯიჰადი; ენის ჯიჰადი; ხელის ჯიჰადი და მახვილის ჯიჰადი. გულის ჯიჰადი აღნიშნავს გულის ბოროტისაგან განწმენდას, რომელიც ყველაზე დიდი ძალისხმევად არის მიჩნეული. ხელის და ენის ჯიჰადი დაკავშირებულია კეთილ საქმესთან, მისიონერულ ქმედებებთან. ხოლო მახვილის ჯიჰადი აუცილებლობით გამოწვეულ ბრძოლას აღნიშნავს. მასდარი ზმნის (III თემა) ჯაჰადა. სიტყვასიტყვით მცდელობა, ძალისხმევა.ძირი [ჯ/ჰ/დ] ყურანში გვხვდება 41-ჯერ, აქედან 4-ჯერ ჯიჰად.

- ❖ **ჯულუსი [ჯულუს არაბ.جُلوس]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ლოცვის დროს ჯდომის პოზიციას. როდესაც მუხლებში იხრება და ჯდება ფეხებზე, ფეხის ტერფის თითები ეხება მიწას. სიტყვასიტყვით ნიშნავს ჯდომას. მასდარი ზმნის (I თემა) ჯალასა. ძირი [ჯ/ლ/ს].



- ❖ **ჰადას ასლარი [ჰადას ასლარ არა. حدث أصغر]** – ისლამში აღნიშნავს მსუბუქ, მცირე რიტუალურ უწმინდურობას, რაც ნიშნავს, რომ მუსლიმი ვალდებულია შეასრულოს მცირე განბანვა (ვუდუ'). მცირე რიტუალური უწმინდურობა დგება, მაგალითად, სხეულის ინტიმურ ადგილებთან შეხებით.
- ❖ **ჰადას აქბარი [ჰადას აქბარ არაბ. حدث أكبر]** – ისლამში აღნიშნავს დიდ რიტუალურ უწმინდურობას, რაც ნიშნავს, რომ მუსლიმი ვალდებულია განახორციელოს ლუსლ (სრული განბანვა). მაგალითად, დიდი რიტუალური უწმინდურობა დგება, მშობიარობის შემდგომ სისხლდენით, სქესობრივი კავშირით და ა.შ. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული.
- ❖ **ჰადი/ჰუდუდი [ჰადდ /ჰუდუდ არაბ. اح/اود]** – ისლამურ სამართალში ტერმინი აღნიშნავს საზღვარს დანესებულს ალაჰის მიერ ყურანით, რომელიც არ უნდა გადალახოს მუსლიმმა. ასევე ეს არის კატეგორია დანაშაულების, რომლებიც მიჩნევა დიდ ცოდვად (მაგ. მკვლელობა,

ქურდობა) და სასჯელიც განსაზღვრულია ყურანით. ეს არის სასჯელი იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია ღმერთის უფლებების წინააღმდეგ. სიტყვასიტყვით ნიშნავს საზღვარს. ძირი [ჰ/დ/დ] ყურანში გვხვდება 25-ჯერ, აქედან ჰადის მრავლობითი ჰუდუდ 14-ჯერ.

- ❖ **ჰადის კუდსი [ჰადის კუდსი არაბ. *حدیث قادی*] –** ნმინდა ჰადისი. ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს ჰადისებს, რომლებშიც გადმოცემულია ღმერთის სიტყვები ანუ სადაც საუბრობს თვითონ ალაჰი (ს.ვ.თ). სიტყვასიტყვით ნიშნავს ნმინდა ჰადისს.
- ❖ **ჰადის ან-ნაბი [ჰადის ან-ნაბი არაბ. *حدیث النبی*] –** მოციქულის ჰადისები. ჰადისთმცოდნეობაში აღნიშნავს იმ ჰადისებს, სადაც გადმოცემულია პირდაპირ მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს) სიტყვები ანუ საუბრობს თვითონ მოციქული. სიტყვასიტყვით ნიშნავს მოციქულის ჰადისს.
- ❖ **ჰადისი/აჰადისი [ჰადის/აჰადის არაბ. *احادیث / حدیث*] –** გადმოცემები, რომელიც მოგვითხრობს მოციქულ მუჰამადის (ს.ა.ა.ს): 1. ნათქვამის, 2. ქმედების, 3. მიმდევართა ქცევების, გადაწყვეტილებების შესახებ მისი პოზიციის შესახებ. ყურანის შემდეგ ის არის რელიგიურ და მორალურ კანონთა წყარო. ჰადისების ერთობლიობა წარმოადგენს სუნას. ჰადისები შეგროვდა მოციქულის თანამედრო-



ვითა გადმოცემების მიხედვით და ჩანერილ იქნა. ჰადისი სტრუქტურული თვალსაზრისით შედგება ორი ნაწილისგან: *ისნად* (გადმომცემთა ჯაჭვი), რომელსაც მოსდევს *მათნ* (ძირითადი ტექსტი). სიტყვასიტყვით თხრობა, საუბარი. მასდარი ზმნისა (I თემა) ჰადას. ძირი [ჰ/დ/ს] ყურანში გვხვდება 36-ჯერ, აქედან 28-ჯერ ჰადნს.

- ❖ **ჰაკ ალაჰი ჰაკკ ალლაჰ არაბ. *حق الله*** – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ღმერთის უფლებას. ასევე აღნიშნავს იმ დანაშაულებებს, რომლებიც ჩადენილია ალაჰისადმი (ს.ვ.თ), მისდამი ვალდებულებების უგულებელყოფით, ქმედებები რომელთა სასჯელიც განსაზღვრულია ყურანით. სიტყვასიტყვით ნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) უფლებას.
- ❖ **ჰაკ ალ-ინსანი ჰაკკ ალ-ინსან არაბ. *حق الإنسان*** ] – ისლამურ სამართალში აღნიშნავს ადამიანის უფლებას. ამავე მნიშვნელობის მატარებელია ჰაკკ ალ-’აბდ. ასევე აღნიშნავს დანაშაულთა იმ კატეგორიას, რომლებიც ჩადენილია ადამიანის მიმართ და დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე. დაზარალებულს ან მის სამართალმემკვიდრეებს შეუძლიათ აპატიონ მას. სიტყვასიტყვით ნიშნავს ადამიანის უფლებას.
- ❖ **ჰალალი ჰალალ არაბ. *حلال*** ] – ისლამური სამართლის ტერმინი, რომელიც ნიშნავს ნებადართულს,

დასაშვებს, კანონიერს, ლეგალურს. **ჰალალი** აერთიანებს ყველაფერს: ქცევა, ქმედება, საგანი, რაც ნებდართული და კანონიერია ისლამური სამართლით. სიტყვასიტყვით ნიშნავს: იყოს ნებდართული, იყოს დაშვებული, იყოს კანონიერი. მასდარი ზმნისა (I თემა) **ჰალლა**. ძირი [ჰ/ლ/ლ] ყურანში გვხვდება 51-ჯერ, აქედან **ჰალალ** 6-ჯერ.

❖ **ჰამილ ალ-კურანი [ჰამილ ალ-კურ'ან არაბ.**

**حامل القرآن** – ისლამში ეწოდება ყურანის მცოდნეს, მას ვინც იცის ყურანი გულით. ფლობს ყურანს ზეპირად. სიტყვასიტყვით ყურანის მატარებელი. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) **ჰამალა**. ძირი [ჰ/მ/ლ] ყურანში გვხვდება 64-ჯერ.

❖ **ჰანაფიტები/ ალ-მაზჰაბი ალ-ჰანაფიი [ალ-**

**მაზჰაბ ალ-ჰანაფი არაბ. المذهب الحنفي**– ჰანაფიტური მაზჰაბი ერთ-ერთია ოთხი სუნიტური რელიგიურ-იურიდიული სკოლიდან. დამაარსებელია აბუ ჰანიფა (699-777), დაარსდა **ქუფაში** (ერაყი). ჰანაფიტები სამართლის წყაროდ აღიარებენ ყურანს, **ჰადისებს**, ასევე იყენებენ **კიასის** და **ისტისჰანის**, უპირატესი გადანყვეტის (სამართლებრივი გადანყვეტილების მიღებისას, რომელიც ემყარება განსჯას ანალოგიით, უპირატესობა ენიჭება იმ ლოგიკურ დასკვნას, რომელიც უფრო მეტად სასარგებლოა მუსლიმური თემისთვის, სახელმწიფოსათვის) მეთოდს. ჰანაფიტური სკოლა

დომინანტური იყო აბასიანთა პერიოდში, ოსმალეთის იმპერიაში. დღეს დომინანტურია სირიაში, ლიბანში, იორდანიაში, პაკისტანში, თურქეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

- ❖ **ჰანბალიტები/ ალ-მაჰჰაბ ალ-ჰანბალი [ალ-მაჰჰაბ ალ-ჰანბალი არაბ. *أهل السنة والجماعة*]** – ჰანბალიტური მაჰჰაბი ოთხი სუნიტური რელიგიური იურიდიული სკოლიდან ერთ-ერთია. დაარსდა აჰმად იბნ ჰანბალის (780-855) მიერ. სამართლებრივ სკოლად ჩამოყალიბდა მეათე საუკუნეში. აღიარებს მხოლოდ ყურანს და სუნას. უარყოფს ყოველგვარ სიახლეს, თავისუფალ აზრს რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. დასაშვებად მიაჩნია იჯმა'ს, რომელიც მიღებულია მოციქულის (ს.ა.ა.ს) მიმდევართა, ან მათ შემდგომ პირველი თაობის წარმომადგენლების მიერ. კიასს (ანალოგიას) მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში უშვებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია საუდის არაბეთში, ასევე მისი მიმდევრები არიან სირიაში, ბაჰრეინსა და ომანში.
- ❖ **ჰანისი [ჰანის არაბ. *حنابلة*]** – ისლამში აღნიშნავს ადამიანს, რომელიც არ ასრულებს ალაჰისთვის (ს.ვ.თ) მიცემულ ფიცს. სიტყვასიტყვით ფიცის გამტეხი, ცრუმონმე. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნისა (I თემა) ჰანასა. ძირი [ჰ/ნ/ს] ყურანში გვხვდება 2-ჯერ.

- ❖ **ჰანიფი [ჰანიფ არაბ. *حَنِيفٍ*] –** ეწოდება მუსლიმს, რომელიც უარყოფდა მრავალღმერთიანობას ჯაჰილიის პერიოდში. მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ჭეშმარიტ მონოთეისტს, ორთოდოქსს, რომელიც უარყოფს ყველა ცრუ რწმენას. თვითონ მოციქული მუჰამადი (ს.ა.ა.ს) მოიაზრება ჰანიფად. ჰანიფები-ჭეშმარიტი მონოთეისტები, რომლებიც მისდევდნენ მუჰამადამდე (ს.ა.ა.ს) არსებულ მოციქულთა გზავნილს. ისინი, ვინც შეინარჩუნეს ჭეშმარიტი მონოთეიზმი და ეძიებდნენ აბრაამისეულ რელიგიას. ჰანიფები არ იყვნენ არც ებრაელები, არც ქრისტიანები ან კერპთაყვანისმცემლები. სირიულ ენაში ნიშნავს წარმართს. მიმღეობა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ჰანაჟა. ძირი [ჰ/ნ/ფ] ყურანში გვხვდება 12-ჯერ როგორც ჰანიფი.
- ❖ **ჰარამი [ჰარამ არაბ. *حرام*] –** ყურანისეული ტერმინი, რომელიც ისლამურ სამართალში ნიშნავს აკრძალულს, უკანონოს, ცოდვას. აერთიანებს ქცევას, საგანს, რაც აკრძალული, უკანონო და ცოდვაა ისლამური სამართლით. ქმედება, რომელიც დასჯადია ამქვეყნად და იმქვეყნად. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს იყო აკრძალული, ხელშეუხებელი, წმინდა. ძირი [ჰ/რ/მ]. ყურანში გვხვდება 83-ჯერ, აქედან ჰარამ 33-ჯერ.
- ❖ **ჰარუთი და მარუთი/ჰარუთ ვა მარუთი [ჰარუთ ვა მარუთ არაბ. *هاروت و ماروت*] –** ჰარუთი

და მარუთი ისლამის მიხედვით ორი ანგელოზია, რომელნიც განსჯიდნენ ადამიანებს მათი სისუსტის გამო. ალაჰმა (ს.ვ.თ) ისინი დედამიწაზე გაგზავნა, რათა ენახათ, რომ თვითონაც სუსტები იყვნენ და მიწიერი ცდუნებების ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდნენ. რაც ასეც მოხდა და მათ ჩაიდინეს ყველა ცოდვა. ისინი საკუთარი არჩევანით ამქვეყნად ბაბილონის კედელზე ფეხით დაკიდებულნი / ან დამწყვდეულნი და მწყურვალნი ელოდებიან განკითხვის დღის დადგომას. ყურანში მოხსენიებული არიან ერთხელ (2:102, 20). სახელები, სავარაუდოდ, მომდინარეობს ზოროასტრიზმის ანგელოზებიდან ჰარუვათ და ამერეთათ.

- ❖ **ჰაფიზ ლი-ჰუდუდი ლაჰი [ჰანფიზ ლი-ჰუდუდი ლლაჰ არაბ. *الله اوحى* / *ظفح*] –** ისლამში ეწოდება ღვთისმოშიშ ადამიანს, რომელიც ასრულებს ალაჰის (ს.ვ.თ) მითითებებს. სიტყვასიტყვით ნიშნავს ალაჰის (ს.ვ.თ) საზღვრების მცველს.
- ❖ **ჰაფიზი [ჰანფიზ არაბ. *ظفح*] –** ისლამში ეწოდება ადამიანს, რომელმაც ზეპირად იცის ყურანი, ან ბევრი ჰადისი. გვხვდება ასევე როგორც **ჰანფიზ ალ-ყურ'ან** ანუ ყურანის მცოდნე, ის ვინც ზეპირად იცის ყურანი. ხოლო **ალ-ჰანფიზ** ალაჰის ერთერთი ეპითეტია 99-დან და ნიშნავს ყველაფრის მფარველს, მცველს. სიტყვასიტყვით ნიშნავს: მცველი, დამცველი, მფარველი, ქომაგი. მიმღეო-

ბა (მოქმედებითი გვარი) ზმნის (I თემა) ჰაჟაზა. ძირი [ჰ/ფ/ზ] ყურანში გვხვდება 44-ჯერ, აქედან ჰანფიზ 13-ჯერ.

- ❖ **ჰაჯ ალ-ბაითი [ჰაჯჯ ალ-ბაით არაბ. حج البيت]**  
– ისლამში აღნიშნავს პილიგრიმობას ალაჰის (ს.ვ.თ) სახლში-ქააბაში. სიტყვასიტყვით ნიშნავს: სახლის პილიგრიმობა.
- ❖ **ჰაჯ ალ-იფრადი [ჰაჯჯ ალ-იფრად არაბ. حج الإفراد]**  
– ისლამში აღნიშნავს ჰაჯს, პილიგრიმობას მექაში, რომელიც სრულდება ‘უმრას (მცირე ჰაჯის) გარეშე. სიტყვასიტყვით ნიშნავს მარტო დიდი პილიგრიმობის (ჰაჯი) შესრულებას.
- ❖ **ჰაჯ ალ-კირანი [ჰაჯჯ ალ-კირან არაბ. حج القران]**  
– ისლამში აღნიშნავს ჰაჯს, პილიგრიმობას მექაში, რომელიც სრულდება ‘უმრასთან (მცირე პილიგრიმობა) ერთად. სიტყვასიტყვით ნიშნავს გაერთიანებულ ჰაჯს.
- ❖ **ჰაჯი [ჰაჯჯ არაბ. حج]** - პილიგრიმობა. მუსლიმთა წმინდა ქალაქის მექის (საუდის არაბეთი) მონახულება, რომელიც სავალდებულოა ყველა მუსლიმისთვის ერთხელ მაინც. ისლამური (მთვარის) კალენდრის მეთორმეტე თვეს ზუ ლ-ჰიჯჯას 7 რიცხვში და გრძელდება 12 რიცხვამდე. მასდარი

ზმნის (I თემა) ჰაჯჯა. ძირი [ჰ/ჯ/ჯ] ყურანში გვხვდება 33-ჯერ, აქედან ჰაჯჯ 9-ჯერ.

- ❖ **ჰილალი [ჰილალ არაბ. حلال]** – ახალი მთვარე; ნახევარმთვარე. ახალ მთვარეს აქვს დიდი მნიშვნელობა ისლამურ სამყაროში, რამდენადაც მისით განისაზღვრება მთვარის კალენდარში თვის დასაწყის-დასასრული, ასევე სხვადასხვა დღესასწაულების, რელიგიური რიტუალების, როგორცაა მარხვის, ჰაჯის თარიღები. მასდარი ზმნის (I თემა) ჰალლა. ძირი [ჰ/ლ/ლ] გვხვდება ყურანში 5-ჯერ.
- ❖ **ჰირა [ჰირა' არაბ. حراء]** – სახელი მთისა, სადაც მოციქულ მუჰამადს (ს.ა.ა.ს) მთავარანგელოზი ჯაბრ'ილი გამოეცხადა და აცნობა მისი სამოციქულო მისიის შესახებ. ასევე ცნობილია როგორც ჯაბალ ან-ნურ (სინათლის მთა). მდებარეობს საუდის არაბეთში, ჰიჯაზის ტერიტორიაზე მექის მახლობლად.
- ❖ **ჰისაბი [ჰისაბ არაბ. حساب]** –მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს საბოლოო განაჩენს, რომელიც გამოტანილია ალაჰის (ს.ვ.თ) მიერ განკითხვის დღისთვის, სადაც ადამიანის ყველა ქმედება კარგიც და ცუდიც არის წარმოდგენილი. სიტყვასიტყვით ნიშნავს ანგარიშს. მასდარი ზმნის (I თემა) ზმნა ჰასაბა. ძირი [ჰ/ს/ბ] 109-ჯერ გვხვდება ყურანში, აქედან მასდარი ჰისაბ 39-ჯერ.

- ❖ **ჰიფზ ად-დინი [ჰიფზ ად-დინ არაბ. *حفظ الدين*]**  
 – ისლამურ სამართალში ეწოდება პრინციპს, რომელიც შარიათის მიზნების და ამოცანების (*მაკასიდა შარი‘ა*) აუცილებელ კატეგორიას (*მაკასიდა დარურრიათ*) მიეკუთვნება და მიზნად ისახავს რელიგიის, რწმენის უფლების დაცვას, რაც ისლამური სამართლის მიზნების და ამოცანების ხუთი ფუნდამენტური მიზნიდან ერთ-ერთია. სიტყვასიტყვით ნიშნავს: რელიგიის დაცვა.
- ❖ **ჰიფზ ალ-აკლი [ჰიფზ ალ-‘აკლ არაბ. *حفظ العقل*]**  
 – ისლამურ სამართალში ეწოდება პრინციპს, რომელიც შარიათის მიზნების და ამოცანების (*მაკასიდა შარი‘ა*) აუცილებელ კატეგორიას (*მაკასიდა დარურრიათ*) მიეკუთვნება და მიზნად ისახავს გონების (ინტელექტის) დაცვას და გაფრთხილებას. ეს შარიათის მიზნების და ამოცანების ხუთი ფუნდამენტური ღირებულებიდან ერთ-ერთია. სიტყვასიტყვით ნიშნავს გონების დაცვას.
- ❖ **ჰიფზ ალ-მალი [ჰიფზ ალ-მალ არაბ. *حفظ المال*]**  
 – ისლამურ სამართალში ეწოდება პრინციპს, რომელიც შარიათის მიზნების და ამოცანების (*მაკასიდა შარი‘ა*) აუცილებელ კატეგორიას (*მაკასიდა დარურრიათ*) მიეკუთვნება და მიზნად ისახავს ქონების უფლების დაცვას და გაფრთხილებას. ეს შარიათის მიზნების და ამოცანების ხუ-



თი ფუნდამენტური ღირებულებიდან ერთ-ერთია. სიტყვასიტყვით ნიშნავს ქონების დაცვას.

❖ **ჰიფზ ან-ნასლი** [ჰიფზ ან-ნასლ არაბ. *حفظ*

*السلي*] – ისლამურ სამართალში ეწოდება პრინციპს, რომელიც შარიათის მიზნების და ამოცანების (მაკნსიდ შარი'ა) აუცილებელ კატეგორიას (მაკნსიდ დარუჰიდათ) მიეკუთვნება და მიზნად ისახავს შთამომავლობის უფლების დაცვას და გაფრთხილებას. შთამომავლობის დაცვა შარიათის მიზნების და ამოცანების ხუთ ფუნდამენტურ ღირებულებას შორის ერთ-ერთია. სიტყვასიტყვით შთამომავლობის დაცვა.

❖ **ჰიქმა** [ჰიქმა არაბ. *حكمة*] – ისლამში აღნიშნავს

სიბრძნეს, რომელიც ემყარება ალაჰის (ს.ვ.თ) ნებას, წმინდა წერილს (ყურანს). სიტყვასიტყვით სიბრძნე. მასდარი ზმნის (I თემა) ჰაქამა. ძირი [ჰ/ქ/მ] ყურანში გვხვდება 210-ჯერ, აქედნა ჰიქმა 20-ჯერ.

❖ **ჰიჯაბი** [ჰიჯაბ არაბ. *حجاب*] – მუსლიმი ქალის

სამოსი, რომელიც ფარავს მის სახეს და სხეულს, იცავს უცხო თვალისგან. არსებობს ჰიჯაბის რამდენიმე სახეობა: ხიმჯრ (შავი ან სხვა, მაგრამ არა კაშკაშა ფერის, რომელიც ფარავს მთელ სახეს); ლიქნამ (ფარავს სახეს თვალებს ქვემოთ); ბურკა' (სამოსი რომელიც ფარავს მთლიან სხეულსა და სახეს, მათ შორის თვალებსაც ისეთი მატერით,

რომლიდანაც შესაძლებელია ხედვა); ნიკაბ (ფარავს მთლიანად სახესა და სხეულს გარდა თვალებისა) და ა.შ. მასდარი ზმნის (I თემა) ჭაჯაბა. სიტყვასიტყვით თავსაფარი. ძირი [ჰ/ჯ/ბ] ყურანში გვხვდება 8-ჯერ, აქედან 7-ჯერ როგორც ჭიჯაბ.

- ❖ **ჰიჯრა [ჰიჯრა არაბ. هجرة]** – ისლამში აღნიშნავს გადასახლებას, ემიგრაციას, მუჰამადის (ს.ა.ა.ს) და მისი მიმდევრებისა მექიდან მედინაში 622 წელს. მასდარი ზმნის (III თემა) ჰაჯარა. ძირი [ჰ/ჯ/რ] ყურანში გვხვდება 31-ჯერ.
- ❖ **ჰულული [ჰულულ არაბ. حلول]** – მუსლიმურ თეოლოგიაში აღნიშნავს ურთიერთობას სხეულსა და ადგილს, შემთხვევასა და მის არსს შორის. არსებით ერთობა სულისა და სხეულის, ღმერთისა და ადამიანის. სიტყვასიტყვით ნიშნავს გამოსავალს, დაწყებას, დაშვებას ა.შ. მასდარი ზმნისა (I თემა) ჰალლა. ძირი [ჰ/ლ/ლ] ყურანში გვხვდება 51-ჯერ.
- ❖ **ჰურია [ჰურია არაბ. حورية]** – ლამაზი და უბინო სამოთხის მკვიდრი, რომელიც მორწმუნე მუსლიმს ელის. მომდინარეობს არაბული სიტყვიდან ჰავარა, თვალის სიშავედან სითეთრის გამორჩევა. არ არსებობს შეჯერებული მოსაზრება ჰურიების სქესთან დაკავშირებით. არსებითი სახელი. ძირი [ჰ/ვ/რ] ყურანში გვხვდება 13-ჯერ.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

ISBN 978-9941-33-358-3



9 789941 333583